

## მანანა ბუკია

ანტონ ჭყონდიდელი  
დიდი მარხვის ქადაგებები

„ინოვაცია“  
თბილისი  
2007

ტექსტი მოიძია, გამოსაცემად  
მოამზადა და გამოკვლევა დაურთო  
მანანა ბუკიამ

რედაქტორები:

დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე  
ტიტე მოსია ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

ანტონ ჭყონდიდელის  
დიდი მარხვის ქადაგებები

პომილეტიკა ღვთისმსახურებასთან უშუალოდ დაკავ-  
შირებული დარგია სასულიერო მწერლობისა, ამიტომაც  
ბუნებრივია, რომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს  
ქართულ ლიტერატურაში.

ქართველ მქადაგებელთა დასში ბრწყინავს იოანე  
საბანისმის, იოანე ბოლნელის, ათონელი მამების, თეოფილე  
ხუცესმონაზვნის, ეპიფანე კათალიკოსის, გიორგი მცირის  
(ხუცესმონაზვნის), ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, არსენ  
ბერის, იოანე ჭიმჭიმელის სახელები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი აღინიშნება ქართუ-  
ლი მჭევრმეტყველების უჩვეულო წარმატებით. ამ პერიოდ-  
ში მოღვაწეობდნენ სოლომონ ლიონიძე, ზაქარია გაბაშ-

ვილი, ანტონ კათალიკოსი, საბა ნინოწმინდელი, გაიოზ რექ-  
ტორი, მზეჭაბუკ ორბელიანი, ამბროსი ნეკრესელი. მათ შორის  
გამოირჩევა ცაგერისა და ჭყონდიდის მიტროპოლიტი, ღირ-  
სი ანტონი (დადიანი).

ღირსი ანტონ ჭყონდიდელი – საქართველოს ეკლესი-  
ის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე – დაიბადა სამეგრე-  
ლოს მთავრის, ოტია დადიანის მრავალშვილიან ოჯახში.  
დღემდე გამოცემულ სამეცნიერო თუ სხვა სახის ლიტერ-  
ატურაში (ქსე, ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი...)  
მითითებულია, რომ ანტონ ჭყონდიდელის დაბადების თარ-  
იღი უცნობია. ცნობას მეუფე ანტონის დაბადების წლის  
შესახებ გვაწვდის ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი). მისი  
გადმოცემით, ანტონი დაბადებული 1731 წელს [4, 162].

დედა – გულექანი – რაჭის ერისთავის შოშიტა III-ის  
ქალიშვილი იყო. ოჯახში ხუთი ვაჟი და ერთი ასული –  
მარიამი (შემდგომში იმერეთის დედოფალი, ცოლი სოლომონ  
დიდისა) იზრდებოდა. შვილებს პირველდაწყებითი განათლე-  
ბა დედამ მისცა. ის იყო ძველი დედების ტრადიციის გამგრ-  
ძელებელი ქალი, რომლის ცოცხალი სარწმუნოება და  
კეთილი საქმეები მისაბაძი იყო ყველასათვის. მამის გარ-  
დაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ანტონი (მისი საერო  
სახელი უცნობია) ძმის, კაცია დადიანის კარზე იზრდებო-  
და. მას საერო მოღვაწედ ამზადებდნენ და ამიტომაც საღმ-  
რთო წერილსა და მამათა შრომებთან ერთად ღრმად იცო-  
და საერო მწერლობა, პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება.  
ანტონი ფლობდა თათრულ ენასაც, რომელიც იმ დროის-  
ათვის ძალზე პრესტიული და აუცილებელი იყო.

XVII საუკუნიდან მოყოლებული პოლიტიკური მო-  
საზრების გამო სამეგრელოს მთავრები ჭყონდიდლად მხო-  
ლოდ თავიანთ სახლიკაცებს სვამდნენ.

ამ პერიოდის ჭყონდიდელთა ქრონოლოგია ასე გამო-  
იყურება:

გაბრიელ I (კაცია I დადიანის ძმა) – 1660-1689

გაბრიელ II (გიორგი დადიანის ძე) – 1680-1719

ევდემოს ღოღობერიძე – 1720-1734

გაბრიელ III (ბეჟან დადიანის ძე) – 1734-1758

გრიგოლი (ბეჟან დადიანის ძე) – 1760-1777

ანტონი (ოტია დადიანის ძე) – 1777-1789

ბესარიონი (კაცია დადიანის ძე) – 1789-1792; 1794-1828

იოანე (კაცია დადიანის ძე) – 1792-1794.

დადიანთა ტრადიციის კვალობაზე ოტია დადიანი  
თავის ძეს, ნიკოლოზს ამზადებდა ჭყონდიდის ეპისკოპოსად,

მაგრამ საერო ცხოვრებისკენ მიდრეკილმა ნიკოლოზმა ვერ იტვირთა მონაზვნობის მძიმე უღელი. სამაგიეროდ, ანტონს ჰქონდა სასულიერო მოღვაწეობის დაუკებელი სურვილი და აღიკვეცა კიდეც.

მონაზვნად შემდგარმა ანტონმა მომეტებულად იგრძნო წყურვილი საეკლესიო განათლებისა. მან მიმართა მარტვილის ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ეცნობოდა წმინდა მამათა თხზულებებს. განათლების შესავსებად მას მიჰკვარეს ფრანგი მისიონერები, რომელთაც მისთვის უნდა ესწავლებინათ სქოლასტიკური ფილოსოფია. ანტონს არ მოეწონა ფრანგების ქცევა და სწავლება. მან შეატყო, რომ ფრანგი მისიონერები მწვალებლობის ღვარმლს ურევდნენ მართლმადიდებლურ მოძღვრებაში. ერთხელ, სადილობის დროს, ანტონმა უთხრა ლათინ მისიონერს: „თუ შეგიძლია ამ წყლიან ჭიქაში ღვინო ჩაასხა ისე, რომ წყალს არ გაერიოს?“ ლათინმა მოძღვარმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია. მამინ ანტონმა უთხრა: „როგორც ერთ ჭიქაში წყალი და ღვინო არ ჩაისხმის ისე, რომ ერთმანეთში არ გაერიოს, ეგრეთვე ერთი კაცის გონება ვერ დაიტევს მართლმადიდებლურ და მწვალებლურ მოძღვრებებს ისე, რომ ერთი მეორეს არ გაჰქიოს“, – და იმ დღიდან დაითხოვა ლათინი ბერი.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ იმ ნაწილში, რომელშიც დახასიათებულია „ლირსნი კაცნი და მეცნიერნი ქართველთა შორის“, არის „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“. ზეპირი სიტყვის ღირსეულ ოსტატთა შორის მოხსენიებულია ანტონ ჭყონდიდელ-დადიანი. იოანე ბაგრატიონის გადმოცემით, ანტონ ჭყონდიდელმა „....დროსა პირველისა მეფისა სოლომონისასა დაუყო პირი ბაასსა ზედა ლათინთა პატრსა, კაცსა მეცნიერსა...“ [2, 208].

ანტონს არ აკმაყოფილებდა მარტვილის მონასტერში შეძენილი ცოდნა, ამიტომ 1757 წელს თბილისში გაემგზავრა სრულყოფილი განათლების მისაღებად. „წარვედ [სწავლად] სამეფოსა ქალაქისა, შორსა სოფელსა თფილისსა ეგრეღლოით [სამეგრელოით] არა განბნევად სიმდიდრისა, არამედ მოღებად გოლისა თაფლისასა...“ – წერს ანტონი მის მიერ 1785 წელს თარგმნილი „ლოგიკის“ წინასიტყვაობაში. ის სამეფო კარზე ცხოვრობდა – ანტონის ახლო ნათესავი – ოტიას ძმის კაციას შვილი დარეჯანი ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ს.

წყაროებიდან ჩანს, რომ ანტონმა უმაღლესი საღვთის-მეტყველო და ფილოსოფიური განათლება მიიღო ერეკლე მეფის მიერ დაარსებულ სასწავლებელში, რომელიც შემდგომ სასულიერო სემინარიად გადაკეთდა ცნობილი მოღვაწის

გაიოზ რექტორის თაოსნობით.

ანტონისვე გადმოცემით, მას ასწავლიდნენ ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები ფილიპე ყაითმა-ზაშვილი და ზაქარია გაბაშვილი. სწორედ მათგან მიიღო მომავალმა მქადაგებელმა „წვრთილებად ხედვათა შინა ფილოსოფოსობათა...“.

ფილიპე ყაითმაზაშვილის დახმარებით ანტონს სომხური ენიდან გადმოუკეთებია რამდენიმე თხზულება [10, 20], აგრეთვე „დიდი ლოგიკა“ [11, 501].

1760 თუ 1761 წელს ანტონი სამეგრელოში ბრუნდება და ცაგარლის საეპისკოპოსო კათედრას იკავებს. მან გაითქვა სახელი, როგორც მჭევრმეტყველმა და წმიდა წერილის უებრო მცოდნება.

ანტონის გამორჩეული ნიჭის შესახებ მალე მთელმა ქვეყანამ გაიგო. 1765 წელს ანტონის ძმამ კაციამ ცოლად შეირთო ერეკლე მეფის და ელისაბედი. ქორწილი თბილისში შედგა. საზეიმო წირვაზე ანტონისთვის მიუციათ დაუწერელი ქადაგლდი. მაშინდელი ჩვეულებით ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ანტონს ქადაგება უნდა წარმოეთქვა. იმ დღეს სულთმოფენობის დღესასწაული ყოფილა. ანტონს ისეთი მგზნებარე ქადაგება წარმოუთქვამს, რომ აღფრთოვანებულ ანტონ კათოლიკოსს ამბიონზე გადაუკოცნია მქადაგებელი.

სხვა გადმოცემით, ეს შესანიშნავი ქადაგება ანტონმა კაციასა და ელისაბედის ქორწილში წარმოეთქვა [5, 324].

ცნობილია, რომ კაცია დადიანისა და ელისაბედ ბაგრა-ტიონის ქორწილი 1765 წლის 16 ნოემბერს შედგა. ასე რომ, ეჭვს იწვევს გადმოცემის რეალურობა იმის შესახებ, რომ ანტონმა ცნობილი ქადაგება სულთმოფენობის დღეს წარმოთქვა, თუმცა ეს ოდნავადაც არ ამცრობს თავად ფაქტს – ანტონის ქადაგებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე.

ამ დღიდან ანტონ კათოლიკოსისა და ანტონ ჭყონ-დიდელ-ცაგარლის მეგობრობა სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. ჭყონდიდელ მეუფეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებთან. ქუთაისის მუზეუ-მის ხელნაწერთა ფონდში ინახება მისი წერილი სოლომონ ლიონიძისადმი (ქუთაისის მუზეუმი, ხელნ. № 588).

1777 წელს გარდაიცვალა მეუფე გრიგოლ ჭყონდიდელი და ჭყონდიდის კათედრა მიიღო ანტონ ცაგარელმა.

სრულყოფილი და ახოვანი შეხედულების, სასიამოვნოდ მოსაუბრე მღვდელმთავარი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. პირუთვნელი და მამხილებელი,

მოსიყვარულე და მზრუნველი მიტროპოლიტის ქადაგებებს  
უამრავი ხალხი ესწრებოდა.

ღირსი ანტონი აქტიურად ერეოდა სამეგრელოს სამთავროს  
ცხოვრებაში.

XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს საშინე-  
ლი სენი მოედო – ზოგიერთმა დიდებულმა ყმათა გაყიდ-  
ვის უღვთო წესი შემოიღო. ყულევის, სოხუმის, ანაკლიის  
ნავსადგურები აივთ სამუდამო ტყვეობისთვის განწირუ-  
ლი ადამიანებით. მღვდელმთავარი მტკიცედ აღუდგა წინ ამ ბოროტე-  
ბას. 1792-1794 წლებში მეუფე ანტონის ინიციატივით და  
თავმჯდომარეობით ჩატარდა ადგილობრივი კრება, რომელ-  
მაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მსყიდველებს.  
საკუთარი სისხლისა და ხორცის გამყიდველი თავადების  
სოფლებში ევლესიები დაიხურა, მათ ოჯახებში აიკრძალა  
ყველა მღვდელმოქმედება, გარდა ნათლისდებისა.

სასტიკა სასჯელმა შედეგი გამოიღო – დამნაშავეე-  
ბი შენდობას ითხოვდნენ, საკანონოს იხდიდნენ, გაყიდულ  
ტყვეებს აბრუნებდნენ.

მეუფე ანტონი დიპლომატიური ნიჭითაც იყო დაჯილ-  
დოებული. ის ხშირად ასრულებდა თავისი ძმის, კაცია II-ს  
დავალებებს [12, 381].

ანტონ ჭყონდიდელმა თავისი წვლილი შეიტანა  
სამეგრელოსა და გურიის სამთავროებს შორის ჩამოვარდ-  
ნილი განხეთქილების მოწესრიგებაში. 1783 წელს მან არ-  
ქიმანდრიტი გერმანე გაგზავნა გიორგი გურიელთან მოსა-  
ლაპარაკებლად. ვიზიტმა შედეგი გამოიღო. ჩვენამდე მოღ-  
წეულია ამ შეთანხმების დამამტკიცებელი სიგელი. „**მტრობა**  
**დავხსენით და მშვიდობა შემოვიყვანეთ**“ – გვაუწყებს  
დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია **ჩლპგ** (1783) წლით.  
სიგელს ხელს აწერენ გიორგი გურიელი და მისი შვილები  
სვიმონი, ვახტანგი, ქაიხოსრო და ლევანი.

1788 წელს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი კა-  
ცია დადიანი. სამთავროს ტახტზე მისი მცირეწლოვანი  
ვაჟი გრიგოლი დასვეს. უკეთურმა ადამიანებმა ისარგე-  
ბლეს მთავრის სიყრმით და მრავალი განსაცდელი დაა-  
ტეხეს თავს სამთავროს. ამას დაემატა იმერეთის მეფეების  
სურვილი სამეგრელოს დამორჩილებისა.

ანტონ ჭყონდიდელი ვერ შეეგუა სამთავროს კარის  
ინტრიგებსა და უწესრიგობას, უარი თქვა მღვდელმთავრის  
პატივზე, დატოვა ჭყონდიდის კათედრა და უბრალო მონაზ-  
ვნურ ცხოვრებას შეუდგა მის მიერვე აშენებულ ნახარე-  
ბაოს მონასტერში.

1789 წლიდან გარდაცვალებამდე ანტონი მკაცრი მონა-

ზვნური მოღვაწეობით ცხოვრობდა ნახარებაოს მონასტერში. მან მონასტერი გაამდიდრა სიწმინდეებით, ძველი ხატებით, დიდმალი მამულებით და გლეხებით. ჭყონდიდლობიდან გადადგომის წინა წელს (1788 წ.) მთავარს, კაცია დადიანს, ყველა საკლესიო მამული გაათავისუფლებინა საერო გადასახადებისაგან, მარტვილის ეკლესიას, ნახარებაოსა და საირმის მონასტრებს დაუბრუნა დაკარგული მამულები [13, 1912].

ღირსი ანტონი ლრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1815 წელს, მის მიერ აშენებულ მონასტერში, დაკრძალულია იქვე.

უაღრესად საყურადღებო ცნობა მოეპოვება ანტონ ჭყონდიდელის საფლავის შესახებ ფრანგ მკვლევარს ჟიულ მურიეს, რომელმაც XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს დაწვრილებით აღწერა სამეგრელო. მისი ცნობით, ანტონ ჭყონდიდელის საფლავი ნახარებაოს ეკლესიის კედელს სულ რამდენიმე ნაბიჯითაა დაშორებული. მისივე თქმით, როგორც ამბობენ, როცა 1828 წელს (გარდაცვალებიდან 13 წლის შემდეგ) მისი საფლავი გახსნეს, მიცვალებული უხრწნელი ყოფილა, სახეს კი ჩვეულებრივი გამომეტყველება ჰქონდა შერჩენილი [7, 377].

ანტონ ჭყონდიდელმა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი ქადაგებების ტექსტები განსაკუთრებით მრავლადაა დაცული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ერთი ქადაგება „აღსარება მღვდელთათვის“ ინახება ქუთაისის მუზეუმში (ხელნ. წიგნი № 235, გვ. 102v – 106v), უნიკალური მასალა შემოგვინახა დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდმა.

სხვადასხვა დროს ანტონ ჭყონდიდელის შემოქმედებაზე უწერიათ კ. კეკელიძეს [6], ნ. კანდელაკს [5], რ. ბარამიძეს [3], ს. მიქავას [8]. მისი ცხოვრების დეტალებზე საგანგებოდ ვწერდით „ქართველ წმინდანთა ცხოვრებაში“ [9].

ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებები მისი გარდაცვალების შემდეგაა შეკრებილი. წმიდა მამის პირველი ბიოგრაფი და მკვლევარი თ. ჟორდანია მიუთითებს, რომ მის მიერ 1898 წელს გამოცემული ქადაგებათა კრებული შეუდგენია 3 ხელნაწერის მიხედვით: 1. 1852 წლის ხელნაწერი გრიგოლ დადიანისა, 2. ნატალია ნიქარაძის ხელნაწერი, გადანუსხული 1846 წელს, 3. თავად თ. ჟორდანიას მიერ 1842 წელს გადაწერილი ხელნაწერი. ამ ნუსხათა შეჯერებით გამოიცა ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებათა კრებული, რომე-

ლიც 34 თავისაგან შედგება [1, XII].

მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ მას უნახავს ანტონისეული დიდმარხვის დღეების ქადაგებები, რომლის გამოცემასაც აპირებდა იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის დახმარებით, მაგრამ სურვილი ვერ განუხორციელებია.

ამ კრებულზე საგანგებოდ მიუთითებს კ. კეველიძე და აღნიშნავს, რომ კიდევ არსებობდა მეორე კრებული დიდმარხვის დღეებში წარმოსათებელ ქადაგებათა, რომელთა დაბეჭდვა მას (თ. ჟორდანიას) ვერ მოუსწრია [6, 392].

რ. ბარამიძე გულისტკივილით შენიშნავს: „რაც შეეხება დღემდე უცნობ ქადაგებათა კრებულს (დიდმარხვის ქადაგებებისას – მ. ბ.), გულდაგულ მიების მიუხედავად, მათ კვალს ჯერჯერობით ვერ მოვაგენით“ [3, 173].

ვფიქრობთ, რომ მკვლევარს ხელთ ჰქონდა ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ხელნაწერი წიგნების განყოფილებაში დაცული ექსპონატი № 26/ 23384, რომელიც შეიცავს წმ. ანტონ ჭყონდიდელის დიდმარხვის კვირიაკეების ქადაგებებს.

ხელნაწერი წიგნი 43 ფურცლისაგან შედგება (21,5X16,5), ქაღალდი სქელია, გადამწერისეული პაგინაცია არ ჩანს. წიგნი პაგინირებულია მუზეუმში შემოსვლის შემდეგ. ნაწერია შავი მელნით, სათაურები შესრულებულია წითელი მელნით. ხელნაწერი მხედრულით და მთავრულითაა დაწერილი.

ხელნაწერი დათარიღებულია. გადაწუსხვა დასრულებულია 1829 წლის 9 თებერვალს. 43r-ზე იკითხება მინაწერი: „წელსა ჩყკთ თებერვალს თ“. ცნობილია გადამწერის სახელიც. ის ვინმე იოანეს გადაუნუსხავს. იმავე 43r-ზე კითხულობთ: „ღ(მერთ)ო აცხოვნე დამწერი უღირსი იოანე“.

შევნიშნავთ, რომ დიდმარხვის ქადაგებათა კრებული შემონახულ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველია.

წიგნი შედგება 7 ქადაგებისაგან:

1r პლ. კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება სინანული-სათვის.

7v მეორესა კვირიაკესა წათა მარხვათასა ქადაგება მარხვისათვის

15v მესამესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება მოწყალებისათვს

20r თქმული ანტონის / თქმული ყდ ნეტარისა კაცისა. ყდ სამღუდელო ანტონ ჭყონდიდის მიტროპოლიტისა და-

დიანისა ძისა:/ მეოთხესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება აღსარებისათვს

23v ანტონის. თქმული მისივე ნეტარისა მამისა. ანტონ ჭყონდიდის მიტროპოლიტის დადიანისა ძისა:/ მეხუთესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება აღსარებისათვს მღუდელთათვს:

28v მეექვსესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება შურისათვს

35v დიდსა პარასკევსა ქადაგება მაცხოვარებითსა ვნებასა ზედა:

ამავე მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ლიტერატურულ არქივში ინახება ანტონ ჭყონდიდელის ორი ქადაგების ხელნაწერი (№ 1755 / 25155). ქადაგებები 1880 წელს არის გადანუსხული სიმონ ტაბიძის მიერ პეტერბურგში. 1r-ზე წარწერაა: „მათის უგანათლებულესობის: უკანასკნელის / საბრალობელის მონის ს. ტაბიძის მიერით: / წელსა 1880. აპრილს 1. / სანკტპეტერბურღით“.

ხელნაწერი გრიგოლ დადიანისთვის ყოფილა განკუთვნილი. 1r-ზე ასეთი წარწერა იკითხება: „ორი ქადაგებად ანტონის მიტრო/პოლიტის დადიანოვის მიერ თქმული: / მიერთმევის მათს უგანათლებულესობას/ დადიანს მთავრის ძეს გრიგოლს:/ ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს:“

გადამნუსხველს 1r-ზე თავისი პეტერბურგული მისამართიც აქვს მითითებული: „Напетербургской старане, позверинской / улице № 19. Кварт. 3. Симон Егоро/вич Табизе.

ქადაგებები თხელ, გაყვითლებულფურცლიან რვეულშია გადანუსხული (22,5X17,5).

გადამწერს ხელნაწერის გვერდები თავად დაუნომრავს. ორივე ქადაგება ცალ-ცალკეა პაგინირებული. პირველი ქადაგება მოიცავს 2r-11r (გადამწერისეული პაგინაციით 1-19) მეორე - 12r-20r (გადამწერისეული პაგინაციით 1-14).

ჯერ კიდევ თ. ჟორდანია შენიშნავდა, რომ ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებები მისი სიკვდილის შემდეგაა შეკრებილი. ჩანს, არსებობდა კრებულებად შეკრული ქადაგებების რამდენიმე ნუსხა. დიდმარხვის საკითხავებში შესულია რამდენიმე ქადაგება, რომელიც 1898 წელს გამოცემულ კრებულში გვხვდება.

მეოთხე კვირიაკის ქადაგება „აღსარებისათვის“ საწელიწადო ქადაგებებში შესულია პირველ თავად (გვ. 1), მეხუთე კვირიაკის ქადაგება „აღსარებისა მღუდელთათვს“ საწელიწადო ქადაგებებში მეორე თავად გვხვდება სათაუ-

რით „მეცნიერებისა წვრთნისათვს“ (გვ. 10).

სიმონ ტაბიძის მიერ გადაწერილი ქადაგებები შე-  
სულია თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი საწელიწადო ქადა-  
გებებში მე-19 („მონაზვნობისათვის“) და 21-ე („ვერცხ-  
ლისმოყვარეობისათვის“) თავებად.

ტაბიძის ნუსხაში ორივე ქადაგება ერთნაირადაა და-  
სათაურებული „ანტონის მიტროპოლიტის დადიანოვის მიერ  
თქმული ქადაგება საზოგადოდ“.

ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებების მირითადი პათოსი  
მსმენელის მორალური სრულყოფაა. მქადაგებელს თავისი  
სწავლებების თემად გაუხდია ის ზნეობრივი პრობლემები,  
რომელიც იმდროინდელ საქართველოში და, კერძოდ, მის  
სამწყსოში იყო დაგროვილი. ის ამ პრობლემებს ეკლესიის  
ისტორიის ჭრილში განიხილავს და თავისი შეხედულებე-  
ბის საილუსტრაციოდ წმიდა წერილი მოაქვს.

ანტონ ჭყონდიდელს სხვა მქადაგებლებისგან გამო-  
არჩევს წმიდა წერილის ხშირი გამოყენება, ის მთლიანად  
ბიბლიას ეყრდნობა და მიიჩნევს, რომ ძველი და ახალი  
აღთქმის ცოდნა აუცილებელია: „ყოველნივე ძველისა და  
ახლისაგანი ამას უნდა იწვრთიდეს მღუდელი, თუ არ იწურ-  
თის, მღუდელობისაგან გარეშე იქმნება“ (24v). მღვდელმთა-  
ვარს თავის სწავლებებში წმიდა წერილის სიტყვები ან  
მოვლენები თავისი აზრის დასასაბუთებლად მოაქვს. ერთ-  
გან მქადაგებელი ამბობს: „თუ მე არ დამერწმუნებით, საღმ-  
რთო წერილით დაგიმტკიცებ ძველითა და ახლითა“ (5r).  
როცა სინანულზე ასწავლის, მსმენელს შეახსენებს ადა-  
მისა და კაენის დაცემას და შეუნანებლობას, შემდგომ  
პარალელს ახალ აღთქმაში ეძებს და მოაქვს იუდას დაცე-  
მისა და პეტრეს სინანულის მაგალითი.

ძველი აღთქმიდან მქადაგებლის ყველაზე საყვარე-  
ლი თემებია: შესაქმე (8r, 25r), ადამის შექმნა „მსგავსად და  
ხატად“, აღთქმის მიცემა (3r, 10r, 29r), ადამის დაცემა და  
ღმრთის მიერ მხილება (1v, 2v, 29v), კაენის მიერ მმის მოკვ-  
ლა და უფლისმიერი მხილება (1v, 15r, 20r, 25v, 35r, 35v), აბრაა-  
მის გამოსვლა ურიდან (26r), აბრაამის მიერ მსხვერპლად  
შეწირვა (36r), იაკობის მიერ ისაავისაგან კურთხევის მიღე-  
ბა (26r), იაკობის გაყიდვა მმების მიერ (36r), ეგვიპტიდან  
გამოსვლა (ტ4v), მოსეს მარხვა აღთქმის მიღების წინ (2r),  
აბესალომის მიერ დავითის დევნა (36r), ოზიას განკეთრო-  
ვნება (26v), დანიელი ლომის მღვიმეში (ტ10v), ელია თეზბიტე-  
ლის გამოზრდა ყორნის მიერ (ტ10v).

აზრის დასასაბუთებლად ანტონი იმოწმებს ძველი

აღთქმის წინასწარმეტყველებს: ეზრას (5r), ელიას (7r), ესა-იას (5v, 7v, 13r, 27v, 28r, 38v), იერემიას (23r), ეზეკიელს (23v), დანიელს (7v, 18v, 20r, 22v), იოველს (22r), ამოსს (25v), იონას (6r), მალაქიას (23v, 34r); ხშირად მომართავს სოლომონ ბრძენს, მოაქვს ციტატები იგავებიდან (13v), სიბრძნიდან (12v, 34v), ეკლესიასტედან (5r), აგრეთვე ისო ზირაქის ძის სი-ბრძნიდან (16r, 17v). ძველი აღთქმიდან ყველაზე ხშირად ციტირებულია დავით წინასწარმეტყველი.

ჭყონდიდელის ქადაგებებში უმთავრესი ადგილი უჭირავს სახარებას. ჩვენს მიერ გამოკვლეულ თავებში გვხვდება შემდეგი ეპიზოდები: ღმრთისმშობლის ხარება (40r); ყრმა იესუ ტაძარში კითხულობს ესაიას წინასწარმეტყველებას (25r); იოვანე ნათლისმცემლის ცხოვ-რება უდაბნოში და მაცხოვრის ნათლისლება (2r, 10r, 20v, 36v, ტ5v); მაცხოვრის მარხვა უდაბნოში (14v); მაცხოვრის მიერ აღსრულებული სასწაულები (37r); წინასწარმეტყველება აღდგომაზე – ტაძრის აღდგენაზე (38v); ღაზარეს მკვდრე-თით აღდგინება (3v, 4r, 37v, ტ3r, ტ7r); ღოცვა გეთსემანი-ის ბაღში (34v, 36v); იუდას მიერ მაცხოვრის გაცემა (14v, 28r, 34r, 37v, ტ7v, ტ13v); პეტრეს მიერ უარყოფა (23r, 39v, 40r, ტ5v); სამსჯავრო ანას სასა ხლეში (38r, 39v); პილატეს სამ-სჯავროზე (39r, 40v, 41r); იესოს ვნებანი, გოლგოთა (4v, 22r, 39v, 40v, 42r)...

მქადაგებელი რამდენჯერმე მიმართავს სახარებისეულ იგავებს, ზოგჯერ მთლიანად განმარტავს მას, ზოგჯერ თავისი სათქმელის საილუსტრაციოდ მოაქვს ფრაზა იგა-ვიდან. მოხსენიებულია იგავი საქორწინო ნადიმზე (19v), ათ ქალწულზე (18v), უნაყოფო ლეღვის ხეზე (2r), უგუნურ მდიდარზე (10v, 22v), ღაზარესა და მდიდარზე (ტ14r, ტ18r). მსმენელს შეახსენებს მაცხოვრის სასწაულებს: ხუთი პურის დაბევრებას, ქარიშხლის დაცხრობას, წყალზე სიარულს (37r).

ბუნებრივია, ქადაგებებში ხშირია ფრაზები პავლე მოციქულის ეპისტოლებიდან. მოხმობილია ადგილები იაკობის (20v, ტ16v), პეტრეს (ტ9r), იოვანე ღვთისმეტყველის (8v, 11r, 36v, 38r, ტ8v, ტ9r) კათოლიკე ეპისტოლებიდან. უანგა-რობაზე ქადაგებისას ხშირად იხსენებს ანანიას დაცე-მას (13r, 21r, ტ13v).

საერთოდ ანტონისთვის დამახასიათებელია ძველი და ახალი აღთქმის ისტორიების მოყვანა გვერდიგვერდ და მათი შეპირისპირება. მისი საყვარელი ფრაზაა: „ესენი ძველისა და ახლისა საღთო წერილებისაგან უნდა დავამტ-კიცოთ“ (1v), „აქამომდე ეს ძველისა იყო და აწ ახლისა

მოვიდე და მოგახსენო“ (1v), „ეს ძველისა იყო და აწ ახლისა  
საღმრთო წერილებით დავამტკიცოთ საღმრთოს  
ძალით“ (7v), „მოვიდეთ და ძველიდამ და ახალიდამ ამისი  
დამამტკიცებელი სახეები მოვიღოთ“ (20v)...

დიდი პარასკევის ქადაგებაში მქადაგებელს ასეთი  
შთამბეჭდავი პარალელები მოაქვს: ძველი აღთქმა: ისაავის  
მოთმინება აბრაამის მიერ მსხვერპლად შეწირვისას // ახა-  
ლი აღთქმა: მაცხოვრის მოთმინება ურიათაგან გაწირვი-  
სას; ძველი აღთქმა: იოსების გაყიდვა ძმების მიერ // ახა-  
ლი აღთქმა: იესოს გაყიდვა მოწაფის მიერ; ძველი აღთქმა:  
აბესალომის მიერ დევნილი დავითის გაქცევა ელეონის  
მთაზე (დავითი მეფე იყო) // ახალი აღთქმა: მოციქულების  
მიერ მიტოვებული მაცხოვრის ვნება (მაცხოვარს მეფეს  
უწოდებენ); ძველი აღთქმა: ადამისა და კაენის დაცემა //  
ახალი აღთქმა: იუდას დაცემა...

ანტონ ჭყონდიდელი წმიდა წერილის განმარტებისათვის  
ხშირად მიმართავს მამათა სწავლებებს და ეკლესიის მოძღ-  
ვართა გამონათქვამებით ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.  
მქადაგებელს მოაქვს ბასილი დიდის (17v), იოვანე ოქროპირის  
(14r), გრიგოლ ღმრთისმეტყველის (ტ6v), იოვანე სინელის  
(14r, ტ3r), ანდრია კრეტელის (2r), თეოდორე სტუდიელის (9v),  
თეოდორიტე ეპისკოპოსის (23r), ნეტარი ავგუსტინეს (32r)  
სიტყვები.

ანტონი ციტირებას უკეთებს ღმრთისმეტყველ  
ფილოსოფოსებს იოვანე დამასკელს (5v, 29v, 34v, ტ12r), სვი-  
მონ ჯულფელს (25r), ალფვერდს (20r, 29v, 35r), ჯერონიმე  
ფილოსოფოსს (25r). ეს მიუთითებს მქადაგებლის ფილოსოფი-  
ულ განსწავლულობაზე.

მქადაგებელი ქადაგებას იწყებს ერთი ფრაზით წმი-  
და წერილიდან და მასზე აგებს მსჯელობას. წმიდა ანტო-  
ნი მას სხვადასხვა კონტექსტში განიხილავს და იყენებს  
მიტევების, უანგარობის, ერთგულების, რჯულის დაცვის, სიყ-  
ვარულის საქადაგებლად. მხატვრული თვალსაზრისით ეს  
ფრაზა ერთგვარი რეფრენის ფუნქციას ასრულებს.

მქადაგებლის სწავლებები არასოდეს არ არის გან-  
ზოგადებული. მოძღვარი ყოველთვის მიმართავს მსმენელს,  
ეკითხება, ედავება, მის სავარაუდო შეხედულებას განიხი-  
ლავს, საკუთარ არგუმენტს სთავაზობს და თავისი აზრის  
დასამტკიცებლად წმიდა წერილი, ეკლესიის მამები, ფილოსო-  
ფოსები მოჰყავს.

ქადაგებებში გამოსჭვივის მქადაგებლის სიყვარული

მსმენელისადმი: „იხილე, საყვარელო, ძალი სინანულისა“ (6v), „საყვარელნო მსმენელნო, ვსწუხვარ, ვაი თუ შეგაწუ-  
ხეთ სიტყვის განგრძელებით“ (10v), „საყვარელნო, ესეც ისმი-  
ნეთ, ქრისტე მკურნალი არის ცოდვის წყლოულებისა“ (22v)...

თუმცა არც სიმკაცრე აკლია მის მიმართვას: „ვაი, შენსა  
უბადრუკებას, როგორ დაბნელებული ფიქრის გქონია, თუ  
ამას ფიქრობ, ყოვლითურთ ულმერთო ყოფილხარ“ (5v), „პან-  
გარო და მოქრთამეო, დღეს ან უნდა გამოხვიდე ჰანგარები-  
საგან, ან მე და შენ ერთმანეთს უნდა შევძაგდეთ“ (13r).

„...გეუბნები, ცოდვილნო, რომელსა ჯერეთ არ შეგინანები-  
ათ, ნუ სტირით ქრისტესთვის, არამედ სტიროდეთ ცოდვა-  
თა თქუშნთათვის“ (36r)...

ქადაგებებს განსაკუთრებულ ხიბლს სმენს რიტორიკუ-  
ლი შეკითხვები და რიტორიკული მიმართვები, რომლებიც  
უხვადაა მიმობნეული ანტონის სწავლებებში. ეს მხატვრუ-  
ლი ხერხი განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხ-  
ველზე.

მქადაგებელი მიმართავს არამარტო სამწყსოს, არამედ  
ბიბლიურ პერსონაჟებს, მოციქულებს, პილატეს, იუდეველებს,  
მათთან თითქოს უშუალო კავშირს ამყარებს და ამით  
უფრო ექსპრესიულს ხდის ქადაგებას: „რასა უბნობნ, პეტ-  
რე, გუშინ სიკუდილი აღუთქვი თავის შენისა და დღეს  
უარ ყოფ, ვაი, ცრუთა აღთქმათა, ვაი დაუნდობელთა გულ-  
თა კაცთასა, მ მწუხარებათა იესოს გულისათა“ (40r), „უბად-  
რუკო იუდავ, რა უყავ ვეცხლი იგი ფასი იესოსი? რაი  
იყიდე მით, ანუ რაი სარგებელ გეყო, ანუ ვითარ განმ-  
დიდრდი ვეცხლითა მით? იყიდე მით რამე?“ (37v), „პილატე,  
ვერ იმართლებ თავსა, შენცა მათთანა გიძს წილი, ვაი,  
სუსტსა მმართველობასა შენსა, ვაი, უსვინდისოსა მსაჯუ-  
ლებასა შენსა, ვაი, განუსჯელსა თან ჭმობასა შენსა ური-  
ათადმი!“ (41v), „კაიაფა, რასა კითხავ იესოს, რასა აფიცებ:  
„უკეთუ ძე ხარ ღმრთისა მითხარი. რადგან გწადს შეტყობა  
მაგისი, თუ ვინ არს ეგე, მე გეტყვი“ (39v), „ფარისეველნო  
და მოძღუარნო და კრებულნო ისმაილთანო, როგორ სხვებ  
და სხვებ გარდააქცევთ თავთა თქუშნთა, უწინარეს ამისა  
ესრეთ გიყვარდათ იესო რომელ მეფედ თქუშნ ზედა გწა-  
დოდათ“ (38v)...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ანტონ ჭყონდიდელის  
ენის სისადაცე. ყველასთვის გასაგები, ცოცხალ მეტყველე-  
ბასთან ზედმიწევნით მიახლოებული მსჯელობა ღრმა  
შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. მისი თხრობის სტილი  
მკვეთრად უპირისპირდება იმ პერიოდში ანტონ კათალი-

კოსის მიერ დამკვიდრებულ სამი სტილის თეორიას და  
ადვილად იკვლევს გზას მსმენელის გულისაკენ.

რამდენიმე ადგილას მქადაგებელი იყენებს ამ  
დროისთვის ყავლგასულ კითხვითი წინადადების –ა ნაწი-  
ლაკს, რომელიც თავისებურ ხიბლს მატებს თხრობას: „ყოვ-  
ლად განწირულო იუდავ, ამის გრცხვენიანა?“ (37v), „სადა  
ხარ შენ, მარიამ, მწუხარეო დედაო იესოს ჩემისაო, ხე-  
დავა ძესა შენსა?“ (40r), „გესმისა მისთვის თქმული?“ (ტ5v)...

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით თავად ხელნაწერის  
ხასიათზე. როგორც შევნიშნეთ, შესრულებულია მხედრუ-  
ლით და მთავრულით. საკუთარ და გეოგრაფიულ სახელ-  
თა ნაწილი, აგრეთვე ზოგიერთი ზმნა მთავრულით იწყება,  
მაგრამ ამას სისტემური ხასიათი არა აქვს (ერთი და იგივე  
სახელი ხან მთავრულითაა ნაწერი, ხან მხედრულით); ხშირად  
მთავრული ასო საჭიროების გარეშეა გამოყენებული (წი-  
ნადადების შუაში, საზოგადო სახელის, ზმნიზედის, კავ-  
შირის დასაწყისში).

ორთოგრაფიაში ინიშნება თანხმოვანთა აღრევის  
შემთხვევები. გვხვდება პარალელური დაწერილობის შემთხ-  
ვევები: კორცი // ხორცი, ქმა // ხმა, მუჯლი // მუხლი;  
ქუცყანა // ქუცყანა, თქუცნ // თქუენ; სხუა // სხვა, რაც ამ  
დროისთვის (1826წ.) ბუნებრივი მოვლენა იყო. ერთგან ხომ  
ფორმის ნაცვლად სრულიად არაბუნებრივად გვხვდება კომ  
ფორმა (10v).

განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია: რთული  
წინადადების ნაწილებს შორის წერტილი (.), ფრაზის ბო-  
ლოს ორწერტილი (:), მაგრამ ესეც არასისტემური ხასია-  
თისაა.

გადატანის ნიშნად გამოყენებული = და „ მაგრამ  
არც ეს გვხვდება სისტემურად.

გადამწერი ხშირად მიმართავს დაქარაგმებას. ძირი-  
თადად გვხვდება შუამოკვეცილობის მაგალითები: უი, ღი,  
წწყლი, მრთ, წე...

ტაბიძისეულ ხელნაწერში ყურადღებას იქცევს უფალ-  
ის დაქარაგმებული ფორმა, რომელიც ასეა წარმოდგენილი  
უფი. ამ დაწერილობას სისტემური ხასიათი აქვს. უნდა  
შევნიშნოთ, რომ მსგავსი დაქარაგმების ფორმა ჩვენთვის  
ცნობილ არცერთ ხელნაწერში არ გვხვდება.

მკითხველისთვის ადვილი აღსაქმელი რომ ყოფილი-  
ყო ქარაგმებით გადატვირთული, აგრეთვე განკვეთილო-  
ბისა და პუნქტუაციის წესების დარღვევით დასმული სას-  
ვენი ნიშნების გამო მნელად წასაკითხი ტექსტი, ქარაგმები

გავხსენით, ამოვიღეთ განკვეთილობის ნიშნები და შევეცა-  
დეთ თანამედროვე ნორმებისთვის მიგვეახლოებინა პუნქ-  
ტუაციის წესები. გარდა ამისა, რადგანაც ხელნაწერის  
ტექსტი გაბმულადაა ნაწერი, პრაქტიკული მოსაზრების გამო  
აბზაცებად დავყვით. ამასთანავე, სრულადაა დაცული  
ავტორისეული თხრობის მანერა, ლექსიკა, დავტოვეთ  
აგრეთვე გადამწერისეული მთავრული ასოები.

ჩვენს მიმოხილვას დავამთავრებთ თ. ქორდანიას სი-  
ტყვებით: „ანტონის სიტყვა გამოულეველი სიმდიდრეა ზეცი-  
ური მადლისა, დაუშრეტელი ცეცხლი მამობრივი სიყვა-  
რულისა, უფსკრული მჭევრმეტყველების, დაუშრეტელი  
წყარო სინანულის ცრემლთა. ანტონის სიტყვა საკვირვე-  
ლი ცეცხლია, რომელიც უკიდია ცოდვილს, მაგრამ არ  
სწავს, არამედ აღადგენს და განახლებს“ [1, II-III].

მანანა ბუკია

პირველსა კვირიაკესა  
მარხვათასა ქადაგება  
სინანულისათვის

იტყვის დიდი წინასწარმეტყველი დავით  
პორფიროვანი: „მძინარემან არღარა ნუ შესძინოსა  
აღდგომაო“.

მძინარემ თუ აღდგომა და განლვიძება არ შესძინა,  
სიკუდილი შეუდგება. ეს როგორ არ იცოდა  
წინასწარმეტყველმან, მაგრამ დავითის ჩვეულება  
არის – მცირე ლექსითა და მცირეს სიტყვითა  
მრავალს ჰაზრებს დანიშნავს; და ეგრეთვე წერილის  
პირის მოქმედება სხუათადმი, ხოლო ჰაზრნი  
სხვათადმი. და ესე გამოვიძიოთ, თუ რასაათვის  
კითხულობს ამას წინასწარმეტყველი.

მძინარეს კაცის ყოველნი ღმრთისა მიერ  
მიცემულნი საგრძნობელნი და ორღანონი  
უცნობელნი და უგრძნობელნი არიან  
განლვიძებამდის, და თუ აღდგომა და განლვიძება  
არ შესძინა, სიკუდილი შემოვა. ამისთვის დავით  
წინასწარმეტყველი მძინარეს უწოდებს ცოდვასშიდ  
მყოფსა კაცსა. როგორც მძინარე კაცი, ეგრეთვე  
ცოდვაში მყოფს კაცს ყოველნი კეთილნი

გრძნობანი მიღებული აქუს, თორემ როდეს  
შეიბლალება კაცი ღმრთის განმარისხებელის  
ცოდვისაგან და თუ განღვიძება არ შესძინა – ესე  
იგი სინანული – სიკუდილი შემოვა, დიდი  
სიკუდილი (ესე იგი წარწყმედა) და ამისთვის  
უბნობს – თუ ჰავადეთ, არღარა შეინანებთო?

აწ მოვიდეთ და ეს ვეძიოთ, თუ ღმერთს კაცის  
სინანული სწადია და იამება თუ არა: და ანუ თ/1vუ  
კაცი სინანულს არ შეუდგა, დასჯას მიეცემა თუ  
არა და ესენი ძველისა და ახლისა საღთო  
წერილებისაგან უნდა დავამტკიცოთ.

ღმერთმან ადამ თავის ხელით შექმნა და სულისა  
შთაბერვითა ცხოველ ჰყო და დაადგინა სამოთხესა  
შინა. და როდესაც სცოდა ადამმან, მაშინ  
სირცხვილეული იმალებოდა. ღმერთმან კმა უყო:  
„ადამ, ადამ, სადა ხარ?“ ღმერთმან როგორ არ იცოდა,  
სად იყო ადამ, მაგრამ ამისთვის კითხევდა, რომ  
ადამს თავისი ცოდვა შეენანებია და სინანული  
ეჩვენებინა და ეთქვა: „გცოდე, უფალო“; მაგრამ  
სინანული არ უჩვენა და არცა სინანულის სიტყვა  
მიუგო. ამისთვის დასწყევა ღმერთმან ადამი და  
გამოაგდო სამოთხიდან და ჰრქვა: „მიწა ხარ და  
მიწადვე მიიქეც“.

კაინმან რომ მმა თვისი მოაკუდინა, ღმერთმან  
ჰკითხა კაინს: „სადა არს მმა შენი აბელი?“ ღმერთმან  
როგორ არ იცოდა, თუ სად იყო აბელ, რომელსა  
თვით სისხლი აბელისი წინაშე მისსა ღაღადებდა.  
თვით ბრძანებს კაინისადმი: „სისხლი მმისა შენისა  
აბელისი ღაღადებს წინაშე ჩემსაო“, მაგრამ კაინმა  
რომ სინანული არ უჩვენა, დასწყევლა და გამოაგდო  
პირით მისით და დასაჯა.

აქამომდე ეს ძველისა იყო და აწ ახლისა მოვიდე  
და მოგახსენო: იუდამ ქრისტეს განცემა იზრახა და  
ქრისტემ მიუწოდელის საღმრთოს ძალით მისი  
იგი სიბოროტე სცნა და ამზილა. „ერთმან  
თქუცნგანმან მიმცეს მეო“, და კვალად „რომელმან  
შთამოყოს ჩემთანა კელი პინაკსა, იგი მომცემსო“.  
ამისთვის უბრძანებდა ამას, რომ ეგებ შეინანოსო,  
მაგრამ იუდამ არ შეინანა და დაბნელდა უგუნური  
იგი და მიეცა განუხსნელსა სატანჯველსა.

აი, საყვარელნო, აღმოჩნდა, რომ ღმერთს დიდათ  
უყვარს და უნდა კა/2ცის სინანული და თუ სინანული  
არ უჩვენა კაცმან ღმერთს, ისიც დაინახეთ, როგორს

სატანჯველს მიიღებს. და ესე იხილეთ, ღმერთმან  
თუ თავისი ხელით შექმნულს ადამს და თავის  
მოციქულსა და მოწაფესა უნანელსა არა რიდა და  
დასჯას მისცა, მაშა სადამე, შენ, უნანელი ათ წილად  
დასჯას მიიღებ და არც გრიდებს. ჯეროვანი არის  
აქ შენ ზედა იგავი სახარებისა – უკეთუ ნედლსა  
ხესა ესრეთ უყოფენ, ხმელსა რაღამე ეყოსა?

ეგებ ვისმეს ეგონოს, რომ უნანელად სცხონდეს,  
მაგრამე შეუძლებელ არის. მე გიჩვენებ თქუცინ  
ძალითა ღმრთისათა, რომ არავინ უნანელი არ  
ცხოვნებულა და არც ცხოვნება არ შეიძლება. ამას  
ძველიდამ დამოკიდებული აქამომდე გიჩვენებ და  
ყურად იღეთ: დიდი მამათ მთავარი აბრაჰამი, დღეს  
სასუფეველის მემკვიდრე, სინანულმან აცხოვნა,  
რომელსა გიმტკიცებს ანდრია კრეტელი მთავარ  
ეპისკოპოსი: „სიცხე დღისა დაითმინა რუდუნებით  
დიდმან მამათ მთავარმან და ყინული ღამისა“, და  
პავლე იტყვის: „რწმენა აბრაჰამს ღმერთი და  
შეერაცხა მას სიმართლედ“. აპა, აბრაჰამის სინანული  
და ამ სინანულმან აცხოვნა იგი.

დიდი მოსე აღვიდა მთასა დიდსა, უფლისა  
მიმართ დაიმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე.  
დიდი დავით წინასწარმეტყველი თვით თვისის  
ფსალმუნით გიჩვენებს და გიმტკიცებს, თუ როგორ  
ინანდა – უფალსა ღმერთსა უღაღადებდა: „აღხოცე  
უსჯულოება ჩემი, უფროს განმბანე მე  
უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან  
განმწმინდე მე“ და სხუასა ადგილსა იტყვის:  
„სარეცელი ჩემი ცრემ/2vლითა ჩემითა დავალტვე“  
და კვალად: „ნაცარი, ვითარცა პური ვსჭამე და  
სასმელი ჩემი ტირილითა ჩემითა განვზავე“. და ამ  
სინანულით მამად ღმრთისად იწოდა და მკვიდრ  
სასუფევლისა იქმნა.

აქამომდე ესენი ძველისაგან ჭმა გეყავნ თქვენ  
და აწ ახალში მოვედით და მოგახსენო. წმიდანი  
ქრისტეს მოციქულნი და საყვარელნი მოწაფენი  
რომელნიმე განიხერხენ, რომელნიმე განიტყავენ,  
რომელნიმე განიტვინენ, რომელნიმე განიგმირენ  
და ჯვარსა დაემჭვალენ და ამით სასუფევლი მოიგეს.

ამათთანა და უფროს ამათსა დიდი წინამორბედი  
და ნათლის მცემელი იოანე, რომელი დედის  
მუცლით ღმერთსა უღაღადებდა, მას რაღა  
სინანული ეჭირვებოდა, მაგრამ შიშველი, ტყავით

მოსილი უდაბნოსა და ტყეშიდ დაიარებოდა,  
რომლისათვის თვით უფალი ამტკიცებს: მოვიდა  
იოანე, არცა სჭამდა, არცა სმიდა და ესე ვითარის  
სინანულის შემდგომად სარწმუნოებისათვის  
ჭეშმარიტის თავი მოიკუეთა და ამით მდგომარეობს  
ქრისტესთან.

აწ, საყვარელნო, იხილე, ძველიდამ აქამომდე  
დამოკიდებული მტკიცე სიტყვა მოგახსენე, რომ  
უსინანულოდ არავინ ცხოვნებულა, და თუ ამათ კი  
სინანული ეჭირვებოდა და უსინანულოდ ესენი  
ვერ ცხოვნდენ, მაშ შენ, ლიტონი კაცი და ჩემებრ  
ცოდვათა შინა განფრდილი, როგორ იქმნება, რომ  
უსინანულოდ ცხოვნდე და აწ გარეშე სინანულისა  
სასუფეველის შვილად გამოჩნდე?

იქმნება ვინმე რომ აქ მსმენელთაგანი წერილის  
მებიებლობის მოყვარე და მკითხავს, რომ ადამმა  
ღმერთს რომ შესცოდა, მან როგორ შეინანაო, დღეს  
რატომ სასუფეველშიდ არისო? საყვარელნო, ჩემებრ  
უგუნურთათვის ესე კითხვა მძიმე არის  
განსამარტებელად, მაგრამ იმე/ჰდეულ ვარ მისა,  
რომელი იტყვის: „მე მოგცე პირი და სიბრძნეო“. ამ  
კითხვამ ჩემს შორის განრე მზომობა შემოიყვანა,  
ესე იგი, ვსწუხვარ და მიხარიან. ვსწუხვარ ამისათვის,  
თუ ჩემმან უცემან გონიერებამ რიგზედ ვერ  
განგიმარტოს თქუწინ. მიხარიან ამისათვის, რომ თვით  
ეს შენი კითხვა გიჩვენებს, რომ თვინიერ სინანულისა,  
ღმერთს შენი ცხოვრება არ შეუძლიან.

ოდესცა შექმნა ღმერთმან ადამ და შთაბერა  
სული ცხოველობისა და დაადგინა სამოთხესა შინა,  
მაშინ მცნებით უბრძანა, რათა არა ჰსჭამოს ხისა  
მისგან კეთილისა და ბოროტისა ნაყოფთაგან, თორემ  
სიკუდილით მოკუდებიო. გარნა ადამ სცთა და  
გარდახდა მცნებასა, და ღმრთის მცნებასა რომ  
გარდახდა, სამოთხისაგან განგდებულ იქმნა და  
შემდგომად სიკუდილსა მიეცა ჯოჯოხეთს.

ოდეს იხილა ღმერთმან, ადამ ჯოჯოხეთს შინა  
იტანჯებოდა მწარედ და უხაროდა ეშმაკებს მისი  
ჯოჯოხეთსა შინა მყოფობა და ეკიცხოდებ და  
ქენჯნიდენ და ეცინოდენ, შეეწყალა ადამ ღმერთსა  
და განიზრახა – ჩემი შექმნილი და ჩემი  
დაბადებული და ხატად ჩემად ქმნილი ასე როგორ  
უნდა იტანჯებოდეს ბილწთა ეშმაკთაგან  
ჯოჯოხეთს შინაო, მაგრამ რა ვჰყო, თუ ჩემითა

ძლიერითა კელმწიფებითა ვბრძანო აღმოყვანება  
მისი და აღმოვიყვანო, მაშინ უსამართლო  
მსაჯულად შევირაცხები ამისთვის, რომ თვით მე  
უბრძანე ადამს: „უკეთუ გარდახდე მცნებასა  
დაისაჯო-თქო“. გარდახდა მცნებასა და დაისაჯა  
სამართლად და თვით ჩემგან განპირობები ბრძანება  
და სამართალი მე როგორ დავარღვივო? და თუ  
არა დაუტეო ჯოჯოხეთსა ტანჯვად ადამისა, მაშინ  
ჩემის მამობის /3v სიყვარულს რა უყო? და აწ ჩემი  
უზომო მოწყალების კაცთ მოყვარეობა როგორ  
მოითმენს, ჩემგან შექმნილს ადამს ესრეთ  
საწყალობლად ტანჯულს უყურებდეო? და თუ ადამს  
დავსდვა სინანული, რომ თვისი ცოდვა მან  
შეინანოსო, კორცი არდარა აქუს, რომ მითი  
შეინანოსო და უხორცოდ სინანული არ შეიძლება.  
და თუ თვით ადამის კორცი არ შეინანებს, ისე  
მიტევება არ იქმნება და მაშ ჩემს საყვარელს შვილს  
ადამს რა უყო? და რადგანაც რომ თუ ადამის  
კორცი არ შეინანებდა, ისე ადამის აღმოყვანება  
ჯოჯოხეთიდამ შეუძლებელი იყო, ამისთვის თვით  
მოწყალების უფსკრულით ინება და გარდამოხდა  
ერთი სამებათაგანი ძე ღმრთისა და დაგლახაკნა,  
რომლისათვის იტყვის დავით: „დავგლახაკენ და  
დავმდაბლდი“ და შეიმოსა ძაძა, ესე იგი კორცი  
ადამისი, რომლისათვის იტყვის დავითივე: „შევიმოსო  
ძაძა“, და იშვა ქალწულისაგან კორცითა ადამისითა  
სრული ღმერთ-კაცი და იქცეოდა ქუეყანასა ზედა  
და მრავალთა საკვირველთა სასწაულთა იქმოდა,  
და იქცეოდა კაცთა თანა და რადგანაც დიდათ  
უყვარდა კაცი ღმერთს, უნდოდა, რომ დიდს ხანს  
ყოფილიყო სოფელსა ამას შინა და ყოველი  
კაცთათვის ეზვენებინა მისი უსაზღვრო მოწყალება  
და კაცთ მოყვარება, მაგრამ კიდევ ადამის  
მწუხარებამ მოუსწრაფლა და არ დააყენა ამ  
სოფელშიდ და თუ როგორ, მოგახსენოთ, ისმინეთ:  
ლაზარე ბეთანიელი, რომელი სახარებასა შინა  
მოიხსენიების, დიდი მეგობარი იყო იქსოს ქრისტეს  
ღმრთისა ჩვენისა; და ოდეს მოკუდა ლაზარე და  
დაფლეს დათა მისთა, მაშინ მივიდა ქრისტე, რათა  
აღადგინოს ლაზარე მკუდ/4რარი და დასდგა  
საფლავსა ლაზარესსა და წმა უყო: „ლაზარე,  
გამოვედ გარეო“.

მაშინ წმამან ამან საღმრთო ძლიერებისამან

ლაზარე ოთხისა დღისა მკუდარი დაყროლებული  
აღადგინა და ეს ჭმა ჯოჯოხეთში ადამს მოესმა  
და ადამმან სთქვა: „ესე ჭმა იმ ჭმას გავს, რომელიც  
მე რომ სამოთხეშიდ მიძახდა: „ადამ, ადამ, სადა  
ხარო“.

მაშინ ადამ სიხარულით წამოხლტა და  
ჯოჯოხეთსა შინა შეწყუდეულთ ჭმა უყო: „აპა,  
მოვიდა გამომხსნელი ჩვენიო“ მაშინ ბოროტთ  
ეშმაკთ კელი უჭიანეს ადამს და ისევ თავის  
სატანჯველშიდ დასვეს და უთხრეს: „შენ არა  
გიწოდს და არც ჯერ შენი ხსნის დრო მოსულაო“  
და ცეცხლის ჯოხით სცემდენ ადამს ეშმაკები და  
საწყლად სტანჯვიდენ.

ესე კი ადამის ტანჯვა რომ ქრისტემ საღმრთოს  
უშრომელის თვალით დაინახა, შესწუხდა სულითა  
და ტირილი იწყო, რომლისათვის დაჰსწერს იოანე  
ღმრთისმეტყველი: „და ცრემლეოდა იესოცა“.

არათუ ლაზარესათვის ტიროდა, ლაზარეს  
ტირილი რაღა ეჭირვებოდა, მკუდარი საფლავით  
აღადგინა. არა, ამისთვის სტიროდა, რომ ადამ, თავისი  
შექმნილი, ესრეთ განბასრული ნახა ეშმაკებისაგან  
და კაცი ღმერთს დიდათ უყუარდა, ამისთვის  
სტიროდა და ვეღარ დათმო ამოდენი ტანჯვა ადამისი  
და ეგრეთვე სხვათა კაცთა და ამისთვის  
მოუსწრაფლა და მისცა ნებსით თავი თვისი  
უსჯულოთა ჰურიათა, რომლისათვის იტყვის პავლე:  
„რომელმანცა მისცა თავი თვისი ცოდვათა  
ჩვენთათვის, რათა განგვარინნეს ჩვენ“.

შეიპყრეს იესო ჰურიათა, ჰსცეს, განბასრეს, ათრიეს,  
მრავალი სისხლი ადინეს, ეკლის გვირ/როგვინი  
დახურეს, პირსა ნერწყვიდენ, და რაოდენი  
წყლულება მას დასდვეს, ვის შეუძლია აღრიცხვა  
მისი.

აწ დიდება სულგრძელებასა შენსა, უფალო,  
რომელმან არა უბრძანე საფუძვლითურთ ქვეყანასა  
დანთქმა. რაღა მას შინა წარწყმედილ იყო ყოველი,  
ესე ვითარისა საკვირველებისა მოქმედნი  
უსჯულონი.

გარნა ესე ყოველნი ტანჯვანი მიიღო ადამის  
სიყვარულისათვის და ჩვენ კაცთა თვისცა, რომ  
ადამს თავის ცოდვა შეენანებია და შემდგომად  
ამისა ჯვარსა დამსჭვალეს და მოჰკლეს და  
სიკვდილიდ შემდეგცა არა უტიეს ჭორცი მისი

უტანჯველად, გვერდსა უგმირეს, სადიდამცა  
გარდამოხდა მკურნალი ჩვენი სისხლი და წყალი  
და ესრეთ სტანჯა ადამის ჭორცი და ამითი ადამს  
მიეტევა თავისი ცდომა, რადგან მე, მისმან ჭორცმან  
შეინანა, რომლისათვის იტყვის თვით უფალი:  
„შევინანე, რამეთუ შევქმენ კაცი“. ამას ამისთვის  
ბრძანებს, თუ ჩემგან შექმნილმან კაცმან, ესე იგი,  
ადამ ჰსცოდა, ისევ ჩემის სიკუდილითა და ტანჯვით  
და ადამის ჭორცით მე შევინანეო.

საყვარელნო მკითხველნო, რომ მკითხავდეთ,  
ადამმა როგორ შეინანაო, ეს იყო ადამის სინანული  
და ამით შეინანა ადამმან თავისი ცთომა და მე  
ვეჭვ, რომ საკმაო იყოს ადამისთვის ეს სინანული  
და ამ სინანულმან ადამ ჯოჯოხეთიდამ აღმოიყვანა  
და სასუფევლად აგო.

მსმენელნო, ვეჭვ მტკიცედ დამტკიცდა ეს სიტყვა  
და ცხადათ დაინახეთ, რომ თვინიერ სინანულისა  
კაცისა, ცხოვნება არ იქნება და არც ღმერთს თვინიერ  
სინანულისა კაცისა შეუძლიან. და რადგანაც ეს  
მტკიცედ დამტკიცდა, აწ მე მინდა მცირე რამე  
უნდა გელაპარაკოთ.

მსმენ/ჩელნო ჩემნო, მითხარით, თუ რამ მიზეზი  
გაქუსთ, რომ სინანულს არ შეუდგებით და  
სინანულით არ განიწმიდებით. ეგებ ვინმე ჩემებრ  
უგუნური ფიქრობდეს და სთქვას: „ცოდვა არა მაქუს  
და არაფერი ცოდვა მიქმნიაო და რა შევინანეო?“  
საყვარელნო, ამას თუ ფიქრობ, ყოვლად ყოვლითურთ  
უგუნურება არს და შენის უგუნურებით  
მოცთუნებული ჯოჯოხეთს მიეცემი.

დიდი წინასწარმეტყველი დავით გეტყვის:  
„უგუნური და უცნობო ერთბამად წარწყდეს“.  
ამისთვის მე დამერწმუნე, შობილი კაცი უცოდველი  
არაოდეს ყოფილა და არც აწი იქმნება და თუ მე  
არ დამერწმუნებით, საღმრთო წერილით  
დაგიმტკიცებ ძველითა და ახლითა: ეზრა, მღუდელი  
ძველისა სჯულისა, იტყვის, რამეთუ „ჭეშმარიტად  
არავინ არს ნაშობთაგანი, რომელნიცა არა სცოდა“.  
ამას დაემოწმება ეკვლესიასტე: „არა არს კაცი  
მართალი ქვეყანასა ზედა, რომელმან არა სცოდა“.

ეს ძუელიდამ ისმინეთ და აწ ახლისა მოგახსენო:  
იოანე ღმრთის მეტყუელი იტყვის: „უკეთუ ვსთქვათ,  
ვითარმედ ცოდვა არა გვაქუს, თავსა თვისსა  
ვაცდუნებთ და ჭეშმარიტება არა არს ჩვენთანა“

და ამას წმიდანი მამანი დაამტკიცებენ, რამეთუ  
არა არს კაცი, რომელ სცხონდეს და არა სცოდოს.

ძველიდამ და ახლიდამ იხილე, თუ უცოდველი  
კაცი იქმნება და შენ მხოლოდ საიდამ იქმნები  
უცოდველი. ამით ნუ ცთებით, ში, ძმაო, ნუ ყოვნი  
სინანულისათვის; ეკრძალე, ნუ უკუე სიკუდილი  
გეწიოს უნანელსა, თორემ თვინიერ ჭორცისა  
სინანული არ იქმნება. მიწა საფლავსა შინა ვერ  
ინანს და ქრისტე მეორედ შენთვის არ  
განჯორციელდება და აქავე დაუყოვნებელად  
შეუდევ სინანულსა და მით განაბრწყინდი  
სასუფეველის შვილად და თუ არ დაირწმუნებ / 5v  
და მაშინ დიდის პავლეს სიტყვა აღსრულდება  
შენ ზედა: „ყოველმან სჯულისა გარდამავალმან  
და ურჩმან მიიღოს სასჯელი კვალად გებისა“.

ეგებ კიდევ მითხრათ, რომ დიდი ცოდვა მაქვსო  
და სინანულს რომ შეუდევ და ღმერთმან არ  
მომიტეოს და ამ სოფელსაცა მოვცდე და ღმერთმან  
ეგებ არ მიმიღოს და განმაგდოსო. ვაი შენს  
უბადრუკებას, როგორ დაბნელებული ფიქრი გქონია!  
თუ ამას ფიქრობ, ყოვლითურთ უღმრთო ყოფილხარ  
და დამასკელი დაგიმტკიცებს: „უღმრთოთა ვერ  
იხილონ დიდება ღმრთისა“. ამას ნუ ფიქრობ, ამის  
ნუ გეშინიან. შენ სინანულს შეუდევი და მე ძალითა  
კაცთმოყვარისა ღმრთისათა ამ ფიქრისაგან  
განგისვენებ. თუ ეს გულში გაქუს, მაშ, ქრისტეს  
განჯორციელება არ გწამებია.

ქრისტე ცოდვათა ჩვენთათვის განჯორციელდა.  
თვითონ ის ბრძანებს: „არა მოვედ წოდებად  
მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.  
ისმინეთ, რასა უბნობს. რადგან ცოდვათა ჩვენთათვის  
განჯორციელდა, მაშ, დაირწმუნეთ, რა იმისთანა  
მცოდველი იყო და სჯულის გარდამავალი, თუ  
სინანულს შეუდგები, რომ შეინანო.

ისაიას პირით გიბრძანებს: „უკეთუ იყვნენ  
ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა  
თოვლი განვასპეტაკო, ხოლო უკეთუ იყვნენ  
ვითარცა ძოწეულნი მეწამულნი, ვითარცა მატყლი  
განვასპეტაკო“.

იხილე, შვილო, ვინც ცოდვის მიმტევებელი არის,  
ამას გიბრძანებს და თავის უტყუელის პირით ესრეთ  
გპირდება; და საიდამ იქმნება, რომ ცოდვა  
სინანულმან არ გასწმინდოს და არ მოგიტეოს?

ამის ფიქრისა და შიშისაგან შენი გული შორს  
ჰყავ, მე დამერწმუნე, საყვარელო!  
აპა, მითხარი, ვინ იყო მცოდველი და მონანული,  
რომ არ შეინან?! დავითმან ჰსცოდა ცოდვ/ნრა დიდი,  
რომლისათვის იტყვის მეტყველი: „დავითმან შესძინა  
უსჯულოება უსჯულოებასა ზედა და კაცის კულა  
მრუშებასა ზედა“ და თვით დავით დაამტკიცებს  
თვისთა დიდთა ცოდვათა და იტყვის: „რამეთუ  
უსჯულოებანი ჩემნი აღემატნეს თავსა ჩემსა და  
ვითარცა ტვირთი მძიმე დამიმძიმდეს ჩემ ზედა“.  
ესრეთ მცოდველი იყო, მაგრამ სინანულით ასრე  
განიწმიდა თავი თვისი, რომ თვით ღმერთი მამად  
უწოდს.

მანასე, იუდიანთ მეფე, დიდი რამ მცოდველი იყო,  
რომელმანცა თვით პირით მისით ცხად ჰყო:  
„განმრავლდენ უსჯულოებანი ჩემნი, უფალო,  
განმრავლდენ და არა ვარ ღირს აღხილვად და  
ხილვად სიმაღლესა ცისასა სიმრავლისაგან  
ცოდვათა ჩემთასა“. ესრე ვითარი მცოდველი იყო,  
მაგრამ სინანულით თავისი აურაცხელი ცოდვანი  
აღხოცა და შეინანა და შვილ ღმრთისა იქმნა და  
ამათ თუ ესე ვითარი ცოდვა შეინანეს, შენ რათ  
ფიქრობ ამას, თუ სინანულს შეუდგები, ღმერთმან  
არ შეგინდოს. ამას ნურაოდეს ნუ ფიქრობ,  
საყვარელო, და ნურც ამისთვის ქრისტეს მომგებელს  
სინანულს ნუ დააყენებ, უნანელო.

ასრე მაიძულე დღეს შენ, რომ ასრეთს თქმას  
გავბედავ, ყოველს მსმენელს უკვირდეს. რასა? თვით  
ქრისტემ რომ მიბრძანოს, ტყუკილად ინანო, შენს  
ცოდვას სინანულით ვერ მიიტევებო, უთუოდ  
ტყუკილი იქმნება და ნურც დაიჯერებ. თუ რისთვის,  
ამისი მაგალითი მოგართვა:

ნინევის ქალაქშიდ ცოდვა დიდად განმრავლდა  
ასე, რომ ღმერთმან ბრძანა დაქცევა მისი, ვითარცა  
სოდომ-გომორისი და უბრძანა წინასწარმეტყველსა  
იონას: „წადი და უქადაგე სამი დღე და ნინევი  
დაიქცესო“. მოვიდა იონა და ღმრთის ბრძანება  
განუცხადა ნი/ზნეველთ და უქადაგა: „სამი დღე და  
ნინევი დაიქცესო“. ეს რომ ესმათ, ნინეველთ  
შეიკდიმეს, შეშინდენ და სინანული დაიწყეს. თვით  
მეფემან და ყოველთა ნინეველთა ძაბა ჩაიცვეს,  
ნაცარი თავსა დაიყარეს, იმარხულეს და იტირეს.  
და შეუდგენ დიდს სინანულს. ღმერთმან რომ მათი

სინანული დაინახა, უსაზღვრო კაცთმოყვარების  
მოწყალებით მათი ცოდვა მიეტევა და თავის  
ბრძანება ტყუვილად გამოიყვანა, რომლისათვის  
იტყვის იონა: „და შეინანა ღმერთმან სიბოროტესა  
ზედა, რომელი სთქუა ყოფად მათდა და არა უყო“.

იხილე, საყვარელო, ძალი სინანულისა. ღმრთის  
ბრძანება დაარღვია და მისი გულის წყრომა უკუნ  
აქცია და წინასწარმეტყველი განაცრუა. ეს ძალი  
აქტს, საყვარელო, სინანულს და შენ როგორ იტყვი,  
რომ არ შემინდოსო? არა, შენ სინანულს შეუდექი  
და იმისთანა ცოდვა არ იქმნება, ღმერთმან არ  
შეგინდოს და კიდევ შვილად სასუფევლისად  
გამობრწყინდები და თუ არ დამიჯერებ და მაინც  
და მაინც იუდასაებრ სასოწარკვეთილებას მიუდგები  
და მაშინ კმა უფლისა შენ ზედა აღსრულდება.  
უკეთ არ შეინანოთ, უგრეთ სახედ ყოველნი  
წარწყმდეთ. ეს რომ მითხარ, რომ არ შემინდოსო,  
ამის ნაცვალი ხომ ეს იყო მოგახსენე; და ამას რომ  
უბნობ, სინანულს შეუდგე და ამ სოფელსაც  
მოვცდეო.

ში, უგუნურებასა და უპატიოსა მიზეზსა, თორემ  
ახლა რომ ამ სოფლის ფუფუნებაშიდ ხარ,  
მომცდარი არ გგონია შენი თავი. როგორ მომცდარი  
არ ხარ, ათასი წელიწადი გასძლო, მაშინაც ერთი  
დღე არის შენთვის და ერთის დღის  
განსრულებისათვის დაუსრულებელს განსვენებას  
კარგავ; და მოცთუნება ამის უფრო რაღა იქმნება?  
თუ მოცდუნებული არ ხარ.

სად არიან შენნი ამხანაგნი, / 7v შვენიერნი და  
მდიდარნი, გულოანნი, რომელიც გუშინ შენთან იყო  
და იხარებდა და ამ სოფლის ფუფუნებას შეექცეოდა,  
ისინი სადა არიან? მე გიჩვენო, მთახვიდე  
საფლავშიდ, თუ დამპალი და დაყროლებული და  
მატლთაგან შეჭმული არა არიან.

სადა არიან მათი შვენიერება და მათი დიდება  
და მათი ამ სოფლის სიხარული, ანუ სადღა  
იპოვებიან? ყოველივე კვამლსავით განქარდა, და  
შენც ხომ ესრედ მოელი ხვალ და იხილე თუ  
მოცდუნებული არ ხარ.

ნუ, შვილო, წუთისა სიხარულისათვის ნუ  
დაკარგავ საუკუნოს ცხოვნებას, შეუდეგ სინანულს  
და გამობრწყინდი შვილ მამისა ზეცათასა. კიდევ  
რომ უბნობ, ქრისტე ღმერთმან არ მიმიკაროს და

განმაგდოსო, ეს სრულიად ცუდი მიზეზი არის.  
მიჩვენე ერთი ვინმე, რომელი განაგდო. მეძავი მივიდა  
და არ განუგდია და შეუნდო; ავაზაკი მივიდა და  
მკვიდრ სასუფეველისა ჰყო; მეზვერე მოციქულად  
აღრაცხა. ცოდვილს განაძებს კი არა, იქით  
მოუწოდებს. აიდ რასა გიბრძანებს: „მოვედით ჩემდა  
ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე  
განგისუენო თქუცხ“ განგაძებს კი არადა, მოგეხვევა,  
მკერდზედ მიგიყრდნობს, ქედზედ გაკოცებს, თავის  
სისხლიანს ფერხს, კელს და გუერდს გიჩვენებს და  
გეტყვის: „ცოდვილო, ესე წყლულება შენთვის  
მივიდეო, რომ შენ შენი ცოდვა შეგანანებაო“ და  
როდესაც გნახავს მონანულს, მკარზედ აღგისვამს  
და მიგგვარებს მამასა ზეცათასა და შეგაერთებს  
ზეცისა ძალთათანა და იქმნების დიდი სიხარული  
ცათა შინა, რომლისა არს დიდება უკუნითი  
უკუნისამდე. ამინ:

/ 7v მეორესა კვირიაკესა წმიდათა  
მარხვათასა  
ქადაგება მარხვისათვის

ბრძანებს უფალი პირით ისაია  
წინასწარმეტყველისათა: „მარხვა, უქმი,  
დღესასწაულობა თქუცნი სძაგლს სულსა ჩემსა“.  
ეს წინასწარმეტყველის წმა და ჩემ მიერ დღეს  
ქადაგების დასაბამად მიღებული მსმენელთათვის  
განსაკვირვებელი არის ამისთვის, რომ მარხვა, უქმობა,  
დღესასწაულობა ღმერთმან დიდ ნიჭად მისცა კაცსა  
და თუ ვინმე ამას აღასრულებს, რათ უნდა სძაგდეს  
ღმერთს? აქ ჯეროვანი არის ვაჩვენოთ, თუ მარხვა,  
უქმი და დღესასწაულობა როგორი ნიჭი არის  
კაცისათვის და ღმრთისა და მეუფისა სასიამოვნოთ.

ეს ძველისა იყო და აწ ახლისა საღმრთო  
წერილებით დავამტკიცოთ საღმრთოს ძალით: დიდი  
მოსე მარხვამან განსწმინდა და ესრეთ მახლობელ  
ღმრთისა გამოაჩინა, რომ თვით ღმრთის მახლობელ  
იქმნა და ღმერთი პირით მისით უბრძანებდა და  
მოსე მიუგებდა და თითითა თვისითა დაწერილი  
მცნება მოსცა. მარხვამან ელია ესრეთ განსწმინდა,  
რომელ მკუდრისა აღდგინებისა შემძლებელ იქმნა  
და ღმრთის სათნოდ გამოსჩნდა მისი მარხვა, რომ

არსების გამოსაზრდელსა ღმერთი ყორნისა მიერ  
მოუვლენდა. მარხვამან დანიელ ესრეთ აღჭურა,  
რომ განძვინებულთა ლომთათანა ჯურლულშიდ  
შესაჭმელად რომ ჩააგდეს, მომყმარმან მკეცმან ვერ  
ავნო მას და მოამდოვრნა მძვინვარენი მჯეცნი და  
უვწებელი აღმოვიდა ჯურლმულიდამ.

ეს ძველიდამ დაგიმტკიცე, რომ მარხვა როგორი  
ნიჭია კაცისათვის და ვითარ სათ/გრი ღმრთისა  
და აწ ახლისა სჯულისაგან დაგიმტკიცო: წმიდათა  
და საღმრთოთა მოციქულთა, რომელნიცა  
აჩრდილითა მკუდარსა აღადგენდენ, მათ ეშმაკთაგან  
ვნებული კაცი ვერ განკურნეს და მისგან ეშმაკი  
ვერ განხადეს. მოვიდენ მოციქულები და თვით  
უფალსა და მოძღვარსა მათსა იესო ქრისტეს  
მოახსენეს: „უფალო, რომელნი მადლითა შენითა  
მკუდარსა აღვადგენთ და მრავალთა  
განსაკვირველთა საქმეთა ვიქმთ, მაგრამ ეშმაკისაგან  
ვნებული ვერ განკურნეთ“. მაშინ ქრისტემან მიუგო  
მათ და რქვა: „ნათესავი ესე არარათ განვალს, გარნა  
ლოცვითა და მარხვითა“. აპა, მსმენელნო, ვეჭვ  
გულსავსება მიიღეთ, რომ მარხვა დიდი რამ არის  
და სათნო ღმრთისა და განმდევნელი ეშმაკისა და  
წმიდა მყოფელი კაცისა.

აწ უქმობისათვის მოგახსენოთ. უქმობისათვის  
კმა საყოფელი გაქუს მაგალითი თვით ყოველთა  
შემოქმედისა ღმრთისა, რომელსა დასწერს მოსე  
შესაქმითსა წიგნთა შინა: ექცსა დღესა შექმნა  
ღმერთმან ცა და ქვეყანა და ყოველნივე ქმნულნი  
მას შინა. დღესა მეშვიდესა განისვენა ყოველთაგან  
საქმეთა მისთა. და აქ იხილე, თუ ღმერთმან განიჩინა  
დღე ერთი უქმად თავისა თვისისათვის.  
განსაკვირვებელი არ არის, რომ ჩვენ მიგვაჩნდეს  
დღესასწაულობა და უქმობა დღესა უფლისა და  
ყოველთა მისთა წმიდათასა.

აქ კიდევ დასამტკიცებელი სიტყვა მივიღოთ:  
ღმერთმან ათთა მცნებათაგან ერთი ეს დაუდვა  
მოსეს: დღესა ექვსთა იქმოდე, ხოლო დღესა  
მეშვიდესა განისვენო ყოველთაგან საქმეთა შენთა.  
იხილე, რომ ღმერთს რიგიანი უქმობა სწადია და  
სათნოდ უჩნს.

იქნება მითხრათ, ძველს სჯულშიდ ბრძანა  
ღმერთმან და ახლა სად გვიბრძანაო? საყვარელნო,  
ძველი მცნება მოცემული ქრისტეს არ დაურღოვია,

არამედ უ/8vმეტესად შესძინა და განაშვენა,  
რომლისათვის იტყვის მახარებელი იოანე: „სჯული  
მოსესაგან მოგვეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება  
ქრისტეს იესოს მიერ იქმნა“ და ამას თვით  
უტყულის პირით დაამტკიცებს: „არა მოვედ  
დახსნად სჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა,  
არამედ აღსრულებად“. და აქ იხილე, რომ უქმობა,  
რადგან მაშინ უბრძანა მოსეს, არ დაარღვია, არამედ  
მოსვლითა მისითა უმეტესად დაამტკიცა და ჯერ  
არს, რათა უქმოდეთ დღესასწაულსა მისსა და  
ვადიდებდეთ და განვისვენებდეთ. და აღმოჩნდა, რომ  
უქმობა დიდი ნიჭი არის კაცისა და სათნო ღმრთისა.

ჩვენი სიტყვა აქამომდე მარხვისა და  
უქმობისათვის იყო და აწ დღესასწაულობისათვის  
ვიტყოდეთ: მსმენელნო, მე იმედი მაქუს თქუცნენი  
საღმრთო სიყვარულისაგან, რომ  
დღესასწაულობისათვის ბევრი მაგალითი არ  
დამჭირდეს. ვინათგან თქვენ ხედავთ, თუ უფალმან  
ჩვენმან იესო ქრისტემან რამოდენი სხვა და სხვა  
საქმენი და სასწაულნი აღასრულნა ჩვენისა  
ცხოვრებისათვის, რომელ უკანასკნელ მისცა თავი  
თვისი დასჯასა საკვირველსა და სიკვდილსა და  
რად საჭირო არს ამისი თქმა, რომ ჩვენ მონათა  
მისთა გვიღირს დღეთა მისთა დღესასწაულობა,  
ლოცვა, ფსალმუნება და ქება.

იხილე, რასა იტყვის წინასწარმეტყველი დავით:  
„ესე არს დღე უფლისა, რომელ ქმნა უფალმან,  
ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“. ჩვენ არათუ  
ვდღესასწაულობდეთ დღეთა მისთა, თუმცადა  
სრულიად სიკუდილად მივსცეთ თავნი ჩვენნი  
ქებისა და დიდებისა და დღესასწაულობისა  
მისისათვის. მაშინცა ათასის თავსა მისისა  
მოწყალებისასა ნაცვალ ექმნების, რომლისათვის  
იტყვის დავითვე: „რა მივაგოთ უფალსა  
ყოვლისათვის, რომელი ესე მომაგო ჩვენ“?! მაგრამ  
ისევ ჩვენის მოწერა/ყალებისათვის სურს, რომ ვაქებდეთ  
და ვადიდებდეთ და ვდღესასწაულობდეთ დღეთა  
მისთა, რათა ჩვენ მივიღოთ ცხოვრება დაულევნელი  
და ამით ცხადათ დაინახეთ, რომ მარხვა-უქმი და  
დღესასწაულობა დიდი ნიჭი არის კაცისა და  
სასიამოვნო ღმრთისა და ჯეროვანი არის, რომ  
აღვასრულებდეთ:

დღეს ჩვენ ქადაგების დასაბამად სამნი ლექსნი

დავსდევით: მარხვა, უქმი და დღესასწაულობა და აქამომდე ვიუბენით, მაგრამ, რადგან სიტყვა ჩვენი განგრძელდება და მსმენელთა შორის მოწყინება შემოვა, მისთვის დღესასწაულისა და უქმობისათვის ჩვენი სიტყვა დავაყენეთ და რადგან დღეს უამი არის მარხვისა, მხოლოდ მარხვისათვის ვიტყოდეთ: აქ თქვენ მეტყვით, რომ, რადგან ესე ვითარი დიდი ნიჭი არის და ღმრთის სასიამოვნო მარხვა, მაშ, რაისთვის იტყვის წინასწარმეტყველი, რომ სძაგს სულსა ჩემსაო?

საყვარელნო მსმენელნო აქ ქადაგებამ დღეს ესრეთ მოიყვანნა, რომ ადგილი გაქუსთ ამის კითხვისა და რადგან მკითხავთ, ძალითა ყოვლად წმინდისა სულისათა თითოეულად მოგახსენოთ და განგიმარტოთ: ეგებ ჩემი უგუნურების გამოცდილთ ჩემგან შეუძლებელად აღიჩნდესთ, მაგრამ რომელმან იგი კლდისა მისგან მწარისა აღმოუცენა წყალი ისმაილთა, არა ვემე საკვირველ არს. უკეთუ მანვე ყოვლად ძლიერმან ღმერთმან ლოდებრივისა ამის გულისა ჩემისაგან აღმოგიცენოს თქვენ წყალი ცხოველი სიტყვათა ჩემთა და თუ სიტყვა ჩემი განგრძელდეს, ნუ მოიწყინებთ თქუცნ; მკითხვიდეთ და მე მოგიგებთ.

ჯერ აქ მე ერთს გაითხავთ: მითხარით, თუ მარხვა რა არის? მეტყვით: „მარხვა როგორ არ ვიცი, წორცს არ / 9v ვჲამო, მარხვა ეს არისო“. მე გეტყვი, ეს მხოლოდ მარხვა არ არის. თუ ეს მარტო გგონია, ცდები. წორცს არც ეშმაკი სჭამს, მაგრამ ამითი სასუფეველშიდ ვერ შევა.

თეოდორე სტუდელი იტყვის: „მარხვა არა მხოლოდ ჭამადთაგან შემოისაზღვრებისო“. მარხვა მარტო წორცის ჭამისათვის არ არის. მარხვა ყოვლისა ბიწისა და ვნებისაგან აღკრძალვას ქვიან და არა მარტო ჭამას. წორცს არ ჭამ და ნაყროვნებ, შეანგანაკოებ, უწესოდ იმაძლრავ გულსა და გონებას? აქ გასინჯე, თუ როგორი მარხვა არის. ამით უმეტეს ტანჯვას მოუგებ შენს თავს: ნაყროვანება და სიმთვრალე დიდი საძაგელია ღმრთისა. პავლე მოციქული ქმობს: „ნუ დაითრობით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე“ და განშინჯე, რადგან სიბილწე არის, რა საკვირველი არის ღმრთის საძაგელიც იქმნება: წორცს არ სჭამ და ნაყროვნებ და მომთვრალეობ. არათუ ამ გვარის

მარხულობით სასუფეველს მოიგებ, არამედ  
უმეტესად ტანჯვასა და ჯოჯოხეთს მიეცემი და  
ქრისტესაგან განვარდები.

ეგებ ვინმემ მითხრას და უფრო ამას მომთვრალე  
და ნაყროვანი მეტყვის: მაშ რა ვქნა, თუ არა ვსჭამე,  
მოვკუდებიო. საყვარელნო, ნუ მიზეზობთ, ვიდრემდის  
მკელობ ორითავე გოჯითა? მე ამას არ გეუბნები,  
თუ ნუ რას სჭამ-თქვა. უფალი იესო არ გეუბნება,  
ნუ სჭამო. მე როგორ გეტყვი, ქრისტე იესო გასწავებს  
თვისსა ლოცვასა შინა: „პური ჩვენი არსობისა  
მოგვეც ჩვენ დღესო“ და მე როგორ გეტყვი, ნუ  
სჭამ-თქვა, მე გეუბნები – ნუ ნაყროვნებ, ნუ  
მომთვრალეობ, აკანაკოებ და მარხვა წმიდად დაიცვი,  
თორემ მარტო კორცის უჭმელობას მარხვად არ  
შერაცხავს უფალი და ამისთვის უწესო მარხვა  
თქუცნი სძას სულსა / 10r უფლისასა.

ეგებ კიდევ არ დაიჯეროთ ეს ჩემი სიტყვა და  
შეუდგეთ თქვენს პირველს საქციელს: ნაყროვანებას,  
მემთვრალებას და უწესოდ სიმღერასა და როკვასა  
და მეაკანკაობასა, მაგრამ მაშინ უფლისა ჩვენისა  
იესო ქრისტეს თქმული თქუცნ ზედა აღსრულდება.  
უფალმან ქრისტემან ღმერთმან თვისთა მოწაფეთა  
უბრძანა, რამეთუ „ვითარცა იგი იყვნეს დღეთა მათ  
პირველთა წყლით რღვნისა, სჭამდეს და სმიდეს,  
იქორწინებდეს მუნ დღემდე, ვიდრემდე შევიდა ნოე  
კიდობნად“ და ვერ სცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით  
რღუნა იგი და წარიღო ყოველი. ეგრეთვე შენ,  
საყვარელო, სჭამ და სვამ უწესოდ და მომთვრალეობ.  
მაშინ მოიწიოს წყლით რღვნა, ესე იგი სიკუდილი,  
და ვიდრემდე შეხვიდოდე კიდობნად, ესე იგი  
სინანულად, და წესიერ მარხვამდე და წარიღოს  
ყოველი, ესე იგი კორცი მიწასა შინა, ხოლო სული  
ჯოჯოხეთამდე და მოგაშთოს მას შინა და  
იტანჯვოდე საწყალობელად.

უდიდესი მტკიცე დამტკიცება მივიღოთ კიდევ,  
რომ ნაყროვანება და სიმთვრალე და უწესო ჭამა  
კაცს უთუოთ ჯოჯოხეთად შთაიყვანებს: პირველი  
მამა ჩვენი ადამ თვით ღმერთმან თავის ხელით  
შექმნა და გააკეთა და საკუთრად თავისი სული  
შთაბერა. გასინჯე, რა დიდი საკვირველი მოწყალება  
არის და თვით თავის გაკეთებული სამოთხეშიდ  
დააყენა და უბრძანა მას: ამ ხილს ნუ სჭამო, მაგრამ  
ეშმაკის განზრახვით გარდახდა მცნებასა და სჭამა

და ის მცნების გარდახდომა ადამის ნაყროვანება იყო. მაშინ ღმერთმან თვით მის ხელით ქმნულს არა რიდა, სამოთხიდამ განაგდო და შემდგომად სიკუდილისა ჯოჯოხეთს მისცა. ეგრეთვე შენ, საყვარელო, ქრისტე თავის პირით /10v გიბრძანებს პავლე პირი ქრისტესიო და იმ პავლეს პირით გიბრძანებს, „ნუ დაითობითო“ და შენ არ დაიჯერებ, მცნებას გარდახდები და ნაყროვანობ და თვრები. თუმც თვით საყვარელს თავის შექმნილს და თავის სულ ჩაბერვილს ადამს არა რიდა, შენ სულ როგორ დაგრიდებს. გამოგაგდებს სასუფევლის შვილებისაგან და მიეცემი ჯოჯოხეთსა და გეტყვის: „წარვედინ ჩემგან, წყეულო“.

საყვარელო, მე არ გეუბნები, ნუ სჭამ-თქუა. სჭამე, მაგრამ ნუ ნაყროვანებით და სიმთვრალით, ნუ მდიდრისაებრ. მდიდარმან რქვა სულსა თვისსა: „სულო, სჭამე და სუ და იხარეო“ და მომავალისათვის არა განიზრახა. მაშინ წმა ესმა: „უგუნურო, ამას დამესა მიგიღო სული შენი“. საყვარელო, ეკრძალე, რათა არა შენცა განიცადო და გესმას წმა ესე საშინელი და საზარო და რომ მკითხავ: ჩემი მარხვა რათ სძაგს უფალსაო, შენი მარხვა რომ ესრეთის ვნებისაგან ბიწანი არის, ამისათვის იტყვის წინასწარმეტყველი: „სძაგს სულსა ჩემსაო“.

საყვარელნო მსმენელნო, ვსწუხვარ, ვაი თუ შეგაწუხეთ სიტყვის განგრძელებით, თორემ ჯერ მე მარხვისათვის თქმას ვერ დავადუმებ. მეტყვის ვინმე მსმენელთაგანი, მარხვაშიდ წორცს არ ვსჭამო, ოთხშაბათს, პარასკევს სადილს არ ვსჭამო და მაშ როგორ ვქნაო? ეს წომ ფარისევლის წმა არის: „ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა“, მაგრამ მისი მარხვა არ შეიწირა ღმერთმან, ვინათგან მისი გული სხუათა ვნებათაგან განსივებული იყო. ეგრეთვე შენ მარხულობ, მაგრამ მმა გმულს, შური ვისიმე გაქუს, ტყუვილს უბნობ, ჰანგარება და ქრთამი გიყვარს და მარხულობ. ვაიმე, უბადრუკს, რა ტყუვილად ცდები. აქ ქრისტეს ბრძანება დაუზავდება ბურნაკსა და სწყვ/11rრავთ, ხოლო აქლემსა შთანთქავთ და თუ როგორ ტყუვილად ცდებით, მე გიჩვენოთ და დაგიმტკიცო, რომ ამათ ვნებათაგანი თუ ერთიც არის შენთან, მაშინაც ტყუვილად ცდები და შენი მარხვა ტყუვილი შრომა არის.

დიდი ქადაგი და ღმრთის მეტყველი იოანე იტყვის:

„რომელმან სთქვას, ღმერთი მიყვარს და ძმა თვისი  
სძულდეს, მტყუარ არს იგი და ჭეშმარიტება არა  
არს მისთანა“. იხილე, რადგან ძმა არ გიყვარს და  
ჭეშმარიტებაც აღარ იქმნება შენთან და ეს იფიქრე,  
რადგან ღმერთი არ გიყვარს, მაშ, შენი მარხვა უხმარი  
შეიქმნა და ტყუვილად ცდები და ესე ვითარის  
მარხვისაგან სასუფეველს კი არადა, უმეტეს დასჯას  
მიიღებ.

კიდევ დავამტკიცოთ: პირი ქრისტესი, პავლე  
ქადაგებს: „ენასაღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა  
ვიტყოდე, ხოლო სიყვარული არ მაქუნდეს, ვიქმენ  
მე ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილი,  
რომელი ხმობენ“.

აწ მაინც რასა იტყვი? რა გაქუს სათქმელი,  
მარხულობის მოქადულო? ნახე, რომ თუ სიყვარული  
არა გაქუს, ყოვლითურთ უხმარია შენი მარხვა. თუ  
სიყვარული არა გაქუს, უსულო ნივთად და  
უგრძნობელად გიწოდა პავლემ და უსულო ნივთს  
რა ერგება მარხვა. მაშა სადამე, საყვარელო, თუ  
სიყვარული არა გაქუს და არ გიყვარს ძმა შენი,  
ესე იგი ყოველნი ნათელდებულნი, შენი მარხვა  
ყოვლითურთ უხმარი არის და ტყუვილად სცდები,  
ფარისევლისაებრ დაისჯები.

იქმნება ვინმემ კეთილმან სულმან ეს ჩემი  
უმეცრებით ნათქვამი შეიგონოს და მოვიდეს  
სიყვარულად, მაგრამ სხვანი ვნებანი იპოებოდეს  
მათს შორის. არა, საყვარელნო, რაც მე ვსთქვი  
უწინარეს ამისა, ამას მე ვერ უარ ვყოფ. კიდევ იმას  
გეტყვი – ზემო თქმულთაგანი ვნებანი თუმცა ერთნი  
იპოვებიან შენ შორის, მაინც შენი მარხვა უხმარი  
არის და თავსა / 11v თვისსა აცდუნებ და შენი მარხვა  
ამისთვის სძაგს სულსა უფლისასა.

კიდევ, საყვარელო, მარხულობ და შური გაქუს  
ვისიმე და ბოროტის წილ ბოროტების მიგებას  
უპირებ. აქ მე ერთი უნდა გკითხოთ: ნეტამც ვიცოდე  
რისთვის მარხულობთ? მე ესე ვგონებ, ამისთვის  
მარხულობთ, ცოდვა თქვენი მოგიტეოსთ ღმერთმან  
და სასუფევლის შვილად აღირაცხოთ ცოდვის  
მიტევებით, მაგრამ მე დაგარწმუნებთ, რომ თუ  
ვისმესი შური გაქუს და ვისმესი გწადია ბოროტისა  
წილ ბოროტი, არა ოდეს შენის ცოდვის მოტევება  
არ იქმნეს. ამას მე თუ არ დამერწმუნებით, თვითონ

იმ ცოდვის მიმტევებელმან რომ გითხრას, არ  
მიგიტევებო, მაშინაც არ ირწმუნებთ? ცოდვის  
მომტევებელი ქრისტე არის, რომელმანცა შენის  
ცოდვის მიტევებისათვის სისხლი დასთხია და  
ჯვარსა დაემსჭვალა. ის გიბრძანებს თვისის უბიწო  
პირით: „უკეთუ არა მიუტევნებთ კაცთა შეცოდებანი  
მათნი, არცა მამამან ჩემმან მოგიტევნეს შეცოდებანი  
თქუცნი“.

აწ რაღას იტყვი, არღა გაქუვს ადგილი სიტყვისა.  
დადუმდი და გამოდი შურისა და ბოროტის ნაცვალ  
გებისაგან და მაშინ მარხვა შენი წმიდა იქმნას და  
მიიღო ცოდვათა მიტევება და იქმნე შვილ მამისა  
ზეცათასა. საყვარელო, თუ ვინმე ბოროტი მოგაგოს,  
შენ უნდა მოითმინო. ამისთვის ის ბოროტი შენგან  
მოთმენილი სასუფევლის მკვიდრად გამოგაჩინებს,  
რომელსა გიბრძანებს: „ნეტარ იყვნენ დევნილნი  
სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი  
ცათა“. ამის უმჯობესი რა გინდა? და თუ ბოროტის  
ნაცვლად ბოროტს მიაგებ, ნაცვლად იმ ნეტარებისა  
კმისა მიზეზ გექმნების ტანჯვისა და გეენისა.

იხილე, თუ დევნულნი როგორ სასუფეველს  
დაიმკვიდრებენ, ხოლო მდევარნი რისხვასა  
განიკუთნებენ: მსმენელნო, ირწმუნეთ მოყუსისა  
ბრალისა მიტევებისა დიდი რამ ძა/12rლი აქვს. ისმინე  
ელის ძეთა მიმართ თვისთა მეტყველისა – უკეთუ  
ცოდვით სცოდოს კაცმან კაცისა მიმართ და  
ილოცონ მისთვის, ხოლო უკეთუ ღმრთისა მიმართ  
სცოდოს, ვინ ილოცოს მისთვის? ამ დიდს  
წყლულებას ლოცვა ადვილად ვერ დახსნის, მაგრამ  
მე გეტყვი, თუ ამ წყლულებას რა დახსნის: მიუტევე  
მოყვასს ბრალი და მოგიტეოს ღმერთმან  
შეცოდებანი შენნი, და გესმის წმად იგი სანეტაროდ:  
„შვილო, მიგეტევნენ შეცოდებანი შენნი“.

აწ მერწმუნე, საყვარელო, დაემოწაფე ამდენს  
საუფლოს კმას და გამოდი შურისად ბოროტის  
მოგებისაგან და მარხვაც შენი მაშინ საყვარელ  
იქმნას ღმრთისა და უკეთუ არა მარხვაცა შენი  
ბიწიანი არს და ამისთვის იტყვის  
წინასწარმეტყველი: „მარხვა თქუცნი სძაგს სულსა  
ჩემსაო“.

რადგან მკითხეთ, ჩვენი მარხვა რად სძაგს  
უფალსაო? მაშ კიდევ უნდა გითხრათ, საყვარელნო,  
და ნუ მიწყინებთ: ცრუობ, ტყუვილს ლაპარაკობ

და მარხულობ. ეს საქმე თით [?]ითქმის სიცილის ღირსი არის. საყვარელნო, ვის ეცრუვები? ვის ატყუვებ? გგონია, სხვას ვისმეს ატყუებ. არა, შენს თავს ატყუებ. უცილოდ გრწამდეს ჩემი. შენს სიცრუეს შენს იქით სხვაგან არსად შეუძლიან წარსლვა. ისმინე, რასა გეტყვის დიდი მეფე და წინასწარმეტყველი დავით: „და სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა დაუხდეს“ და ორწმუნე - შენი სიცრუე შენთანავე არს და შენ თხემზედ. ისევ შენს თავს ავნებ შენის ტყუილით, თორემ სხვისი ვნება შენის ცრუობით არ შეგიძლიან. დავითვე გეტყვის: „ხნარცვი თხარა და აღმოკვეთა იგი და შთავარდეს იგი მთხრებლსა მას, რომელიცა ქმნა“. ისევ შენის თავის მთხრებლს ითხრი შენის სიცრუით, რომელშიდაც შთავარდე და აღმოირჩიო.

კიდევ უდიდესად დაგიმტკიცო: სული წმიდა გიბრძანებს პირითა კვალად დავით წინასწარმეტყველისათა: / 12v „რომელნი იტყვიან სიცრუესა, მას არ წარემართოს წინაშე თვალთა ჩემთა“. თვით გიბრძანებს, თუ ცრუობ, ჩემს წინაშე არა წარგემართებაო და მაშ რას მარხულობ. და ანუ ნუ ცრუობ და თუ სიცრუეს არ მოიშლი და ნუ მარხულობ და ჯოჯოხეთისათვის გაამზადე თავი შენი.

ეს ძველიდამ დაგიმტკიცე, თუ სიცრუე როგორ წარსაწყმედელი არის და აწ ახლისგან საღმრთო წერილისა დაგიმტკიცო: სიცრუე დიდი რამ ვნება არის, ჯოჯოხეთის საშინელს სატანჯველს მოიგებს სიცრუე, ვითარ პავლე სამ ცამდე აღწევნილი გეუბნების: „იცის უფალმან ღმრთის მსახურთა მათ განსაცდელთაგან ხსნა, ხოლო ცრუნი იგი დღესა მას სასჯელისასა დაიმარხნეს“.

უყურე ამ სიტყვის ძალას, რომ ვითარ თუ ცრუობ, ვერაფერი სინანული ვერ გამოგიყვანს, სანამ არ მოიკვეთ და ჯოჯოხეთის შესაწველი ნივთად განმზადებულხარ და რადგან სიცრუე ჯოჯოხეთის მომპოვებელი არის და შენ სიცრუე გიყვარ, მაშ შენი მარხვა უხმარი არს და ტყუვილად ცდები.

კიდევ ძველის წერილიდამ გეტყვი და დაგიმტკიცებ. დიდი სოლომონ ბრძენი გიბრძანებს თვისთა სიბრძნეთა შინა: „პირი მტყუარი მოკულენ სულსა“ და, რადგან შენს სულს შენის მოქმედებით მოიკლავ, ამის უდიდესი ღმრთის საწყენი რაღა

იქმნება? და რადგან სულს კლავ, ღმერთი შენს  
მარხვას როგორ მიიღებს და ან როგორ შეიწირავს?!

სიცრუე დიდი ღმრთის საძაგელ არს. ამას  
სიბრძნის წყარო სოლომონვე გიმტკიცებს: „საძაგელ  
უფლისა ბაგენი მტყუარნი“ და შენ ღმრთის  
საძაგელს სიცრუეს მოქმედებ და კიდევ მარხულობ.  
ამისთვის საძაგელს უფალსა შენი მარხვა, რომ ესე  
ვითარის ღმრთის საძაგელის საქმით თან აღრეული  
გაქცუს. ამას ღმერთი არ შეიწირავს და ტყუვილად  
ცდები.

ეგებ ვინმემ სიცრუის მდომელმან გითხრას, რომ  
ღ/13rმერთს ხომ სიცრუეს არ ვეტყვიო, კაცს ვეუბნები  
სიცრუესო. საყვარელო, დაგიმტკიცო, რომ კაცს არ  
ეუბნები სიცრუეს, ღმერთს ეუბნები: ანანიამ  
მოციქულებს სიცრუე უთხრა. თუმც მოციქულნი  
სულის წმიდით განპრძნობილნი იყვნენ, მაგრამ  
კაცნი იყვნენ ჭორციელნი და მათ რომ ანანიამ  
ტყუვილი უთხრა, დაეცა და სული წარხდა და  
მოკუდა და მოციქულებმან უთხრეს: „არა ეცრუე  
შენ კაცთა, არამედ ღმერთსა“. ეგრეთვე შენ კაცს  
ეუბნები სიცრუეს; კაცს კი არ ატყუებ, ღმერთს  
ატყუებ და ჯეროანი არის, მოციქულების თქმული  
შენზედ ითქვას: „არა ეცრუე კაცთა, არამედ ღმერთსა“  
და შენ ანანიასებრ დაეცე და სული წარგხდეს და  
მიეცე ჯოჯოხეთს ღმრთის საძულველი სიცრუვის  
მოქმედებისათვის.

საყვარელო, გამოდი ღმრთის საძაგელის  
სიცრუისაგან, განსწმიდე მარხვა, რათა არა  
საძულველ იყოს ღმრთისა და მიემთხვიო შვილებასა  
სასუფევლისასა.

მსმენელნო, ერთიდა დამრჩენიეს უდიდესი სხვათა  
ვნებათა განმრყუნელი და განმაქარვებელი მარხვისა  
და უნდა მოგახსენოთ და შემეწიოს ყოვლად წმიდა  
სული: მარხულობ, მაგრამ ჰანგარებ და გიყვარს  
ვერცხლის მოხვეჭა და ქრთამი. საყვარელნო, ესე  
არს დედა ყოველთა ვნებათა, ესე არს ყოველთა  
ვნებათა უსამაგლესი ვნება, ესე არს ყოველთა  
სათხოებისა დამრღვეველი, ესე არს ქრისტეს  
შვილებისაგან გამომვარდნელი.

მარხულობ და ჰანგარებ და მოქრთამეობ და  
ქრთამით ვეცხლს იხუეჭ. ჭეშმარიტად აღსრულდა  
ისაიას თქმული შენ ზედა: „დაუბნელდენ თვალნი  
მათნი, რათა არა იხილონ და დაუსლბენ გულნი

მათნი, რათა არა გულის ჯმა ყონ“ . ჰანგარო და  
მოქრთამეო, დღეს ან უნდა გამოხვიდე  
ჰანგარებისაგან, ან მე და შენ ერთმანეთს უნდა  
შევძაგდეთ. მე შემწედ მყვანან გულშიდ წმიდანი / 13v  
წინასწარმეტყველნი და დიდი ბრძენი სოლომონ  
და ახალშიდ წმიდანი მოციქულნი და წმიდანი  
მამანი და შენ ერთიც არავინ გეპოება შემწე და  
მითხარ, რით მიწინააღმდეგებ? ჯერ ამას გვითხავ,  
ვისთვის კრებ და ვის უნახავ ნაანგარევს თეთრს?  
არ იცი, ვის უნახავ. დავით გეტყვის: „არა ვინ უწყის,  
თუ ვის შეუკრიბოს იგი“. გამოჩნდა, რომ თურმე  
შენი არ ყოფილა. გავს, რომ უფრო ეშმაკისათვის  
კრევ, რომელი საგზალ გექმნების ჯოჯოხეთისა  
და გეჰენისა; მე ასე ვჰვინებ – შენ ამისთვის  
მარხულობ, რომ ცოდვის სასინაულოდ და  
გიძლოდეს სასუფევლის გზაზედ და ჯეროვანიც  
ასე არის, მაგრამ თუ ქრთამს იღებ და მარხულობ,  
მგონია სასუფეველის გზა უმეტესად დაგეზოგოს.

დიდი ბრძენი სოლომონ იტყვის თვისთა იგავსა  
შინა: „რომელი მიიღებდეს ქრთამსა, წიაღთა შინა  
არა წარემართნეს გზანი“; და ამით იხილე, თუ  
უმეტეს არ დაგეხშა კარი: მარხვა სულის  
საცხოვნებლად არის, თორემ მარხვა დიდი  
შესაწუხებელი არის კორცისათვის. რათ იწუხებ  
თავს, თუ არ ცხონდები.

იგივე სოლომონ ბრძენი იტყვის „წარწყმიდოს  
თავი მექრთამემანო“ და რაღანაც ქრთამი გიყვარს  
და თავს წარიწყმედ, მაშ რათ მარხულობ? ესე  
ვითარი ბოროტით შეზავებული მარხვა დიდი ცოდვა  
არის და სატანჯველის მომპოვებელი და ეს არის,  
რომ იტყვის წინასწარმეტყველი: „სძაგს სულსა  
ჩემსაო“.

საყვარელნო, ჰანგარება როგორ არის, აქამომდე  
ძველის წერილებით გიჩვენე და აწ ახლის  
წერილებით გიჩვენო. ვითომ მარხულობ და  
სათხოებას წარმოაჩენ და შინაგან სულის  
მაკუდინებელის გესლით სავსე ხარ, ესე იგი  
მოქრთამეობითა და ჰანგარებით. ბრძანებისაებრ  
ქრისტესისა: „გარეთ ჰსჩანან შვენიერი, ხოლო  
შინაგან სავსე არიან ნატაცებითა და არა  
წმიდებითა“. ეს სულ უმძიმეს წარსაწყმე/14rდელი  
არის.

მე გიჩვენებთ აქ, საყვარელნო, რომ თუ ჰანგარება

და ქრთამი გიყვარსთ, ყოვლის ცოდვის  
აღმასრულებელი ხარ და რადგან ყოვლის ცოდვის  
აღმასრულებელი ხარ და არ მოიკვეთ და არ  
შეინანებ, მაშ რა გაცხოვნებს?

დიდი მამა ჩვენი და სინანულის მოძღვარი იოანე  
სინელი დასწერს: „ვეცხლის მოყვარება არის დედა  
ყოველთა ბოროტა“. იხილე, რადგან ვეცხლის  
მოყვარება ყოვლის ბოროტის დედა არის და  
რადგან შენ ვეცხლისა და ქრთამის მოყვარე ხარ,  
მისი ნაშობებისაც აღმასრულებელი შეიქმნო და  
რადგან ყოვლის ბოროტის მოქმედი ხარ და დღესაც  
იმას მოქმედებ, მაშ, შენი მარხვა აღმოჩნდა, რომ  
ყოვლითურთ უხმარი არის.

აწ სრულიად მტკიცე დამტკიცება მივიღოთ, რომ  
ჰანგარებისა და მოქრთამეობისაგან თუ არ გამოდი,  
შენი ცხოვნება შეუძლებელი არის. დიდი პავლე,  
ქრისტესგან ჭური რჩეული, დასწერს: „ჰანგარება,  
რომელ არს კერპთ მსახურება“ და თან მოწამედ  
ყავს წმიდა იოანე სინელი: „ვეცხლის მოყვარება  
არს თაყვანისცემა კერპთა და სული არს  
ურწმუნოებისა“. აწ მაინც დაირწმუნე, რომ თუ  
ვეცხლი გიყვარს და ქრთამი, კერპთ მსახური ხარ  
და ურწმუნო და კერპთ მსახური და ურწმუნო  
სასუფევლშიდ ვერ შევა, არამედ შვილნი არიან  
ტანჯვისა და გეენისა; და თუ გეენის შვილება  
არ გინდა, გამოდი ჰანგარებისა და მექრთამეობისაგან  
და მარხვითა განწმდი და იქმენ შვილ სასუფევლისა.

მსმენელნო, ვეცხლის მოყვარებამ ორისავეს  
სოფლის მოკლება იცის, რომელსაც მემოწმების  
ოქრო ნეკტარი იოანე: „უგუნურნი ვეცხლის  
მოყვარენი მოაკლდებიან ორსავე ცხოვრებასა“; და  
თუ როგორ მოაკლდებიან ორსავეს ცხოვრებას,  
ჭეშმარიტი მაგალითი მოგართვა: იუდა უფლისა  
ჩვენისა იესოს ქრისტესგან ათორმეტთა საყვარელთა  
მისთა მოციქულთა თანა აღრაცხილ იყო და  
მოწაფედ, მაგრამ ვეცხლის მოყვარებამ ასე დააბრმო  
უბადრუ/14vკი, რომ თვით მეუფე და მოძღვარი თვისი  
განყიდა და შემდგომად თავი თვისი მოიშთო და  
სატანჯველსა და ჯოჯოხეთსა მიეცა. ეგრეთვე შენ,  
ვეცხლის მოყვარეო, ვეცხლისმოყვარებისათვის შენს  
სულს ყიდი. ჭეშმარიტად იუდასებრ ამ სოფლით  
მოიშთვები, რომ ყოველის კაცის საძულველი და  
საკიცხველი შეიქმნები და იმ სოფლით

ჯოჯოხეთშიდ იუდასთან მკვიდრ იქმნები და ამით  
იხილეთ, თუ ვეცხლის მოყვარებამ ორივე სოფელი  
არ მოგაკლო.

ში, ჰანგარო და მოქრთამეო, ამდენი ხანი თქვენს  
ლაპარაკშიდ დავყავ, რატომ ერთი არა პასუხი  
მომიგეთ?! მაგრამ არარაი პასუხი გაქცესთ და  
უმჯობეს არს დადუმდე. გამოდი საძაგელისა მაგ  
ვეცხლის მოყვარებისაგან და მოიძულე ქრისტეს  
ღმრთისაგან საძულველი მაგ მექრთამეობა, დაიწყე  
შემდგომად წმიდა მყოფელი მარხვა და შეგიწიროს  
მამამან ზეცათამან ძლვენი უბიწო და იქმნე შვილი  
მამისა ზეცათასა.

საყვარელნო მსმენელნო, მე მოხარული ვარ, რომ  
თქუცნ გულ სავსება მიიღეთ ამისი, რომ  
წინასწარმეტყველი რომ იტყვის: „მარხვა, უქმი და  
დღესასწაულობა თქუცნი საბაგს სულსა ჩემსაო“, ეს  
ცხადათ დაინახეთ, რომ მარხვა დიდი ნიჭი არის  
კაცისა და საყვარელ ღმრთისა, მაგრამ სხვათა  
ბოროტთა ვწებათაგან რომ შებდალული იქმნება,  
ამისთვის იტყვის წინასწარმეტყველი: „საბაგს სულსა  
ჩემსაო“.

მსმენელნო, ამ ქადაგებაშიდ მრავალჯერ  
მოვიხსენე, რომ მარხვა დიდი ნიჭი არის კაცისა და  
საყვარელი ღმრთისა. გასინჯე მარხვის სათნოების  
საზომი, რომ თვით უფალმან ჩვენმან იესო  
ქრისტემან იმარხა, რომელსა დასწერს მახარებელი:  
„იმარხა უფალმან ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე“.  
მისთვის მარხვა საჭირო არ იყო, მაგრამ ამისთვის,  
რომ ჩვენ გვიჩვენოს. მარხვა დიდი სარგებელი არს  
სულისა და საყვარელ ღმრთისა, მაგრამ მარხვა თუ  
უბიწო არ არის და სხვა /15r ვნებისაგან განშორებული,  
ისე ღმერთი არ შეიწირავს.

კაინმაც მიართვა ძლვენი უფალს, მაგრამ სხვა  
ვნებათაგან რომ შებდალული იყო, არ შეიწირა.  
მოსე დასწერს: „კაინსა და მსხვერპლსა მისსა ზედა  
არა მოიხედა უფალმანო“. ეგრეთვე თუ შენი მარხვა  
წმიდა არ არის, არ შეიწირავს ღმერთი და არც  
მაზედ მოიხედავს და ესე ვითარის ბიწიანის მარხვის  
შეწირვით კაინისამებრ დაისჯები.

აქ ერთი მცირე რამ მდაბიური მაგალითი  
მოგახსენო: დიდთა მეფეთა დამპყრობელთა  
ჩვეულება არის, რომ უსასყიდლო თვალი წმიდა  
და უშურველი ძლუნად იამებათ მათ საუნჯეშიდ

დასადებად. მოვიდეს ერთი კაცი და მოართვას თვით  
მპყრობელსა მეფესა ერთი უსასყიდლო თვალი  
ჭიისაგან დამღილული და დახვრეტილი და  
განრყვნილი. იმას იგი თვითმპყრობელი მეფე არ  
მიიღებს და უბრძანებს: „საყვარელო, მართალი არის,  
სასურველი არის ჩემთვის უსასყიდლო თვალი  
დასადებელად საუნჯესა შინა, მაგრამ არა ესრეთ  
განრყვნილი და დამღილული და შენი მიიქცინ  
სარცხვენებად შენადვე“; და წავა კაცი იგი  
სირცხვილეული. ეგრეთვე მარხვა დიდი რამ  
სასურველი არის ღმრთისა და საყვარელი ძღვენი,  
მაგრამ თუ სხვა ვწებათაგან დამღილული და  
განრყუნილი არის, არ მიიღებს და არ დასდებს  
თავს საუნჯეში, ესე იგი, თავის მოწყალების  
უფსკრულშიდ, არამედ გიბრძანებს: „მიიქცინ  
შენადვე სასირცხო ძღვენი ეგე და წარვედ  
სირცხვილეული საუკუნესა სატანჯველსა“.

საყვარელნო, უეჭველად სცანით, რომ მარხვა  
დიდი რამ ნიჭი არის კაცისა და საყვარელი ღმრთისა,  
განმანათლებელი სულისა და განმაქარვებელი  
ცოდვისა, მაოტებელი ეშმაკისა და ფრთოვან  
მქმნელი სულისა.

მაშ, განსწმინდეთ და მიიღეთ მარხვა, განაგდეთ  
ზემ/15vnm ხსენებულნი ვწებანი, შეიკრძალეთ მარხვა  
უბიწო და შეუბლალავი და მით ფრთოვან იქმნეთ  
და აღფრინდეთ ცათა შინა და იქმნეთ შვილი მამისა  
ზეცათასა და განბრწყინდეთ, ვითარცა მზე წინაშე  
საყდართა ქრისტესთა, რომლისა შვენის დიდება  
და პატივი აწდა საუკუნეთა ამინ.

მესამესა კვირიაკესა მარხვათასა  
ქადაგება მოწყალებისათვის

სული წმიდა გვიბრძანებს პირითა  
წინასწარმეტყველისა დავითისათა: „ილოცეთ და  
მიეცით უფალსა ღმერთსა ჩვენსა“.  
ლოცვა დიდი რამ არის განმანათლებელი და  
მფრთოვან მყოფელი არის სულისა. ეს  
დამტკიცებული არის და ზედ რომ დართავს:  
„მიეცით უფალსა ღმერთსა ჩვენსა“, ამან აღმოაჩინა,  
რომ ღმერთი ჩვენგან მისაცემს თხოულობს და ეს  
არის საძიებელი; მაგრამ ღმერთს ჩვენგან რა უნდა  
ესაჭიროებოდეს მისაცემი, რომელ ყველგან არს

და ყოველსავე აღავსებს. თვით დაამტკიცებს: „ჩემნი არიან ცანი და ჩემი არს ქუცყანა“ და მას ჩვენგან მიცემა რა უნდა უნდოდეს, მაგრამ სული წმიდა რომ ბრძანებს: „მიეცით უფალსა ღმერთსაო“, დამტკიცდა, რომ თხოულობს მისაცემს და ეს გამოვიძიოთ, თუ როგორ თხოულობს.

წინასწარმეტყველი იტყვის ძალითა სულისა წმიდისათა: „რომელი მისცემს გლახავსა, ავასხებს და მისცემს შემოქმედსა თვისსა“. აღმოჩნდა, რომ თურმე გლახავის მიცემა და მოწყალება საკუთრად ღმრთის მიცემა და მოწყალება ყოფილა და ეს არის, წინასწარმეტყველი რომ იტყვის: „მიეცით უფალსა ღმერთსა ჩვენსაო“.

რადგან ეს ცანით, გლახავის მიცემა ღმრთის მიცემა ყოფილა, აწ მე არღა იჭუნეულები მისთანა. აქ მსმენელთა/16rგანი ვინმე აღმოჩნდეს, რომ გლახავს არ მისცეს და მოწყალება არ დაიწყოს და ნურც ყოს ღმერთმან. მოვიდეთ და ჯერ ეს ვსთქვათ, გლახავნი ვინ არიან?

საყვარელნო, გლახავნი მხოლოდ ისინი არ არიან, რომელსაც აკლია წელი, ფერხი, თვალი თუ ენა. არა, გლახავნი არიან ისინიც, ქრისტეს სახარებისა თქმისაებრ, რომელნიცა არიან მშიერნი, მწყურვალენი, ღარიბნი, ბრმულნი, სნეულნი, პყრობილნი, უცხონი და სხვა ესევითარნი. მოკლედ ვსთქუათ, ყოველნი მწუხარებასა შინა მყოფნი. რაითაც მწუხარე იქმნება, ვინც ვინ იყოს, ყველანი გლახავნი არიან. აწ აქ ჟამი, არის ეს ვეძიოთ, გლახავის მიცემა დასტურ თუ ღმრთის მიცემა არის და ან გლახავის მოწყალებას რა ძალი აქუს: ქრისტე იესო მაცხოვარი ჩვენი გვიბრძანებს პირითა საღმრთო დავითისითა, რომელსა მამად უწოდს: „ყვედრება დაითმინა სულმან ჩემმან და გლახავობა“; და მეორეს ადგილსავე იტყვის: „გლახავ და დავრდომილი ვარი მე“.

მსმენელნო, გასაკვირვებელი არის ეს წმა. შემოქმედი ცისა და ქუცყანისა, ბრძანებელი ზღვათა და ქართა, მეუფე ზესთა უხილავთა ძალთა გლახავი როგორ იქმნება და ან დავრდომილი? მაგრამ ამ სიტყვას ეს ძალი აქუს და ამისთვის ბრძანებს, ვინც გლახავსა და დავრდომილს და შეწუხებულს შეიწყალებს, განყოფა არა აქუს ამას, ვითამც მე შემიწყალებსო და ამისთვის უწოდს თავსა თვისსა

გლახავად. არათუ გლახავს აძლევ, არამედ მაძლევ  
მეო, მე ვარ გლახავიო.

დიდი ბრძენი ისო ზირაქის ძე იტყვისთ თვისთა  
სიბრძნეთა შინა: „ცხოვრებასა გლახავისასა ნუ  
ზვებულ ყოფ და ნუ მიაქცევ თვალსა  
მთხოველისაგან, რამეთუ ავასხებ და მისცემ  
ღმერთს“. დაამტკიცა დიდმან ბრძენმან სულითა  
წმიდითა, რომ გლახავის მიცემა და მოწყალება  
სწორე/16vდ ღმრთის მიცემა და მოწყალება ყოფდა  
და ამას აღარა აქუს ცილება;

და ეს ძველი საღმრთო წერილებით დაგიმტკიცე  
და აწ ახალშიდ მოვიდეთ: იაკობ მოციქული იტყვის:  
„მსახურება წმიდა და შეუგინებელი ღმრთისა მიერ  
მამისა ესე არს მიხედვა ობოლთა, ქვრივთა და  
გლახაკთა ჭირსა შინა მათსა“. ხედავთ, რას უბნობს?  
არათუ ობლისა, ქურივისა და გლახავის მსახურება  
არისო, არამედ ღმრთისა და მამისაო. მერმეთ  
როგორი მსახურება – წმიდა და შეუგინებელიო.

და იხილე, საყვარელო, სწორეთ ღმრთის  
მსახურება ყოფილა გლახავის და შეწუხებულის  
მსახურება. და ამის უმჯობესი რაღა იქმნება, შენს  
დამბადებელს და არა არსისაგან არსად  
მიმყვანებელს მსახურებდე. და ვინღა იქმნება  
ესრეთი, რომ ამას არ შეუდგეს და არა სწამდეს,  
რადგან გლახავის მსახურება სწორედ ღმრთისა  
და მამისა მსახურება არის.

აქ ერთი ისტორია მოგახსენოთ: დიდი  
იუსტინიანე მართლ მორწმუნე მეფე  
კონსტანტინეპოლისა დიდი მოწყალე იყო გლახაკთა  
ზედა. დღესა ერთსა განმარტოებით მიფარულს  
ადგილს დაიარებოდა. იხილა იქ ერთი შიშველი  
დავრდომილი, მოინდომა ჩვეულებრ მოწყალების  
მიცემა, მაგრამ გლახაკთ მისაცემი იქ არა ქონდა  
რა და სხვისა ვერს მშვებელმან მოიხადა თვისი  
სამეფო პორფირი და უბოძა გლახავსა მას და  
თვით წარვიდა. იხილა გლახავმან ესე უძვირფასესი  
ნივთი, განიზრახა: „ესე ჩემთვის რად სახმარი არისო.  
ამას გავყიდი და ამის ფასით დიდ ხანს  
გამოვიზრდებიო“. წარვიდა და მიყიდა ერთს  
დიდებულს ვაჭარს და მან ვაჭარმან სანახავად  
ყოველთათვის სავაჭრო სახლის წინ დაკიდა –  
ეგებ ვინმემ იყიდოსო. დღესა ერთსა მოვა დიდებით  
იუსტინიანე მეფე იგი. იხილა თვისი პორფირი

სავაჭრო სახლის წინ დაკიდებული, მოუწოდა  
ვაჭარსა მას და კითხა: საიდამ იშოვე სამეფო  
პორფირი ეგეო? მან მოახსენა: გლახაკმან ერთმან  
ვინმემ მომყიდაო. მაშინ მწუხარე იქმნა მეფე იგი  
და რა მიიქცა სახლად თვისად, შევიდა თვისა  
სასაიდუმლოესსა სახლსა შინა და დაიწყო ტირილი  
და მწუხარება, თუ რად გლახაკმან ჩემი მიცემული  
არ ინდომა და გაყიდაო. მაშინ მეფესა მს გამო/17r  
ეცხადა თვით ქრისტე და რქვა: „მეფეო, რად  
მწუხარებო“? უჩვენა, რომ რომელიც პორფირი მეფემ  
მისცა გლახაკსა, თვით ქრისტეს ეცვა იგი და რქვა:  
„აპა, მეფეო, არათუ გლახაკსა მიეც, არამედ მე მომეც  
და მე მაქუს, წუ მწუხარებო“. იხილე ამ უცდომელის  
ისტორიისაგან, თუ გლახაკის მიცემა ღმრთის მიცემა  
არ ყოფილა.

მსმენელნო, ზემოთ წმიდათა წინასწარმეტყველ-  
თა და მოციქულთა სიტყვით თქმული გიჩვენე და  
აქ საქმით დაგიმტკიცე, რომ გლახაკის მიცემა ღმრ-  
თის მიცემა ყოფილა. ეგებ ვინმემ, ჩემისთანა  
უგუნურმან, სთქვას: “გლახაკის მიცემა ღმრთის  
მოცემა რათ იქმნებაო“, მაგრამ თვით ქრისტე ღმე-  
რთმან რომ გითხრას, სწორეთ გლახაკის მოწყა-  
ლება ჩემი მოწყალება არისო, მაშინაც არ  
დაიჯერებ? ქრისტე გიბრძანებს: „რაოდენი უყავთ  
ერთს ამას მცირედთაგანსა, იგი მე მიყავითო“. აწ  
მაინც დაიჯერე და თუ ქრისტეს სიტყვას არ  
დაიჯერებ და ურწმუნო ყოფილხარ და ურწმუნო-  
თათვის ცეცხლი განმზადებულ არს. ეს ხომ აღ-  
მოჩნდა და დამტკიცდა, რომ გლახაკისა და მწუხა-  
რეთ მოწყალება ღმრთის მოწყალება ყოფილა და  
აწ ესე ვსთქვათ, თუ გლახაკის მოწყალებას  
რა ძალი აქუს.

მსმენელნო, ყოველი იგი, რაიცა გლახაკის  
მოწყალებას ძალი და საზომი აქვს, სულ რომ ვსთქვა,  
ვეჭვი ჩემს ცხოვრებაშიდაც ვერ დავასრულებ, მაგრამ  
დღეს რაოდენი დაშვენდება და მსმენელთა შორის  
მოწყინება არ შემოვა, იმოდენის თქმის შეძლება  
მომცეს ძალმან ყოვლად წმიდისა სულისამან.

გლახაკის მოწყალება დიდი რამ არის, დიდი  
ძალი აქუს. კაცის სანატრელი ორი ცხოვრება არის.  
ერთი ამ სოფლით სიცოცხლე უბოროტო და მეორე  
საუკუნო იგი ცხოვნება. და აწ რომელსა მოწამედ  
მყავს დიდი წინასწარმეტყველი დავით: „ნეტარ არს,

რომელმან გულის ჭმა ყოს გლახაკსა და  
დავრდომილსა. დღესა ბოროტსა იხსნას იგი  
უფალმან, დაიცვას იგი და აცხოვნოს იგი“.

მტკიცედ აღმოჩნდა, რომ გლახაკისა და  
მწუხარების მოწყალება ამ სოფლით გაცოცხლებს  
და ყოვლის ბოროტისაგან დაგიცავს და იმ სოფელს  
გაცხოვნებს. ესე იგი, სასუფევლის შვილად  
გამოგაჩინებს და ამის უმჯობესი სანეტარო რაღა  
იქმნება? და თუ არადა მოწყალებას არ იმოქმედებ  
და არ მოხედავ გლახაკსა და შეწუხებულს, მაშინ  
დიდი რისხვა და სასჯელი შეუძლიან ნაცულად  
სიცოცხლისა და ცხოვ/17vრებისა, რომელსა გეტყვის  
მოციქული იაკობ, რამეთუ „სასჯელი უწყალო არს  
მათვის, რომელთა არა ყონ წყალობა“. და აქ  
ცხადად დაინახეთ, რომ ეს ძალი აქუს მოწყალებას:  
თუ გლახაკსა და შეწუხებულს სწყალობ – ორსავე  
ცხოვრებას მოიგებ. თუ არ სწყალობ და  
დაულევნელს ტანჯვას მიიღებ, სადა  
საწყალობელად იტანჯებოდე საუკუნოდ.

მე მგონია, ყოველი სარწმუნოება და სათნოება  
ამისთვის იყოს, რომ კაცმან თავისი ცოდვაც  
შეინანოს და ცოდვისაგან სატანჯველი არ მიეცეს  
და ეს გლახაკის მოწყალებას შეუძლიან. სადა  
ამტკიცებს დიდი ბრძენი ისო ზირაკის ძე: „ცეცხლსა  
აღტკინებულსა დაშრეტს წყალი და ქველის საქმენი  
განსწმენდს ცოდვილსა“ და მოხედე, რომ თურმე  
ყოველს ცოდვას გლახაკის და შეწუხებულის  
მოწყალება განაქარვებს და რადგან ცოდვა  
განქარდება, რა საკვირველია, უცოდველი კაცი  
ანგელოზთ დასშიდ დაეწესება და შენ, სხეული  
კაცი მომაკვდავი და განხრწნადი, უსხეულო  
ანგელოს დასშიდ განწესდე და ყოვლის შემოქმედს  
ღმერთს, რომელსა სერაბინ-ქერაბინნი უძრწიან,  
წმიდა არსს უდაღადებდე. იფიქრე, ამის უმჯობესი  
რა იქმნება? ამ სოფელშიდ ათასი წელი გასძლო  
და ყოველი სოფლისა ამის დიდება შენი იყოს,  
მაშინაც ერთი დღე მხოლოდ უმჯობესი არის იქ  
ღმრთის დიდების ხილვა, რომელსა იტყვის დიდი  
ბასილი: „დღე ერთი უფლისა უმჯობეს არს ათასთა  
წელთა“; და დავით იტყვის, რამეთუ „სჯობს დღე  
ერთი ეზოთა შინა შენთა უფროს ათასთა მათ“; და  
ეს რომელი შეუძლიან გლახაკისა და შეწუხებულის  
მოწყალებას.

კიდევ ვსთქვათ, თუ რა ძალი აქუს გლახაკისა  
და მწუხარის მოწყალებას. ღმერთმან ყოველი  
სათნოება სულის განმანათლებელად განუწესა კაცს  
და თუ სათნოება არ ვარგა, სულს როგორ  
განანათლებს? სათნოებას თუ მარილად და  
ლამპრად გლახაკის მოწყალება არა აქუს, ის  
სათნოება არად სახმარ არს. როგორც რომ  
უმარილოდ ჭორცი დალპება და უხმარი შეიქმება,  
ეგრეთვე ყოველი სათნოება დალპება და უხმარი  
შეიქმნება, თუ გლახაკთ მოწყა/18წლება მარილად არ  
აქუს.

მოვიდეთ და ეს დავამტკიცოთ დასტურ თუ სხვა  
სათნოება, თვინიერ გლახაკთ მოწყალებისა  
შეუწევნელი არის. მრავალთა საღმრთოთა და  
წმიდათა წერილთაგან დამტკიცებული არის, რომ  
ლოცვა დიდი რამ სათნოება არის, მაგრამ იხილე  
დღეის ქადაგების დასაბამი რასა იტყვის: „ილოცე  
და მიეცით უფალსა ღმერთსა ჩვენსაო“.

ამას ეს ძალი აქვს – თუ ილოცო, კიდევ მიეცი  
უფალსა ღმერთსა ჩვენსა (ესე იგი გლახაკსა), თორებ  
ისე ლოცვა უხმარია და არას გარგია – და  
აღმოჩნდა, რომ ლოცვა დიდი რამ სათნოება არის.  
თვინიერ გლახაკთ მოწყალებისა, შეუწევნელი  
შეიქმნა. ეგრეთვე ქალწულება დიდი და ზეშთა  
რამ სათნოება არის, ანგელოზთ მსგავსება არის,  
მაგრამ თვინიერ გლახაკთ მოწყალებისა, უხმარი  
არის.

მოიხსენე უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტეს  
თქმული სახარებასა შინა ათთა ქალწულთათვის:  
ათნი ქალწულნი იყვნენ, ხუთნი ბრძენნი და ხუთნი  
სულელნიო. რომელსაც მოწყალება ქონდა, ბრძნად  
უწოდა და რომელსაც მოწყალება ქონდა, ლამპარ  
აღნთებულ უწოდა და რომელსაც ქალწულს  
მოწყალება არა ქონდა, ლამპარ დაშრეტილი  
უწოდა. და მოსლვასა თანა სიმისასა დაქმათ კარი  
სასძლოსი და გარეგნით კმობდენ: „უფალო, უფალო,  
განგვიღე ჩვენო“, ხოლო უფალმან მიუგო: „არა  
ვიცი, ვინანი ხართო“. გასინჯე, რომ ქალწულება  
არათ სახმარ ექმნათ მათ, რომელსაცა მოწყალება  
არა ქონდა, დაქმათ კარი სასძლოსი.

რათ უნდა შევაწუხოთ მსმენელი სიტყვის  
განმრავლებით, მოკლედ ვსთქვათ. თვით უფალი  
ჩვენი იესო ქრისტე ამტკიცებს თვისის უტყუელის

პირით, რომ თვინიერ გლახაკთ მოწყალებისა, არა  
რამე სათნოება სახმარი არის: უფალი იესო  
ქრისტე ბრძანებს: „მიეცით მოწყალება და აპა  
ყოველი თქუცნი სათნოება წმიდა არს“. ამ ბრძანებას  
ეს ძალი აქს. თუ მოწყალებას მისცემ გლახაკს  
(ესე იგი ყოველს მწუხარეს შეიწყალებ), მაშინ  
ყოველი თქუცნი სათნოება წმიდა იქმნება და  
უბრყვილო. და თუ მოწყალებას არ მისცემ, თქუცნი  
ყოველი სათნოება წმიდა არა იქმნება და არც  
რამე სახმარ გექმნება.

კიდევ მოვიდეთ და თუმც საჭირო არ არის, მაგ-  
რამ ჩემებრ გულფიცხელთათვის უფრო დასარ-  
წმუნებლად. უდიდესის მტკიცე დამტკიცებით აღ-  
მოაჩინოთ, რომ გლახაკის მოწყალება სწორედ  
ღმრთის მოწყალება არის, და ან თუ გლახაკის და  
შეწუხებულის მოწყალების გარეშე ცხოვნება იქმ-  
ნება, და ან თუ თვინიერ მოწყალებისა გლახაკისა  
და შეწუხებულისა, სხვა სათნოება თუ რამ სახ-  
მარი არის.

ოდეს მეორედ მოვალს ქრისტე საშინელსა მას  
განსჯასა, დიდი რამ ზარი და საშინელება იქმნება,  
რომელსა იტყვის დანიილ: „მდინარე ცეცხლისა  
სდიოდის, ათასნი ათასთანი სდგეს წინაშე მისსა  
და ბევრნი ბევრთანი მსახურებდეს მას“. და დავით  
იტყვის: „ცეცხლი მის წინაშე ვიდოდეს და შესწონეს  
გარემოს მტერნი მისნი“.

ამ სიტყვებს უსმინეთ, თუ რა საშინელება და  
ზარი იქმნება. ვავ დღისა მის მომლოდნელსა  
უწყალოთა და უნანელთა. მოვა თვით უფალი  
იესო ჩვენთვის ვნებულითა სისხლიანითა ფერხითა  
სამხილებელად და დასასჯელად ჩვენთვის და  
იწყებს კაცად კაცადისა განკითხვასა და დასჯასა  
თქმისაებრ დავითისა, რამეთუ მოვიდეს იგი  
განკითხვად ქუეყანისა. მაშინ არა რაისა კითხავს  
უფალი იესო არცა მარჯვენისასა, არცა  
მარცხენისასა, არა სათნოებას არა კითხავს, არა  
ლოცვასა, არა მარხვასა, არცა მუხლ დრევასა, არცა  
სხვასა რაიმესა, მხოლოდ ამას კითხავს: „შიშველ  
ვიყავ და არა შემმოსეთ, მშიერ ვიყავ და არა მეცითო,  
მწყუროდა და არა მასუთო, საპყრობილესა შინა  
ვიყავ და არა მოხვედით ჩემდა, უცხო ვიყავ და არა  
შემიწყნარეთ მე, სნეულ ვიყავ და არა მომხედეთ  
მეო“.

ამ მოწყალებას კითხავს ყოველთა, თორემ ამდენი  
არ იმარხულეო, ამდენი არ ილოცეო, არცა ერთს  
სათხოებას სხვას არას კითხავს რას და იტყვის:  
„რაოდენი უყავით ერთსა ამას მცირედთაგანსა, იგი  
მე მიყავითო“ და ვისაც ეს მოწყალება არ  
აღუსრულებია, მიუგებს მარცხენისთა მათ:  
„წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას  
საუკუნესაო“. ახ! კმასა ამას ყოვლად საზარელსა  
და ვისაც ეს მოწყალებანი აღუსრულებია, მაშინ  
მიუგებსთ მარჯვენისთა მათ: „მოვედით,  
კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ  
განმზადებული თქუცნთვ/19ის სასუფეველი“.

შ, ნეტარ კმასა ამას ყოვლად საწეტაროსა! აწ  
ეს ვსთქვათ, თუ ამ ბრძანებას რა ძალი აქუს: ამას  
რომ იტყვის: „შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მეო“ და  
„რაოდენი უყავით ერთსა ამას მცირედთაგანსა, იგი  
მე მიყავითო“, ამან აღმოაჩინა ჭეშმარიტებით, რომ  
გლახაკის მოწყალება ღმრთის საკუთარი მოწყა-  
ლება ყოფილა. სხვას სათხოებას რომ არას კითხუ-  
ლობს უფალი, მხოლოდ მოწყალების მეტს. ამან  
აღმოაჩინა, რომ თუ გლახაკთ მოწყალება არა გაქვსთ,  
სხვა სათხოება უხმარი არის და ამ მოწყალების  
აღმასრულებელს რომ უბრძანებს: „დაიმკვიდრეთ  
სასუფეველიო“. ამან აღმოაჩინა თვინიერ მოწყა-  
ლებისა ცხოვნება არა იქმნება და სასუფევლის  
შვილება;

და ეს ჭეშმარიტებით დამტკიცდა, რომ გლახაკის  
მოწყალება აუცილებელი საკუთარი ღმრთის  
მოწყალება არის, აგრევე სხვა სათხოება, გარეშე  
გლახაკთ მოწყალებისა, უხმარი არის და თვინიერ  
გლახაკთ მოწყალებისა ცხოვნება არ იქმნება.

აწ, მსმენელნო, მე ასე ვეჭვი, რომ თქუცნ კმა  
საყოფელად მიიღეთ აღმოჩინება, რომ გლახაკის  
მოწყალება სწორეთ ღმრთის მოწყალება არის და  
ან თუ გლახაკის მოწყალებას რა ძალი და საზომი  
აქუს, ისიც საკმაოდ დაინახეთ.

აწ ჩემი უღირსება უნდა გელაპარაკოს თქუცნ:  
მითხარით, რა გაქუს მიზეზი, რომ გლახავს და  
შეწუხებულს არ შეიწყალებთ და მოწყალებას არ  
მისცემთ? ღმერთი შემოქმედი ცისა და ქვეყანისა,  
რომლისათვის წინასწარმეტყველთა და მამათა  
გული უთქმიდა ხილვად და ვერ იხილეს, ის გთხოვს  
და შენ არ მისცემ? გასინჯე, რა უსჯულოება და

უღმრთოება არის? ჭეშმარიტად ღირს არს  
აღსრულდეს შენ ზედა მონისა მიმართ თქმული  
სახარებასა შინა: „ორად განკვეთოს და ნაწილი  
მისი დასდვას ორგულთა თანა, მუნ იყოს ტირილი  
და ღრჭენა კბილთა“, ესე იგი უწყალონი ორად  
განკვეთოს – სულად და კორცად. კორცი მიწასა  
შინა დასალპობად, ხოლო სული ორგულთა ეშმაკთა  
თანა დასდვის ჯოჯონეთს შინა და მუნ იყოს  
ტირილი და ღრჭენა კბილთა. ეგებ ვინმემ სთქვას,  
არასფერი მაქუს და რა მივსცეო? ორგულო, ნუ  
მიზეზობ – არაფერი გაქვს? ის, რომ დიდს არრა  
გთხოვს, ხომ გესმა, რა გთხოვა: „შიშველი ვიყავ და  
შემმოსეო“. შემმოსეო, თორემ მრავალი მომეციო / 19v  
ხომ არ გთხოვს და შიშველს შემოსვა დიაღ მცირე  
რამ არის. მშიოდა და მეცით ჭამადი – მცირე  
მაჭამეო, სნეულ ვიყავი და მნახეო, საპყრობილესა  
შინა ვიყავ და ნუგეში მეციო. ესენი რა მძიმე  
სათხოველნი არიან? დიაღ, სუბუქი და ადვილი და  
ვინ არს იმისთანა, ეს არ შეეძლოს, მაგრამ ტყუვილად  
მიზეზობით ნუ მიზეზობთ. შეინანეთ ღმრთისა და  
განყავით ჰელი მოწყალებად, თორემ ისმინე, რას  
გიბრძანებს: „გეშინოდენ მისა შემდგომად  
მოწყვედისა ვისა ძალ უცს შთაგდებად გეენიასა  
ცეცხლსა მას უშრეტსა“.

მიზეზიანო, შ, უწყალოო, სხვა თუ არაფელი გაქუს,  
წყალი მაინც ხომ გეშოება, თვით მან მთხოველმან  
უფალმან იესო ქრისტემან გამოადინა წყარონი  
და ზღვანი და აღსავსე არს ქუეყანა წყლითა და  
წყალი ასვი მწყურვალესა და შეწუხებულსა და  
მით მიიღო საუკუნო სუფევა. ისმინე, რასა  
გიბრძანებს: „რომელმან ასვას ერთი წყალი გრილი  
სახელად მოწაფისა – სასყიდელი მოწაფისა  
მიიღოს“. და მე მგონია, ეს მძიმე სათხოველი არ  
იყოს და თუ ერთის წყლის სმევით სასუფეველს  
იშოვი, ამის უმჯობესი რაღა გინდა? ეგებ ამიტომ  
არ მისცეთ მოწყალება გლახავსა და შეწუხებულს,  
რომ გიყვარდესთ თეთრი, თუ ნივთის შენახვა  
გნებავს და ვერ შეელიო, მაგრამ აქ სრულიად  
უგუნურად ნუ გარდაიქცევი, მცირედი შენც საჯე.  
მოიხსენე, თუ როგორ შიშველი მოხვედ დედის  
მუცლიდამ და უპოვარი და როგორც შიშველს და  
უპოვარს გეგულვების მიწადვე მიქცევა.  
დავით იტყვის: „არათუ სიკუდილსა მისსა

წარიღოს მან ყოველი, არცა შთაყვეს დიდება მისი  
მისთანა“. შენ არ გაქუს რა, თუ რამ გაქუს, ის  
ყოველი ქრისტეს ღმრთისა არის. თვით ბრძანებს:  
„ჩემი არიან ცანი და ჩემი არს ქვეყანაო“, და შენ  
რაც გაქვს, მას მიუბარებია შენთვის, რომ შეწუხებისა  
და გლახაკობის ჟამს უნდა მოახმარო. გთხოვს და  
უნდა მისცე და მისივე მიბარებულის ნივთის  
მიცემით სასუფევლის შვილად გამოგაჩინებს და  
თუ არ მისცემ მის მიბარებულს, აქ სამართალი  
საჯე, თუ ჯეროვანი არ იქმნება შენზედა  
აღსრულდეს თქმული იგი: „განხადეთ ეგე ბნელსა  
მას გარესკნელსა“; და იყოს სასტიკი და  
დაულევნელი ტანჯვა შენი ჯოჯოხეთსა.

აწ მოვიდეთ და ერთიდა კიდევ გითხრა. თუ/20r  
გინდ რომელიც ეს შენ ნივთი გაქვს არ იყოს  
ქრისტეს მიბარებული, საკუთარი შენი იყოს, მაგრამ  
რადგან გიყვარს, უნდა შეინახო და შენ იმის შენახვა  
არ შეგიძლიან, ან მძლავრი მოგიტაცებს, ან მღილი  
განრყვნის, ან მპარავი მოიპარავს და ან შენ ამ  
სოფლიდამ საუკუნო სოფელშიდ წახვალ და იმას  
ვინ გინდ დაირიგებს და რადგან გიყვარს, ასე  
შეინახე, მუდამ გქონდეს აქაცა და მუნ საუკუნესაცა.  
და თუ მკითხავ, მე გასწავებ: შენს ქრისტეს მიაბარე  
(ესე იგი გლახას და მწუხარეს მიეცი) და ასეთს  
ალაგს შეინახავს, არცა მღილი განრყუნის და არცა  
მპარავთა დასთხრიან და განიპარიან და გაქუნდეს  
საუნჯე ცათა შინა. შენ თუ გინდა ათასი წელი  
გასძლო ამ სოფელს, მაინც გინდა ერთი დღე.  
წინასწარმეტყველისაებრ: „ათასი წელი, ვითარცა  
გუშინდელი დღე“ და ეს არა სჯობს – აქ ერთს  
დღეს გექმნება და იქ დაულევნელს ცხოვრებაშიდ  
ყოველთვის გექმნება და რადგანაც გიყვარს  
საქონელი, ასე შეინახე და ყოველთვის  
მოუკლებელად გექმნება.

შ, საყვარელნო მსმენელნო, შემიწყალეთ, წუთის  
ნივთის მიცემითა მოიგეთ საუკუნო იგი ზეციერი  
დიდება. დიდი ბრძენი ალფვერდი დასწერს:  
„მოწყალება არს, რომლითა ქვეყნიერთა მიერ  
შეიძინებიან ზეციერნი“. შეიძინეთ ზეციერნი  
ქვეყნიერთა მოწყალებათაგან და იქმნეთ შვილ  
მამისა ზეცათასა, რომელსა შვენის დიდება, პატივი  
საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ:

ანტონის  
თქმული ყოვლად წეტარისა  
კაცისა, ყოვლად სამღუდელო  
ანტონ ჭყონდიდის  
მიტროპოლიტისა დადიანის ძისა  
მეოთხესა კვირიაკესა მარხვათასა  
ქადაგება აღსარებისათვის

იტყვის წინასწარმეტყველი დიდი დანიელ:  
„ვსცოდეთ, ვიუსჯულოეთ, ვიუთნოეთ და განვსდექით  
მცნებათაგან შენთა და მსჯავრთაგან შენთა“.  
ამას წინასწარმეტყველი ღმრთისა მიმართ ჭმობს:  
ვსცოდეთ, ვიუსამართლოეთ, მაგრამ არ იცოდა  
ღმერთმან, თუ რათ ეუბნება ვსცოდეთო? მან ყოველი  
უწყის და იცის, მაშ რათ ეუბნება, /20v ეს გამოვიკვლიოთ.  
ამისთვის ეუბნება, რომ ღმერთს ეს ნებავს, კაცმან  
თავისის პირით თავის აღსარება ყოს და  
წინასწარმეტყველი ღვთისა ნებასა სრულ ყოფს  
და თავის პირით თავის შეცოდებას აღიარებს.

მოვიდეთ და ძველიდამ და ახალიდამ ამისი  
დასამტკიცებელი სახეები მოვიღოთ, რომ კაცისაგან  
აღსარება ნებავს ღმერთს: როდესაც ადამ სცოდა,  
ღმერთმან ჭმა უყო: „ადამ, ადამ, სადა ხარ?“ ღმერთმან  
არ იცოდა, სად იყო? როგორ არ იცოდა, მაგრამ  
თითონ ადამისაგან აღსარება ენებებოდა, თუ სად,  
რომელს ცთომაში იყო. კაენმა რომ აბელ მოკლა,  
თვითონ აბელის სისხლი ღმერთს უღაღადებდა.  
ამას თვითვე უფალი ამტკიცებს და იტყვის: „სისხლი  
აბელისი ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამო“, და კაენს  
რომ კითხვიდა ღმერთი: „სადა არს, აბელ, ძმა შენი?“  
როგორ არ იცოდა, სად იყო, მაგრამ ამისთვის  
კითხვიდა, რომ თვითონ კაენისაგან აღსარება  
ენებებოდა ღმერთს.

ეს ძველისა იყო. აწ ახლისაგან მივიღოთ  
სიმტკიცე, რომ კაცისაგან ღმერთს აღსარება ნებავს.  
მატე მოგვითხრობს წინამორბედისა იოანესთვის:  
„და განვიდოდა მისა ყოველი იერუსალიმი და  
გარემო სოფლები და ნათელს იღებდეს მისგან და  
აღუარებდეს ცოდვათა მათთა“. და იაკობ მოციქული  
იტყვის: „აღუარებდით ურთიერთარს ცოდვათა“.  
ვგონებ, რომ ჭმა საყოფელად დამტკიცდა ეს სიტყვა,

რომ ღმერთს დიდად ნებავს კაცისაგან აღსარება.

ეგების ვინმემ იძიოს – რათ ნებავს ჩემის ცოდვის აღსარებაო?

საყვარელნო, ეს ხომ მოციქულისაგან გესმა.

ღმერთს ყოველთა ნებავს ცხოვრება და ყოველთა რომ ნებავს ცხოვრება, თვინიერ აღსარებისა

შეუძლებელი არის. ამათ თვით ქრისტე ამტკიცებს:

„რომელმან არა აღმიაროს მე წინაშე კაცთა, არცა მე აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“.

ამ ადგილს ეს ძალი შვენის. ამ სიტყვას ქრისტე გიბრძანებსთ: რომელმანცა წინაშე მოძღვრისა თავისი ცოდვა არ აღმიაროს – არცა წინაშე მამისა ჩემისა ჩემდა მოწაფედ და შვილად სასუფევლისა მას აღვიარებო. ამისთვის ნებავს ღმერთს აღსარება.

ნუ გონებ, თუ ჭეშმარიტი აღსარება არა გაქუს, ქრისტეს მოწაფეობისაგანაც არ განვარდე და ჯოჯოხეთსაც არ მიეცე, თორემ ამისი უცთომელი სახეები მოგართვა: ადამი /21r დაიმალა, არ აღიარა ცოდვა, რომლითაცა სცოდა და დაისაჯა. ეგების სთქვა: ადამ ახლა სასუფეველში არისო და მეც ისე მიხსნისო. ეს თქმა უგუნურება არის. მეორედ შენთვის ქრისტე ჯვარსა ზედა აღარ დაემსჭვალვის. არ განუცხადა კაენმა თავისი ცთომა და დაიწყევა პირისაგან ღმრთისა. შენც კაენისებრ შენს ცთომას წინაშე ქრისტესა განუცხადებო? მსგავსად მისა შენც წყევას მიიღებ პირისაგან ღმრთისა: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა“.

ეს ძველისა იყო და ახალშიდ მოვიდეთ: იუდამ დაფარა თავისი ცთომა თავისის მოძღვრისა და უფლისაგან, განვარდა კრებულისაგან მოწაფეთასა. შენც ფარავ შენის მოძღვრისაგან შენს ცთომას, იუდასაებრ შენც ქრისტეს მოწაფეობისაგან განვარდები. ისიც ქრისტეს ეცრუა და შენც ქრისტეს ეცრუები, რომ აღსარებას ფარავ. მანდ არის, ქრისტე თვითვე ბრძანებს: „მუნ ვარ მე შორის მათსა“.

კიდევ ანანიამ დაუფარა თავისი მოგებული ქრისტეს მოწაფეთა, დაეცა ანანია და სული წარხდა. ეგრეთვე შენ შენს მოგებულს ცოდვას ქრისტეს მოწაფეს სამღუდელოთაგანს უმალავ? როგორც ანანიამ თავისი მოგებული ზოგი რაოდენიმე გამოუცხადა, და ზოგი რაოდენიმე დაფარა, ეგრეთვე შენ რომელსამე ცოდვას გამოუცხადებ და რომელსამეს დაუფარავ. ჯეროვანი არის ანანიასებრ

დაეცე და სული წარგხდეს. ჯეროვანი არის მას ზედა თქმული შენთვისაც ითქვას: „არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა“. და თვალით რომ ვერ ხედავ ქრისტეს, ეგებ იჭუნეულებდე მას, რომ მოძღვარსა და შენ შორის ქრისტე არ იყოს და ამისთვის აღსარებას ფარევდე?

საღმრთოს მადლის შეწევნით დასამტკიცებელი სახეები მოგართვა ამისი, რომ სწორებით იქ ქრისტე მდგომარე არის. რასაც თვალით არ ხედავ, იმას თუ არ ირწმუნებ, სწორებით უღმრთო შეიქმნები.

წმიდასა სამებასა, მამასა, ძესა და სულსა წმიდასა ვერ ხედავ. თუ არ გრწამს, უღმრთო იქმნები, თუ ამას მეტყვი: „წინასწარმეტყველნი და მოციქულნი მარწმუნებენ სიტყვით“, – ქრისტესი უმეტესად უნდა გრწამდეს, რომ მათი უფალი არის და ის გიბრძანებს: „მუნ ვარ შორის მათსა“. ა/21vნ უღმრთო უნდა იქმნე, ან იქ აღსარებაშიდ ქრისტე მდგომარედ უნდა ირწმუნო. კიდევ სხვა სახე მოვიღოთ.

სასუფეველსა და ჯოჯოხეთს ვერ ხედავ, და არა უნდა ირწმუნო, არც კეთილისათვის კეთილი მისაგებელი, და არც ბოროტისათვის ბოროტი; ესეც უღმრთოება შეიქმნა.

ნახე, რა უღმრთოება არის. პეტრე და იუდა სწორე უნდა შეიქმნენ, პეტრეს კეთილი არა მიეგოს შენის ეჭვის მსგავსად და იუდას ბოროტი. თუ გეტყვი და შეივრდომებ, რომ ამას ქრისტეს სიტყვით ვრწმუნებ, ცოდვილსთ მიეგება სატანჯველი, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა“ და მართალთა საშვებელი: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ თქუცნთვის განმზადებული სასუფეველი“. მე გეტყვი, თუ ამას ქრისტეს სიტყვით არ ირწმუნებ, მოძღვრისა და მოწაფისა შორის ქრისტე არის, ესეც მისი სიტყვით იოწმუნე, რომ ბრძანებს: „მუნ ვარ მე შორისს მათსა“;

ერთი მაგალითი კიდევ ვსთქვათ: შენ თუ სული გიდგას, არ უნდა გრწამდეს ამისთვის, რომ სულს ვერ ხედავ! თუ თვალით უხილავად არას ირწმუნებ, არც ეს უნდა გრწამდეს, შენ ცოცხალი და მკუდარი უსულო ერთი უნდა იყო. ნახე, რა უგუნურება არის! და თუ მეტყვი, სულს სხეულის მოძრაობით ვიცნობო, სამართალი საჯე შენის სხეულის მოძრაობისაგან ქრისტეს სიტყვის მოძრაობა უფრო სარწმუნოა, თუ

არა.

შენი სხეული ერთი უძლური რამ არის, და სიტყვა  
ღმრთისა როგორ ძლიერი არის, მოციქულისა  
ისმინე: „ძლიერ არს სიტყვა ღმრთისა და უმკვეთლეს  
უფროს მახვილისა ორპირისა“. თუ უძლურისა  
დასახსნელის შენის სხეულის მოძრაობისაგან შენ  
შორს უხილავად მყოფსა სულს ირწმუნებ,  
უძლიერესის ქრისტეს სიტყვისაგან მოძლურისა და  
შენ შორის მყოფი ქრისტე ირწმუნე, რომ იტყვის:  
„მუნ ვარ მე შორის მათსა“ და თუ ამას იტყვი, რათ  
ცხადად არ მეჩვენებაო, მე მოგახსენო, თუ რათ არ  
გეჩვენება.

მზე რომ ცხადად აღმობრწყინდება, რასათვის  
პირის პირ სწორებით ვერ მიხედავ? მიზეზი ეს  
არის – უძლურს თვალს მისის მცხინვარის განცდა  
არ შეუძლია. უმეტესად ცოდვისაგან  
მოუძლურებულს თვალს ცხადად ქრისტეს მიხედვა  
არ შეუძლიან და თუ დაბადებულის მ/22rზის მიხედვას  
ვერ შეუძლებს, დაუსაბამო ღმერთი როგორ უნდა  
განიხილოს შენმა თვალმან? ამისთვის არ გეჩვენება.  
თუ იტყვი, მოციქულნი კი ხედვიდენო, აյ ორი რამ  
სათქმელი არის. ერთი ეს, რომ მოციქულთაებრ  
განწმედილებას შენის თავისას ვერ იქადაგებ. მეორე  
ესე – ამაღლებამდის მოციქულნიცა და სხვანიცა  
ხედვიდენ, შემდგომად ამაღლებისა ისე სახილველი  
არა არის. ამაღლებამდისაც მარიამ მაგდანინელს  
რა უბრძანა: „ნუ შემომეხებიო“, კიდევ ცხადად არ  
გეჩვენება თავისი კაცთ მოყვარისათვის, ამისთვის,  
რომ უხილავად უდიდეს ნეტარებას მიიღებ, ვითარცა  
ბრძანებს უფალი იესო: „ნეტარ არიან, რომელთა  
არა უხილავ და ვრწმენ“.

კიდევ არის მიზეზი, რომ ცხადად არ გეჩვენება?  
კაცი, რომელიც გონებისაგან განსრული არ არის,  
თავის ცოდვის თქმისათვის დიდათ იშიშვის და  
ძრწოლა შეიპყრობს, ენის ძრვას ვეღარ იკადრებს.  
თუ ქერაბინნი ძრწიან მისგან, მიხედე, თუ  
ცოდვილთათვის რა ძნელი შესაძრწუნებელი  
იქმნება! რომ კიდევ მიზეზი რამ მოიგონოს ვინმემ  
და არ აღიაროს თავისი ცოდვა, ეგების უმეცრება  
დასდვას ვინმემ მიზეზად და სთქვას: არ ვიცი, რა  
ვყო?

საყვარელნო, დანიელ წინასწარმეტყველმან  
მაგალითად დაგიდვა თავისი თავი. როგორც ის

ჯმობს ღმრთისა მიმართ: „ვსცოდეთ,  
ვიუსამართლოეთ“, ეგრეთვე შენ შორის  
ცოდვისათვის ღაღადება ყავ შენს მოძღვართან და  
თუ ეს გაბრკოლებს, რომ მძიმე ცოდვის ტვირთი  
გაქუს, მაგისთვის ნუ სწუხხარ, უცხო განმსვენებელი  
გყავს. ქრისტე გიბრძანებს: „მოვედიდ ჩემდა  
ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე  
განგისვენო თქუცნ“. უწყოდეთ, საყვარელნო, იმ  
განსვენებაში საკვირველს ნიავს და წყაროს პოებ.  
ნიავი, რომელ არს სული წმიდა. ვითარცა ბრძანებს  
უფალი იოელის მიერ: „მივფინო სულისაგან ჩემისა  
წყარო“, რომელ არს უკუდავ მყოფელი ჰორცი და  
სისხლი ქრისტესი“, ვითარცა ბრძანებს უფალი  
პირითა დავითისითა: „და უკუდავებისა წყაროსა  
გემო იხილეთ“. და თუ ამისი ეჭვი გაქუს, რომ მივიდე  
და განმაგდოსო, სხვა ვინ განაგდო, მეძვი მივიდა  
და არ განუგდია, შეიწყალა და რქვა: „მიგეტევნენ  
შენ ცოდვანი შენნი“; ავაზაკსა რქვა: „დღეს ჩემთანა  
იყავი სამოთხესა“, მტკიცე იყავ, არც /22v შენ განგაგდებს.  
უტყუელის სიტყვით ამტკიცებს: „რომელი მოვიდეს  
ჩემდა, არა განვაძო გარე“..

ესეც სცანი, მისდა მიმართ მისრულს არ  
შერისხავს ამისთვის, რომ მშვიდი და მდაბალი არის.  
ამისთვის ქრისტე ამტკიცებს: „მშვიდ ვარ და მდაბალ  
გულითა“ და სირცხვილისათვის აყენებ აღსარებას?  
ეს უგუნურება არის ამისთვის, რომ ერთის ვისმე  
სამღვდელოთაგანის გრცხვენიან და წინაშე  
ქრისტესა წარდგინებისათვის არ ძრწი. თუ რა  
შესაძრწუნებელი არის, დანიელისაგან ისმინე:  
„მდინარე ცეცხლისა სდიოდეს წინაშე მისსა. ათასნი  
ათასთანი სდგენ და ბევრნი ბევრთანი მსახურებდენ  
მას“; და თუ მკითხავ: „მოძღვარს რომ ჩემი ცოდვა  
კეთილად აღუარო, საუკუნო სირცხვილისაგან  
ვინსნებიო“, დავით წინასწარმეტყველისაგან სცანი,  
რომ იხსნები, ვითარ იგი კმობს: „ვსთქუ, აღუარო  
ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტევე უღმრთოება  
გულისა“.

საყვარელნო, ესეც ისმინეთ: ქრისტე მკურნალი  
არის ცოდვის წყლულებისა. ვითარცა იტყვის იოანე  
ღმრთის მეტყველი: „ამას მივსწერ თქუცნდა, რათა  
არა სცოდოთ? და უკეთუ სცოდოთ, მკურნალი გვივის  
მამისა მიმართ ქრისტე იესო მართალი“ და სწეული  
რომ მკურნალს წყლულს უფარვიდეს, მიხედეთ, თუ

რა დიდი უგუნურება არის. უდიდესი უგუნურება  
რა იქმნება? მკურნალის დაფარული წყლულება  
სიკუდილს შემოიღებს. ეგრეთვე უაღსარებო ცოდვა  
საუკუნოს სიკუდილს (ესე იგი წარწყმედას)  
შემოიღებს. ეგების ადროებდეთ ვინმე, რომელსამე  
ჟამს უცდიდეთ, მაგრამ მდიდარს რომ ვმა ესმა:  
„უგუნურო, ამას ღამეს მიგიღონ სული შენი შენგან“,  
ეს რომ გესმის, რასა ყოფ? მე სხვას არას გეტყვა:  
„უმჯობეს იყო შენდა, არათუმცა შობილ იყავ“!  
საკვირველი არ იქმნება, თუ ამას ფიქრობდე, ჩემი  
დაფარული ცოდვა სხვას როგორ განცხადოო?  
თუ გამოიძიებ ჩემის უდირსებისაგან და ამას  
მკითხავ: „რა განსაკვირვებელი არის ჩემი  
დაფარული ცოდვა სხვას არ უთხრა“. ორის  
საქმისათვის დიდად საკვირველი არის: ერთად  
ამისთვის – შენ შენი ცოდვა დაფარული გვონია  
და ყოვლითურთ განცხადებული არის. მეორედ  
ამისთვის – აღსარების თქმა ცოდვის უფრო  
დამფარველი არის და არათუ განმცხადებელი.

აღსარება თუ როგორ ცოდვის დამფარველი არის,  
შემდგომად ვსთქვათ. ჯერ ეს ვსთქვათ, თუ  
უაღსარებო ცოდვ/23ra როგორ უფრო განცხადებული  
არის. მითხარ, საყვარელო, თუ რითი დაფარავ შენს  
ცოდვას? თუ მეტყვი, ბნელი დაიფარავსო, მაგითი  
ვერ დაიფარვის, მზის უბრწყინვალესი თვალი  
ხედავს. თეოდორიტე ეპისკოპოსი იტყვის: „ბევრწილ  
უნათლეს არიან მზისა თვალი უფლისანი“. თუ  
იტყვი, არავინ კაცი მხედავსო, ვერც მაგითი დაიფარვი.  
ადამს კაცი არავინ ხედვიდა, მაგრამ არ დაიფარა  
ცოდვა მისი. კაენს ვინ ხედვიდა? განვიდა ველად  
და მოაკუდინა ძმა თვისი აბელ, მაგრამ არც მისი  
ცოდვა დაიფარა. ეგრეთვე არც შენი ცოდვა  
დაიფარვის, ნუ სცდები.

კიდევ უცხადესად გიჩვენო, რომ შენი უაღსარებო  
ცოდვა უფრო განცხადებული არის. ამის მეტი  
განცხადება რა იქმნება.

ღმერთმან იცის, კაცმან, ანგელოზმან და ეშმაკმან.  
ღმერთმან ამითი იცის, ყოველგან არს და  
ყოველსავეს აღავსებს და შენ სით დაეფარვი? კაცმან  
ასე იცის – ქრისტე სრული ღმერთი და კაცი არის,  
მას თუ რამ დაეფარვის, შენვე კეთილის  
მეცნიერებით იფიქრე. მომავალი პეტრეს შეცოდება  
თუ არ დაეფარა და პეტრეს ცთომამდის იხილა

და უბრძანა: „ვიდრე ქათმისა ჭმობამდე სამ გზის  
უარ მყო მეო“, შენი ქმნილი ცოდვა სულ არ  
დაეფარვის. ანგელოზმან ასე იცის – მცველი  
ანგელოზი ჟამ მარად თავს გადგს და სად უნდა  
დაეფაროს შენი ცოდვა? ეშმაკმან ამით იცის, რომ  
თვით ის გაქნევინებს ცოდვას.

მე გიჩვენო, თუ შენი ცოდვა როგორ  
განცხადებული არის ღმერთთან, კაცთან,  
ანგელოსთან და ეშმაკთან. შენ მიჩვენე, თუ  
დაფარული რითი არის... თუ ამას იტყვი, ლიტონმან  
კაცმან არ იცისო და ღმერთი არ გაგიმხელსო?  
აქაც სცდები ამისთვის, რომ ღმერთი უაღსარებო  
ცოდვას არ დაფარავს. დავით წინასწარმეტყველის  
პირით ცხადად გიბრძანებს: „გამხილო და  
წარმოადგინე ცოდვანი შენი წინაშე პირსა შენსა“.

საყვარელნო, მე გვითხავ – თუ თქვენი ცოდვა  
სად და რავა დაფარული არის და ვერა მომიგეთ  
რა... აწ მე მოგახსენო, თუ აღსარებისაგან ცოდვა  
როგორ დაიფარვის. ნეტარ მკუდარი დავიწყებული  
და დაფარული არის თუ არა? დიდის იერემია  
წინასწარმეტყველისაგან ისწავეთ, თუ როგორ  
დავიწყებული და დაფარული არის. იერემია იტყვის:  
„დაივიწყნეს დედამან ნაშობნი მუცლისა თვისისა/23v  
ნი“. მიხედეთ, სადაც დედა შვილს დაივიწყებს, თუ  
ის მკუდარი როგორი დაფარული იქმნება? აგრევე  
აღსარებისაგან ცოდვა რომ კლდეს შეეხეთქება (ესე  
იგი ქრისტეს), ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი  
დავით: „ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩჩვილნი  
და შეახეთქნებს კლდესა“, ის ცოდვა დავიწყებული  
და დაფარული იქმნება. ვითარცა მკუდარსა დედა  
დაივიწყებს, ეგრეთვე აღსარებისა და სინანულისაგან,  
მკუდარს ცოდვას დედა ჩვენი ეკლესია დაივიწყებს.

ერთი მაგალითი კიდევ ვსთქვათ: ერთი  
მაკუდინებელი წამალი ქონდეს ერთს ვისმეს  
უგუნურს, მოეგოს გონებას და თავის მასწავლებელს  
უჩვენოს ის მაკუდინებელი წამალი, და  
მასწავლებელმან მიუწვდომელს უყიანეს ზღვაშიდ  
ჩააგდოს და უცნაურად დაიფაროს, აგრევე,  
რომელსაც სულის მაკუდინებელი ცოდვა აქუს და  
იმას მოძღვრისაგან მასწავლებელს უჩვენებს,  
მასწავლებელი ქრისტე არის, ვითარცა თვით  
ამტკიცებს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და  
მდაბალ გულითა“, ქრისტეს რომ აღსარებაშიდ

ცოდვას უჩვენებ, ქრისტე მიუწვდომელს და  
გამოუძიებელს თავისი მოწყალების უფსკრულშიდ  
დანთქავს, მიხედე, თუ მერმე ის ცოდვა როგორ  
დაიფარვის, თუ როგორ სული წმიდა ეზეკიელის  
პირით ამტკიცებს: „არღარა მერმე მოხსენიებულ  
იქმნენ ცოდვანი მისნი“. ცხადად წარმოჩინებული  
იქმნა, რომ აღსარებისაგან ცოდვა დაიფარვის.

მიიღეთ კეთილი აღსარება და სინაწლი, რათა  
განქარდენ ცოდვანი თქუცწნი და მკვიდრ იქმნეთ  
ყოველნი სასუფეველსა ცათასა, აწდა საუკუნეთა  
უკუნისამდე, ამინ...

ანტონის  
თქმული მისივე ნეტარისა მამისა  
ანტონი ჭყონდიდის  
მიტროპოლიტის დადიანის ძისა  
მეხუთესა კვირიაკესა მარხვათასა  
ქადაგება აღსარებისა  
მღუდელთათვის

ბრძანებს უფალი პირითა მალაქია  
წინასწარმეტყველისათა: „ბაგენი მღუდელთანი  
იწურთიდენ მეცნიერებასა და სჯული იმიოს,  
რამეთუ ანგელოსი არს უფალისა ყოველისა მპყ-  
რობელისა“.

არავინ გონის, თუ მარტო მღუდელს უუბნებოდეს  
უფალი ამ სიტყვას. მღუდელობის სახელით  
მღუდელ მთავარიც დაინიშ/24rნება, ვითარცა დავით  
წინასწარმეტყველი კმობს ქრისტეს თვის: „შენ ხარ  
მღუდელ უკუნისამდე წესა მას ზედა  
მელქისედეკისსა“, და კიდევ მოსე და ჰაარონ ძველთა  
შორის მღუდელ მთავარნი იყვნენ, მაგრამ  
მღუდელობის სახელით იწოდებიან, ვითარცა კმობს  
იგივე დავით: მოსე და ჰაარონ მღუდელთა შორის  
მისთა, რადგან ორივე მღუდელ მთავარიცა და  
მღუდელიცა ერთის ქრისტეს საიდუმლოს მსახურნი  
არიან, ამისთვის ორნივე ერთის მღუდელობის  
სახელით ინიშნებიან და ორნივე ანგელოზად  
ითქმინ ამისთვის, რომ ანგელოზი მომთხობელად  
და ქადაგად გამოითარგმანება და ორნივე სჯულის  
მომთხობელად და ქადაგად ჩინებულნი არიან.  
როგორც ათორმეტნი მოციქულნი ქადაგად

წარვლენილნი და სამეოცდაათნიც. მღუდელ  
მთავარს ათორმეტთა მოციქულთა მსგავსება აქუს  
და მღუდელთა სამეოცდა ათისა. „ბაგენი  
მღუდელთანი იწურთიდენ მეცნიერებასა და სჯული  
იძიოს“, ბაგენი რომ ანბობს, გარეშის ზემოსა და  
ქვემოსა ბაგეს არა ნიშნავს. შინაგან გულის ბაგესა  
და გარეშისას ორსავეს ნიშნავს, ამისთვის ანბობს  
ბაგენიო. შინაგან და გარეშე პირს ორსავეს რომ  
ნიშნავს, ამითი ჰსჩანს, ზედ რომ დაპრთავს:  
„იწურთიდენ მეცნიერებასა და სჯული იძიოს“.

აწ თუ შინაგანის გულითაც არ იწურთის  
მეცნიერებას და სჯულსაც მტკიცედ გულით არ  
იძიებს, მარტო გარეშეს პირით მეცნიერების წურთა  
და სჯულის ძიება ფარისეველთ მსგავსება იქმნება.  
ვითარცა ბრძანებს უფალი ჩვენი იესო: „გარეგან  
სჩანედ შვენიერ“, და ფარისეველებრი მარტო  
გარეშის განშვენება ქრისტეს არ ნებავს, ცხადად  
გვიბრძანებს: „საქმეთაებრ მათთა ნუ ჰყოფ“. მაშ  
შინაგანი და გარეშე პირი ორნივე ინიშნება, ორთავე  
უნდა იწურთიდეს მღუდელი მეცნიერებასა და  
ორთავე სჯულსა უნდა ეძიებდეს, და თუ არა ყოფს  
და სჯულს მარტო გარეშე ბაგით იძიებს და  
გონიერით არა, ის ფარისეველი არის და არა  
მღუდელი ამისთვის, რომ თქმისაებრ მაცხოვარისა,  
არის „გარეგან ცხოვართათა მოსილ, ხოლო შინაგან  
მგელ მტაცებელი“ და თუ იძიებ, რომ გუ/24vლს ბაგე  
აქვსო, აქ მანასესი ღმრთისა მიერ მითვალული  
სიტყვა მოვიხსენო: „აწ მოვიდრევ მუხლთა გულისა  
ჩემისათა“, თუ გულის მუჯლი ითქმის უეჭველად  
პირველ ითქმის და ეს რომ არის, იწურთიდენ  
მეცნიერებასა და სჯული იძიოს. აქ სჩანს სჯულთან  
მეცნიერებასაც უნდა იწვრთიდეს; თუ ორსავეს  
ერთად არ იწურთის, საუკუნო დასჯას მიიღებს.

აწ მოვიდეთ და ვსთქვათ, რომელიც მღუდელი  
მღუდელობაში მეცნიერებას არ იწურთის, თუ  
როგორ დაისჯება, ეს წარმოვაჩინოთ, მაგრამ ჯერ  
ეს ვსთქვათ, თუ რას მეცნიერებას უნდა იწურთიდეს,  
მეორე, რომ არ იწვართოს, თუ რა სასჯელი შეუდგება,  
ის ვაჩვენოთ.

ფილოსოფოსნი მეცნიერებას ოთხად  
განსწვალვენ, მაგრამ, რადგან ჩვენი ქადაგება  
სამღვდელოთათვის არის, ჩვენ ეკლესიის ჭმისაებრ  
ვიმეტყველოთ. სიბრძნე ორი არის: ერთი

წერილობითა, როგორც რომ არიან წიგნი  
წინასწარმეტყველთა და მამათანი, ყოველნივე  
ძველისა და ახლისაგანი ამას უნდა იწვრთიდეს  
მღუდელი, თუ არ იწურთის, მღუდელობისაგან  
გარეშე იქმნება; ვაჩვენოთ ამისი სიმტკიცის სახეები:  
ყოველთა სამღუდელოთა, როგორც ზემო ვსთქუ,  
მოციქულთა მსგავსება აქუს, ახლა მივხედოთ, თუ  
მოციქულნი წერილის სიბრძნის მქონებელნი  
იყვნენ თუ არა; მღუდელობაში წერილის სიბრძნე  
ეჭივრებოდათ თუ არა. თუ არ ეჭივრებოდათ  
მახარებელთაგან, რომლისათვის არის თქმული:  
„მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულის ჯის  
ყოფად წიგნთა“. ჰსჩანს, რომ თუ მოციქულთ მსგავსი  
ხარ, შენც წერილის მეცნიერებას უნდა იწვრთიდე.  
რადგან მათ ეჭივრებოდა, უეჭველად შენც თანამდები  
ხარ, რომ უნდა გაქვნდეს წერილითა მეცნიერება.

ამასაც მიხედე, თუ წერილს როგორ წმარობენ.  
ეს ჯმა მათი არის: „ესრეთ წერილარს და ესრეთ  
ჯერარს“, და თუ არ იწვრთი წერილს, შეცთომილხარ.  
თვითვე უფალი იესო გიმტკიცებს – სცდებით,  
რამეთუ არა იცით წიგნი. ერთი ეს უნდა ვიკითხო,  
ქრისტეს მოწაფე ხარ თუ არა, თუ მოწაფე არა ხარ,  
მღუდელობისაგანაც შორის იქმნები, თუ მოწაფე  
ხარ, მოძღვარი და უფალი შენი იქ/25rსო თუ  
იკითხავდა, შენ რისათვის არ იკითხავ? ქრისტე  
როგორ იკითხავდა, ლუკა მოგითხრობს: „და მოსცეს  
წიგნი ისაია წინასწარმეტყველისა და აღსდგა  
კითხვად“. თვით ქრისტე გაწვევს კითხვად და  
გიბრძანებს: „ესრეთ ყოფდით, ვითარცა იხილეთ“.  
ხედავ მის მიერ წერილის კითხვას? და შენც თუ  
მისი მოწაფე ხარ, უნდა იწვრთიდე წერილს.  
უტყუელი ჯმა არის: „ვმა არს მოწაფისა მის, უკუეთუ  
იყოს, ვითარცა მოძღვარი თვისი“.

კიდევ სხვა სახე მოვიღოთ: პინდოეთის დედოფ-  
ლის საჭურისი წიგნის კითხვის მიზეზით ურწმუ-  
ნოების საცთურისაგან ხსნილი შეიქმნა და ფილი-  
პპე მოციქულისა მიერ ნათელღებულიქმნა. შენ  
თუ ცოდვის საცთურისაგან წსნა გნებავს, წერილი-  
თი კითხვა შეიყვარე: ჯერონიმე ფილოსოფოსი  
იტყვის: „შეიყვარე წერილობითნი კითხვანი და  
არღარა სადა შეიყვარო ბორგნეულებითნი ქცე-  
ვანი“. ფილოსოფოსის სიტყვა ესე აცხადებს, თუ  
წერილობითი კითხვა არ გიყვარს, თურმე ბორგ-

ნეულს ქცევას ყვარობ.

აწ მეორის მეცნიერებისათვის ვსთქვათ. მეორე მეცნიერება სათნოება არის, როგორც სვიმეონ ჯურფაელი დიალიკტიკაში აცხადებს და იტყვის: „სრბანი წმიდათა მოწამეთანი სიბრძნედ ითქმიან“. მაშ, ამასაც უნდა იწვრთიდეს მღვდელი. თუ არ იწვრთის, დასჯა შეუდგება, თუ როგორ, ამისი სახე მოვიღოთ.

ადამ მღვდელი იყო, მღვდელობის ადგილად სასუფეველი აქუნდა, მღვდელობა ამითი სჩნდა მის შორის, რომ სახელი მან დასდვა ყოველსავეს, ვითარცა იტყვის მოსე ღმრთის მზრახველი: „და უწოდა ადამ სახელი ყოველთა ცხოველთა ქვეყანისათა“. სადამდის იმ სიბრძნეს იწვრთიდა, რომელიც ღმერთმან მცნება მისცა, მანამდის მისი მღვდელობაც მტკიცე იყო. როდესაც ის მცნება აღარ იწვართა და დაივიწყა და გულის ზრახვას შეექცა, მაშინ სასუფეველიდამაც განიდევნა, და მღვდელობის/25წაგნაც დაემხვა. ვითარცა დავით წინასწარმეტყველი წაცულად ადამისა იტყვის: „ღმერთო, განმთხიენ ჩვენ და დამამხვენ ჩვენ“, ეგრეთვე შენ, მღვდელო, ქრისტემან მღვდელობის ადგილად ეკლესია მოგცა, ვითარცა ადამს სამოთხე მისცა. მცნება მოგცა მეცნიერებისა და უმანკოებისა, ვითარცა გიბრძანა ქრისტემან: „იყვენით მეცნიერ, ვითარცა გველნი და უმანკო, ვითარცა ტრედნი“. სადამდის ამ მეცნიერებას და უმანკოებას იწვრთი და მტკიცედ გიპყრია, მანამდის შენი მღვდელობაც კეთილად გიეს. როდესაც მეცნიერებას დაივიწყებ და ამპარტავანებას იწყებ, მაშინ ვითარცა მოციქულთ მზაკვარი სვიმონ მოგვი განაგდეს, ეგრეთვე შენც განგდებული იქმნები ეკკლესიისაგან და მღვდელობისაგან. მზაკვარებისათვის სვიმონ მოგვისათვის თქმული სამართალი არის შენზედაცა ითქვას: „გული შენი არა არს წრფელი ღმრთისა მიმართ“ და სული წმიდა ამოსის მიერ დიდისა გიბრძანებს: „გარდაგადგინე ამიერ საგალობელთა შენთა და ფსალმუნი ორღანოთა შენთა არა ვისმინოთ“.

ბაგენი მღვდელთანი იწვრთიდეს მეცნიერებასა, ამ მეცნიერებას უნდა იწვრთიდეს მღვდელი. თუ ვისიმე მვირი აქუს გონებაში, მას ზედ და მის მსხვერპლზედ მოწყალებით ღმერთი არ მოიხედავს.

როგორც კაენი, რომ ძმის ძვირი აქუნდა გონებაში,  
მოსე ასე იტყვის მისთვის: „კაენს ზედა და  
მსხვერპლთა მისთა ზედა არა მოიხილა“.

თუ ჭეშმარიტი მღვდელობა გნებავს, აბელის  
სიმართლე მოიგე, რომ შენცა და შენს მსხვერპლსაც  
მოწყალებით მოხედოს. ვითარცა აბელის თვის მოსე  
სწერს: „აბელს ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა  
მოიხილა“. თუ აბელისაებრ შესწირავ, ყოვლად  
კეთილ, თორემ კაენისაებრ ვინც შესწირავს, დასჯა  
შეუდგება და უმჯობესი არის ყოვლად არა შეწირვა,  
ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „სჯობს არა  
ცნობა გზისა მის“; კიდევ ამ სიბრძნეს უნდა  
იწვრთიდე, თუ ვინმე შენ ზედ ს/26იმართლით გულ  
მვირად არის, მის დაგებამდის მღვდელობა უნდა  
დააყენო. თვითვე მომცემელი მღვდელობისა ქრისტე  
გაყენებს და გიბრძანებს: „უკეთუ ძმა შენი გულ  
მვირ რამე არს შენთვის, დაუტევე შესაწირავი იგი  
შენი, მოვედ და დაეგე ძმასა შენსა და მოვედ და  
შესწირე შესაწირავი შენი“. იწვართე ეს სიბრძნე:  
პირველად დაეგე და მერმე შესწირე. თუ ასე არა  
ყოფ და უღირსებით შესწირავ, ნადაბ და აბიუდ  
უღირსებით შემწირველობისათვის საღმრთოს  
რისხვით დაიწვნენ. ეკრძალე, რათა არა შენცა  
განიცადო.

მინდა ერთი მაგალითი ძველის წერილიდამ  
მოგაქსენო: იაკობმან თავის მამას მისართმეველი  
ასე მიართვა, როგორც დედამან მისმან ამცნო და  
მამისაგან კურთხევა მიიღო, აგრევე შენც საუკუნო  
მამის მღვდელობის მისართმეველი მსახურება ასე  
მიართვი, როგორც დედამან შენმან ეკვლესიამ  
გამცნოს და შენც, იაკობის მსგავსად, საუკუნო  
მამისაგან კურთხევას მიიღებ და თუ ეკვლესიის  
მცნებას არ მიიღებ და მამას ისე მიართმევ  
მსხვერპლს, როგორც ესავს დედის მცნება არა  
აქუნდა რა და ისე მიართვა ძღვენი თავის მამას და  
პირმშოებისაგან დაიმზვა, ისრე შენ სასუფეველის  
პირმშოებისაგან დაემხობი;

კიდევ უნდა იწვრთიდე მეცნიერებას, თუ რასმეს  
სოფლის უჯერობაში სდგახარ, ჯერ იქედამ უნდა  
გამოხვიდე და მერმე მსხვერპლი უნდა შესწირო.  
ამისდა მაგალითად დიდს აბრაჰამს მოგართმევ.  
ჯერ აბრაჰამს ის უბრძანა ღმერთმან: „გამოვედ  
ქვეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა“ და

გამოვიდა. მერმე ისაკის შეწირვა უბრძანა, ეგრეთვი  
შენ პირველად გიბრძანებს შენის ქვეყანის და  
შენის ნათესავის უჯერობისაგან გამოსვლას, და  
მერმე მსხვერპლის შ/26ნეწირვას. თუ ასე არ ყოფ და  
უჯეროებას რასმეში მდგომებ და მაშინაც  
იძულებით მიხვალ შეწირვად, ოზიაც მივიდა  
იძულებით შეწირვად და განკეთროვნდა.

თუ მეტყვე, სოფლისაგანი ვარ და სოფელსა  
თვისსა როგორ მოვშორდეო? – აქ ორი რამ სათქმე-  
ლი მაქვს, ერთი პავლეს სიტყვა: „და ნუ თანა ეზიარე-  
ბით საქმეთა მათ ბნელისათა, არამედ ამხილებდით-  
ცა“. თუ არ განეშორი, ნუ ეზიარები და კიდევაც  
ამხილე. მეორე ქრისტეს სიტყვა უნდა ვსთქვა, მო-  
ციქულთ რომ უბრძანა: „თქვენ არა ხართ სოფ-  
ლისა ამისაგანი“. როგორ, სოფლისაგანნი არ იყვნენ  
ქორციელნი კაცნი?! მაგრამ ამითი არ იყვნენ სოფ-  
ლისაგანნი, უჯეროს სოფლის საქმეს არ ეზიარე-  
ბოდენ. აგრევე ეს სიტყვა მარტო მოციქულთათვის  
არ არის, ვითარცა ბრძანებს უფალი: „არა ამათ-  
თვის ხოლო გკითხავ, არამედ სხვათა ყოველთათვის“,  
რადგან საერთო არის ეს სიტყვა.

მოციქულთ მსგავსად არც შენ უნდა იყო  
სოფლისაგანნი, (ესე იგი ამ სოფლის უჯეროებაში  
არ უნდა ეზიარებოდე). სოფლისაგანნი ვარო, რომ  
მიზეზობ, როგორც მოგახსენე, იმ გზით არ უნდა  
იყო სოფლისაგანნი. თუ ქრისტეს მოწაფე ხარ, ასე  
უნდა ამისთვის, რომ ზემო ქრისტეს სიტყვით გიჩვენე,  
რომ ქრისტეს მოწაფენი ასრე იყვნენ.

„ბაგენი მღვდელთანი იწვრთიდენ მეცნიერებასა“.  
ამ სიტყვას უფალი ბრძანებს და სადაც ჩვეულება  
არის უფლის სიტყვის სმენის თუ იმ ადგილზედ  
არა ხარ, უფლის სიტყვას კეთილად ვერ ისმენ.  
იძიებ, სად არის ჩვეულება? ძველიდამ გიჩვენო, თუ  
რა ადგილიდამ არის ჩვეულება უფლის უბნობისა.  
მოსეს ეუბნება უფალი მაყლოვანით გამო და სინის  
მთაზედ იყო. ელიას ეუბნა სიტყვა ღმრთისა, ისიც  
მთიდამ იყო. რომელის მოსწავება არის, რომ მარტო  
მთიდამ ეუბნა.

ძველში /27r ყოველსავეს ამას გიჩვენებს და ამას  
გასწავებს – თუ სათნოების მთაზედ არა ხარ  
აღსრული, კეთილად უფლის სიტყვას ვერ ისმენ,  
ესეც ძველის სახით დაგიმტკიცო. მოსე რომ მთად  
აღვიდა, მას ეტყოდა ღმერთი, რომელიც მთაზედ არ

იყო, მას არ ეუბნებოდა, ეგრეთვე, რომელიც  
სათნოების მთაზედ აღსრული არის, მას ეუბნება  
ღმრთი და სათნოების მთაზედ კიდეც ისმენს  
ღმრთის უბნობას. თუ სათნოების მთაზედ არ არის,  
ისე ვერ ისმენს ღმრთის სიტყვას.

პატიოსანნო მამანო, ხედავ მტკიცედ აღმოჩენილს  
სათნოების ადგილს? თუ გნებავს ღმრთის სიტყვის  
სმენა, სათნოების მთაზედ აღხედ და იქიდამ ისმინე  
ღმრთის სიტყვა, თორემ სხვიდამ სმენა შეუძლებელ  
არს; ამ ქადაგების დასაბამში არის – სჯული იძიოს,  
რამეთუ ანგელოზი არს უფლისა ყოვლისა  
მპყრობელისა. აქ ზემო თქმული სიტყვა კიდევ უნდა  
მოვიხსენო: „სჯული იძიოს“.

ნეტარ, თუ წერილობითს სიბრძნეს არ იწვრთი,  
სჯულს რითი იძიებ? ანგელოსი არსო (ესე იგი  
მომთხრობელი არისო), – რას მოუთხრობ, თუ არ  
აღმოიკითხავ? პავლე მოციქული ზღაპართაგან  
გაყენებს და გეტყვის: „დედაბერებრთა ზღაპართაგან  
იჯმენ“, და უწერილოთ სხვა რა უნდა მიუთხრა,  
სჯულის თან შემწყო უწერილობით რა იპოება.  
პავლესი რომ არ დაიჯერო და ზღაპრობა იწყო,  
საღმრთო სჯულს მაშინაც არ დაეზავება. ვალი  
გაქვს წერილობითის წურთისა და წესიერი  
მღუდელობა გაქუს. ესეც უნდა მოგახსენო, თუ  
სჯულის ძიება გნებავს, მარხვა უნდა იწვართო და  
ნაყროვანება უნდა დაუტეო, თორემ სჯულს ვერ  
მოიპოებ. თუ როგორ, ამის სახეები ძველიდამ  
მოვიღოთ.

ისრაელნი რომ დასხდენ ჭამად და სმად და  
აღდგენ სიმღერად, მაშინ სჯუ/27vლი ვერ მოიპოვეს  
და მოსეს მიერ სჯულის ფიცარიც შეიმუსრა. და  
როდესაც მოსემ იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი  
ღამე და კიდევ მთად აღვიდა, მაშინ მოსემ მიიღო  
სჯული. ეგრეთვე შენ თუ ნაყროვანებას ექცევი,  
სჯულს ვერ მოიპოვებ და თუ მარხვას შეიტკბობ,  
უეჭველად საღმრთოს სჯულსაც მოიპოვებ და  
სცნობ.

ახლა ქადაგების დასაბამის შემდგომი სიტყვა  
მოვიხსენოთ: „ანგელოსი არს უფლისა ყოვლისა  
მპყრობელისა“. ანგელოსი არს (ესე იგი ქადაგი  
არსო). არათუ სხვისა, არამედ უფლისა ყოვლისა  
მპყრობელისა. დიდი კრძალვა მართებს მღვდელს,  
რადგან ანგელოსად იწოდა. ანგელოსის თვისება

არ დაკარგოს, თორემ ეშმაკისა და იუდას მსგავსებას  
მიიღებს ამისთვის, რომ ამათაც ანგელოსთ თვისება  
სრულიად დაკარგეს და უჩინო ყვეს თავისა  
თვისისათვის. და თუ ანგელოსის თვისებას უჩინო  
ყოფს, ესეც მათი მსგავსი შეიქმნება.

მოვიდეთ და ჯერ ანგელოსის თვისება რა არის,  
ის ვსთქვათ, და მერმე ეშმაკმა და იუდამ როგორ  
უჩინო ყვეს თავის თავისაგან ანგელოსთ თვისება,  
ის ვსთქვათ, და კიდევ მღუდელი ამათ როგორ  
მიემსგავსება ანგელოსთ თვისების უჩინო ყოფით,  
ისიც ვსთქვათ; ანგელოსთ თვისება ეს არის, ისაია  
იტყვის: „ექვსნი ფრთენი ესხნეს ერთსა, ორითა  
იფარვიდეს პირთა და ორითა ფერხთა და ორითა  
ფრინვენ“; ახლა ამათი ძალი გამოაცხადოთ, ორით  
პირს იფარვენ, რომ რასაც უფალი არ უბრძანებს,  
სხვას არას გამოიკულევენ; ორითა ფერხს იფარვენ,  
რომ თავის უმსგავსო საქმისა მიმართ არ მივლენან;  
ორითა ფრინვენ, რომ უფალს მსახურებენ, რადგან  
ანგელოსად იწოდე, მღუდელო, ეს ანგელოსის  
თვისება უნდა გაქუნდეს, პირს უნდა იფარვიდე, რომ  
უჯეროს არას მეტყველებდე.

გესმის უფლისაგან, თუ რას /28r გიბრძანებს: „ბაგენი  
მღვდელთანი იწურთიდეს მეცნიერებასა“. უჯერო  
იწვართო, არ უბრძანებია უჯეროს წურთა. ორით  
ფერხს უნდა იფარვიდე, რომ მღუდელობის  
უმსგავსოს საქმისა მიმართ არა უნდა მიხვიდოდე.  
ორითა უნდა ფრინვიდე, რომ უფალს უნდა  
მსახურებდე და ჯეროვნებით სხეულთა შენთა  
ამოქმედებდე. და თუ ამას არ ყოფ და უჯერობისაგან  
ბაგესა და ფერხს არ დაიფარავ, სწორებით ეშმაკსა  
და იუდას მიემსგავსები ამისთვის, რომ ამათაც არ  
დაიფარეს უჯერობისაგან პირი, ფერხი და  
ანგელოსთ თვისება უჩინო ყვეს თავსა თვისისათვის,  
თუ როგორ ვაჩვენოთ: ეშმაკმან არ დაიფარა პირი  
და სთქვა უჯერო, ვითარცა მოგვითხრობს ისაია:  
„აღვედე ღრუბელთა ზედა და ვყო მე მსგავს  
მაღლისა მის“. არა დაიფარეს ფერხი, რამეთუ იწყეს  
ამის უჯეროსა მიმართ სლვად და იქმნენ  
განვრდომილ ღმრთისაგან, ეგრეთვე იუდამ არ  
დაიფარა უჯეროებისაგან, რამეთუ ქრისტეს  
განსყიდვა აღუთქვა ურიათა: მე მოგცეო იგი თქვენ.  
არა დაიფარა ფერხი, რამეთუ მეუფისა თვისისა  
განსყიდვად რბიოდა და ამისთვის ძედ

წარწყმედისად იწოდა.

საყვარელნო, შენც თუ ამათდა მსგავსად დაკარგავ,  
შენგან ანგელოსის თვისების და უჯერობისაგან  
პირსა და ფერხს არ დაიფარავ, შენც ამათ  
მიემსგავსები და მათს მსგავსებას განიშორებ და  
კეთილთა ანგელოსთა მსგავსება განისაკუთრე,  
წვრთითა მეცნიერებისათა და მიებითა საღმრთოსა  
სჯულისათა, რათა ქრისტეს თანა ეგო მისისა  
უტყუელისა სიტყვისა ებრ: „სადაცა მე ვიყო, მუნცა  
მსახურნი ჩემნი იყვნენ“, რომლისა არს დიდება და  
სიმტკიცე აწდა საუკუნეთა უკუნისამდე ამინ.

/28 v მეექვესა კვირიაკესა მარხვათასა  
ქადაგება შურისათვის

წინასწარმეტყველთა შორის წარჩინებული დიდი  
ისაა იტყვის: „შურმან შეიპყრის ერი უსწავლელი  
და აწ ცეცხლმან შესჭამნეს წინა აღმდგომნი“.

წინასწარმეტყველთ ჩვეულება არის, რომ მათს  
ჰაზრი იგავით იტყვიან და დაფარულის გამოთქმით,  
მაგრამ აქ წინასწარმეტყველი ამას იგავით არ  
უბნობს, ცეცხლი შესჭამსო, (ესე იგი ჯოჯოხეთის  
მწარე ცეცხლი შესჭამსო). იქმნება ვინმემ სთქვას:  
„შურმან შეიპყრას ერი უსწავლელიო, უსწავლელი  
ერი შეიპყრას შურმანო და მე კაი სწავლული ვარ,  
უსწავლელი არ ვარო და ცეცხლმან შესჭამნეს  
წინა აღმდგომნიო“. წინა აღმდეგნი შესჭამოს  
ცეცხლმანო, თორემ შურით შეპყრობილს არ  
უბნობსო.

საყვარელო, რადგან შენ ამ სიტყვის ძალას ესრეთ  
სხვებრ გარდააქცევ, აქ მე გიჩვენო, თუ ამ  
წინასწარმეტყველის თქმულს რა ძალი აქვს.  
„შურმან შეიპყრას ერი უსწავლელიო“, რომ უბნობს,  
ვინც ეს არ იცის, რომ შური ღმრთის სამაგელი  
არის და მეშურნეს განრინება არა აქუს  
ცეცხლისაგან, ეს თუ არ იცის, სრულიად ღმრთის  
მეტყველება და ყოველივე სიბრძნის მოყვარება შენ  
შორის იპოვებოდეს, მაშინაც ყოვლითურთ  
უსწავლელი ხარ და ამისთვის გეუბნება  
წინასწარმეტყველი და უსწავლელს ამისთვის  
გიწოდებს; და ცეცხლმან შესჭამნეს წინა

აღმდგომნიო, ვინც რომ შურით შეპყრობილი არის,  
და შური აქვს, თუმც ყოვლის სათნოების და  
კეთილის აღმასრულებელი იყოს, მაშინაც ღმრთის  
წინა აღმდეგი არის, რომელსა დაამტკიცებს დიდი  
ღმრთის/29rმეტყველი აღფვერდი: „შური კაცისა წინა  
აღმდეგ არს ღმრთისა“, და ამისთვის გეუბნება  
წინასწარმეტყველი: „ცეცხლმან შესჭამნეს წინა  
აღმდგომნიო“, და ეს არის ამ სიტყვის ძალი და არა  
ესრეთ, ვითარ შენ გარდააქციე შურის  
სიყვარულისათვის, საყვარელო.

აწ მოვიდეთ და ძალითა სულისა წმიდისათა ეს  
აღმოაჩინოთ, თუ შური როგორი წინააღმდგომი  
არის ღმრთისა და ვითარი განმარისხებელი მესიასი:  
ღმერთმან ყოველთა მის მიერ ქმნულთა  
დაბადებულთა შორის უბრწყინვალესად,  
უგონიერესად, და ყოველთა უმჯობესად ანგელოსნი  
განაწესნა და დაადგინნა თვით მსახურად  
ღმრთაებისა მისისა, რომელნიცა არიან უსხეულონი  
და უკუდავნი, რომელთათვის იტყვის სამღრთოთა  
ეკლესიათა დიდი ქადაგი იოანე დამასკელი:  
„რომლისა არსება და სახე და საზღვარი, მხოლომან  
უწყის დამბადებელმან, ესრეთი შექმნა ღმერთმან  
ანგელოსნი“, მაგრამ ანგელოსთ რომ განიხილეს  
ღმრთის მიუწოდელი ძლიერება და ძალი და  
მეუფება, შეიშურვეს და სთქვეს: ჩვენც რათ ისე არ  
ვართო, და ღმერთმან რომ მათი შური სცნა და  
წინა აღდგომობა, გარდამოსთხია ზეციდამ და  
ეშმაკად აქცია და ჯოჯოხეთის ცეცხლშიდ  
დაამკვიდრა.

ეგრეთვე კაცი ადამ ღმერთმან დიდის  
საკვირველებითა და სიყვარულით შექმნა,  
რომლისათვის ბრძანა: „ვქმნეთ კაცი ხატად და  
მსგავსად ჩვენდაო“; და შექმნა იგი და შთაბერა  
სული უკუდავი და განუკვეთა სამყოფი სამოთხე  
საკვირველი და მას შინა დაადგინა. გასინჯე აქ  
სიყვარული ღმრთისა კაცთადმი – თავის ხატის  
მსგავსი შექმნა, უკუდავი სული მისცა და თვით  
მისგან ქმნულს სამოთხეშიდ დაადგინა, ამის  
უდიდესი სიყვარული რაღა იქმნება და  
უსანატრელესი, მაგრამ როდესაც ადამმა შური  
გონებაშიდ გამოისახა და სჭამა ხი/29vსა მიერ  
ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და სთქვა:  
„ვიქმნეთ ჩვენ ღმერთნიო“ და შეიშურა ღმრთაება

მისი, მაშინ ვერა რომელნიმე საკვირველნი საქმენი  
შეეწია ადამს, განურისხდა ღმერთი, გამოაძო  
სამოთხისაგან და დასაჯა და განუჩინა სიკუდილი  
და ოფლითა გამოზრდა მისი.

საყვარელნო მსმენელნო, იხილეთ, თუ ვითარი  
დამაბნელებელი არის შური და ვერ მომსპობელი  
ყოვლის კეთილისა. ხომ დაინახეთ, რომ არა  
რომელმანმე კეთილმან ვერ სძლო შურს და თუ  
ანგელოსთ კეთილობას დააბნელა შურმან და  
ადამისაცა, ღმერთმან არცა საკვირველთა მსახურთა  
მისთა ანგელოსთა, არცა საყვარელსა მისსა ადამს  
შეუნდო და რიდა და დასაჯა, მაშ შენ, შურით  
შეპყრობილს, სულ არ გრიდებს და საუკუნოდ  
დაისჯები და ეშმაკის შვილად და ჯოჯოხეთის  
ნივთად გამოჩნდები. და იხილე, თუ ვითარი  
საძაგელი ყოფილა შური და ყოვლის კეთილის  
დამამხობელი და განმაბნეველი;

დღეს ჩვენი სიტყვა და ჰაზრი შურისათვის არის  
აღებული, მაგრამ ზემო თქმულმან სიტყვამან  
საღმრთომან იძულებულ მყო, რომ მცირე სიტყვა  
აქ ურწმუნოთა ჰურიათა და აგარიანთადმი უნდა  
წარმოვსთქვათ: ჰურიანო, წინაშე ვსთქვით, სჯულის  
მდებელი თქვენი მოსე დასწერს „ღმერთმან სთქვა:  
„ვჰმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდაო“. მოსემ  
ხომ ესრეთ დასწერა და თქვენ ერთსა ღმერთსა  
აღიარებთ, ჭეშმარიტად აღვიარებ მეცა ერთსა  
ღმერთსა სამთა პირთა და გვამთა შინა  
აღსარებულსა, მაგრამ ეს მითხარით, თუ ერთი  
ღმერთი მხოლოდ არის და არა სამი პირი და გვამი,  
ეს მრავლობითად რათ ბრძანა: „ვჰმნეთ კაცი ხატად  
და მსგავსად ჩვენდაო?“ „ვჰმნეთ“ და „ჩვენ“ ხომ  
ორსა და სამს დანიშნავს, და თუ ერთი პირი  
მხოლოდ იყო, რასათვის მრავლობითად ბრძანა?  
უმჯობესი არ იყო, მხოლობითად ებრძანებინა.  
„ვჰმნა კაცი ხატად და მსგავსად ჩემდა?“ რადგან  
ერთი იყო, ასე იტყოდა, რა საჭირო იყ/30rm  
მრავლობითად თქმა, მაგრამ ცხადათ სჩანს, თქმითა  
ამით ანუ სამება ღმრთაებისა უნდა აღიაროთ, ანუ  
მოსე სჯულის მდებელი თქუცნი უნდა გააცრუოთ.  
ჰურიანო და აგარიანნო, ამას რომ უბნობს  
უფალი: „ვჰმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდაო“,  
ვის ეუბნება ამას: „ვჰმნათო“, მითხარი, თუ ვინ იყო  
მაშინ კაცის შექმნასა ზედა ღმერთთან? ან რომ

უბნობს: „მსგავსად ჩვენდაო“, ან ვინ იყო მსგავსი  
მისი? რად მეტყვით ამისას? თუ იტყვით, ანგელოსი  
იყო მაშინ ღმერთან და მას უბრძანებსო, მაშინ  
სცადეთ, ანგელოსი ღმრთის მსგავსი როგორ იქმნება,  
თვით მისის ჯელით შექმნილი? თორემ სთქვით, თუ  
მაშინ ღმერთან მსგავსი მისი ვინ იყო, რომ თვით  
ბრძანებს: „ვქმნათ ჩვენ კაცი ჩვენი მსგავსიო“.

შ დაბრმობილნო, წულარს იტყვით, თვით სჯულის  
მდებელი თქუცნის მოსეს თქმული არცხვენს პირსა  
თქუცნსა. ჭეშმარიტად თქმა ესე დაამტკიცებს, რომელ  
ღმერთი ერთარს სამთა გვამთა და პირთა შინა  
ცნობილი, მამა და მე და სული წმიდაა, სამი პირება  
ერთსა არსებასა და ღმრთაებასა შინა ცნობილი  
და ესენი იყუნენ, ერთმანეთისა შორის რომ ჭმობდენ:  
„ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდაო“, და  
ესრეთ აღვიარებთ და თაყვანის ვსცემ და თქუცნ  
რადასა იტყვით? მე ვგონებ, არა გქონდესთ სათქმელი  
მიზეზი. ბრძანებისაებრ უფლისა: „მიზეზი არა აქვს  
ცოდვათა მათთათვის და ესრეთ დაიყო პირი თქუცნი,  
რომელი იტყოდის სიცრუესა“.

აწ ჩვენ მოვიდეთ და პირველსავე ჰაზრსა და  
სიტყვასა ზედა აღვიდეთ და ვსთქვათ შურისათვის,  
ხოლო ჰურიათა და აგარიანთადმი ესე მცირე  
სიტყვის გება კმა იყავნ: საყვარელნო ქრისტეანენო,  
მსმენელნო ჩემნო, თვით პირველსავე სიტყვასა შინა  
დაინახეთ ცხადათ, რომ შური დიდი რამ ვნება  
არის, რომელიც ყოვლითურთ განუხსნელის  
საკურელით შეკრავს კაცს.

მე გეტყვი, შუ/30vრი ესე ვითარი არის, ყოველი  
სათხოება რომ გქონდეს, ყოველი მოღვაწეობა  
აღასრულო, ყოველი კანონი ბრძანებული დაიმარხო,  
მაშინაც თუ იოტის დონე შური შენ შიდ არის,  
ყოველივე ეს ზემო თქმულნი შენთვის უხმარი არის  
და სატანას შვილი ხარ და ჯოჯოხეთისა ნივთი.  
თუ როგორ, ამის დამამტკიცებელი სიტყვანი  
მოგართვათ.

ეს ხომ იცი, რომ სიმულილი შურისაგან ნაშობი  
არის და მისგან წარმოებს, და ამისთვის პავლე  
ყოველისა სოფლისა ქადაგი და პირი ქრისტესი,  
გასინჯე რა სახელი არის ეს, ბრძანებს: „და  
გაქუნდესრათუ წინასწარმეტყველება და უწყოდე  
ყოველი საიდუმლო და ყოველი მეცნიერება,  
მაქუნდესლათუ ყოველივე სარწმუნოება, ვიდრემდე

მთათა ცვალებამდე და სიყვარული თუ არა მაქუნდეს,  
არავე რად ვარ”.

ად, საყვარელნო, რა გითხრა პავლემ.

წინასწარმეტყველი რომ იყო, ყოველი საიდუმლო  
და ყოველი მეცნიერება და სიბრძნე რომ იცოდე,  
ასეთი სასწაულთ მოქმედი რომ იყო, ამ მთას  
უბრძანო და იქი გარდასცვალო, ამისთანა კაცი  
რომ იყო, მაშინაც თუ სიყვარული არა გაქვს და  
შური არის შენ შიდ, ყოვლითურთ უხმარი არის.  
არა რაიც ხარ, და გასინჯე, თუ შური რა ყოფილა,  
რომ ყოველივე კეთილი დააბნელა და უხმარად  
გამოაჩინა, და სადაც კეთილი დაბნელდება და  
უხმარი იქმნება, მაშინ შენც დაბნელებული იქმნები  
იქ განწირულებაშიდ მიცემული.

რა ვყო, არ ვიცი. შურმან დიდი რამ ძალა მიიღო,  
დიდი რამ გარემოება მოიცვა, დიდი რამ წინა  
აღმდეგი შეიქმნა კეთილისა, და თუ სრულიად ამის  
გამოძიებას შეუდგეთ, უთუოთ მოწყინება შემოვა;  
და თუ დაუტეოთ და დაშთეს ვინმე ამის უსწავლელი,  
თუ შური არ არის, უთუოთ როგორც ვეშაპი, ესრეთ  
შთანთქავს კაცს, და უმჯობესი არის, ისევ  
გამოძიებას შეუდგეთ შე/31rმოკლებით ძალითა  
ყოვლად წმიდისა სულისათა;

მსმენელნო ჩემნო ქრისტეანენო, ყოველთა  
გმართებსთ განშორება ამ საძაგელის სავნებელის  
შურისაგან, მაგრამ უფრო საღმრთოთა კაცთა  
ამისთვის, რომ ყოველნი საღმრთონი წარმატებანი  
შურისაგან დაცემულ არიან და შენცა, ზ  
სამღვდელონო, ეკრძალე, ნუ უკუე შენცა განიცადო.  
წმიდანო მამანო სამღვდელონო, რადგან ბერად  
შემდგარხარ და სამღვდელოება მიგიღია, მაშ  
უქველად სჯული უნდა გქონდეს, და თუ სჯული  
არა გაქვს, უსჯულო ან ბერი როგორ იქმნება, ან  
მღვდელი? და თუ შური რაიმე მცირე იპოება შენ  
შიდ, უთუოდ უსჯულო ხარ.

იხილე ყურადღებით პავლე რას გიბრძანებს:  
„აღმასრულებელი სჯულისა სიყვარული არს”“.  
სჯულის აღმასრულებელი სიყვარული ყოფილა,  
და შენ შურით შებლარდნილ ხარ და გასინჯე,  
თუ უსჯულო არ ყოფილხარ და უსჯულოთათვის  
სატანჯველი და ცეცხლი მზათ არის მისაგებელად.

მე ვსწუხ, პატიოსანნო მამანო, რომ დღეს მე  
პირი სამღვდელოთა მიმართ აღვიდე, მაგრამ რა

ვქნა, თუ არ ვსთქვა და გესათნეო, ქრისტეს  
მონებისაგან განვვარდები, ვითარცა იტყვის პავლე:  
„უკეთუ კაცთა სათნო ვიყო, ქრისტეს მონამცა არა  
ვიქმნეო„, და თუ ვსთქვა და ვიშიშვი, ვაითუ  
სიწმინდით თქუცნისაგან გულ კლებულ ვიქმნე,  
მაგრამ ასრეთს საღმრთო ადგილზედ აღვსრულვარ,  
არ ვსთქვა, არ იქმნება და სულგრძელებით  
მომიტევეთ.

პატიოსანნო მამანო, მე საკვირველებას ვხედავ  
ერთს: მკუდარი ხარ, სუდარა შემოსილი და შენ  
ცოცხალსავით იქცევი და მკუდარი სუდარ  
შემოსილი, სოფლით სოფლად დაიარებოდა და ამ  
სოფლის სიხარულს შექცეოდა, ვის გინახავს ეს?  
ეგებ სთქვა, როგორ მკუდარი ვართო, ცოცხალი  
ვართო, რადგან ცოცხალი გგონია შენი თავი. აწ მე  
გიჩვენებ, /31v თუ მკუდარი არა ხარ, სუდარ შემოსილი  
და საფლავსა შინა დამარხული.

როდესაც კაცი მოკუდება და დაუტევებს მამას,  
დედას, ცოლს, შვილს და ყოვლისათვის ამ სოფლის  
დიდებას შეიმოსს სუდარს და დაფლვენ მიწასა  
შინა და იქიდამ ვერ გამოვა, ვიდრე მეორეთ ქრისტეს  
მოსვლამდის, ეგრეთვე შენ, მამაო, არა გახსოვს, რასა  
იტყოდი შემოსვასა ცქებისასა, ოდესცა სიკუდილი  
გაეულვებოდა ამ სოფლით? მაშინ არ აღსთქვი  
წინაშე ღვთისა და საყდრისა მისისა, და მაშინ არ  
დაუტევე მამა, დედა, ცოლი, შვილი და ყოველივე  
სოფლისა ამის დიდება და სიხარული? განხვედი  
ამ სოფლისაგან, შეიმოსე სუდარი, ესე იგი ცქება,  
და დაეფალ საფლავსა შინა, ესე იგი აღსთქვი  
განუშორებლობა ეკკლესიისა, ვიდრე მკუდართ  
აღდგომამდე, და იფიქრე, თუ მკუდარი არ ყოფილხარ,  
და რადგან მკუდარი ხარ, მაშ რაღა სახმარი არის  
ამ სოფლის დიდება, ან სიხარული მკუდართათვის.  
ყოვლითურთ განევლტი და გაექც ამ სოფლის  
ზრუნვას და ამ სოფლის სიხარულს, და მიიღე  
ნაცულად მისა ასი წილი საწყაული კეთილი,  
შეხრილი და დატენილი და ზედა გარდათხეული;  
და თუ არადა, უარყოფ შენს აღთქმას, მოუბრუნდები  
ისევ ამ სოფლის წუთს ცხოვრებას, მაშინ გიბრძანებს  
ქრისტე უფალი: „რომელმან უარ მყოს მე, უარ  
იქმნეს იგიცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“, და  
ეს კმა შთაგიყვანებს ფსკერსა ჯოჯოხეთისასა და  
სადა იტანჯებოდე საწყალობელად.

მე ვხედავ, ტყუვილად ცდები. თუ ბერი ხარ, ამ სოფლის სიხარული უნდა დაუტეო, თორემ ტყუვილად ცდები. უფალი იქსო გიბრძანებს: „ვერ ძალ გიც ორთა უფალთა მონებად“, ქუდი დაგიხურავს და ანაფორა ჩაგიცვამს, ვითომ ბერი ხარ, და ამ სოფლის ცხოვრებას ვერ შეექცევი, ამ ორის ერთათ მოხმარება არ შეგიძლიან. ანუ შეუდეგ ქრისტეს სიტყვას და ამ სოფლის დიდება და შური დაუტევე, ან თავი შენი განმზადე გეენისათვის.

მხოლოდ ქუდით და ანაფო/32rრით ბერობა არ იქმნება, ეს ქრისტეს თქმული იგავის მსგავსება არის: „გარეთ სჩანან შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე ხარ ნატაცებით და არა წმიდებითა“. ბერული ქუდი გახურავს, ანაფორა გაცვია, და შურით სავსე ხარ. ეს ყოვლად შეუძლებელი არის, მგელს რომ ცხოვარის ტყავი ჩააცლა, ამით ცხოვართ სიმშვიდეს ვერ მიიღებს. ეგრეთვე შენ მხოლოდ ანაფორით წმიდანთ დასთ მემკვიდრეობას ვერ მიიღებ.

თუ ბერობა გინდა, განიწმინდე გული შურისაგან, მოიძულე დიდება სოფლისა ამის, განეშორე უწესოებასა, გულფიცხობასა, და ამით იქმნე განწესებული გუნდთა შორის ანგელოსთასა და გაქვნდეს დიდი სიხარული ცათა შინა.

კიდევ მოვიდეთ და ზემოთქმული სიტყვად მოვიღოთ. შენ თვით ნებითა შენითა აღუთქვი ქრისტეს დატოვება სოფლისა ამის, და ახლა ისევ ამ სოფელს შეექცევა. იხილე, რას გიბრძანებს: „არავინ დასდვის კელი ერქვანსა და უკუნდა იხედვინა“. რადგან ბერობის ერქვანს კელი დასდევ, სოფლისაკენ ნუღარ იხედავნ, თორემ ლოთის ცოლმანც უკმო იხედა და აღთქმა შეურაცხყო, მაგრამ ძეგლ მარილათ გარდაიქცა; ეგრეთვე შენ აღთქმას შეურაცხ ყოფ და სოფლისაკენ უკუ მიხედავ? შენც ძეგლ მარილად გარდაიქცევი, ესე იგი ჯოჯოხეთის ნივთი შეიქმნები და შვილ ეშმავისა და მამისა ძეობისაგან და ქრისტეს მოწაფეობისაგან განვარდები.

წმიდანო მამანო, უწინვე გითხარ, ხომ ყოველი დაუტევე ამ სოფლის ცხოვრება და ქრისტეს აღუთქვი შედგომა, მაშ რათ გინდა, რომ თეთრს იკრებ, სიმდიდრე გიყვარს და ინახავ თეთრს? გინდა განიმრავლო საქონელი? ეს ქრისტეს მოწაფეობისაგან შორს არის. ანუ უნდა მოიძულო

სიმდიდრე, ან ქრისტეს მოწაფეობას უნდა დაეთხოო. ქრისტე არათუ თეთრის შეკრებას გიბრძანებს: „ნუ წარგაქვს ბალანტი, ნუცა ვარშაკანი, ნუ/32vცა ფერხთა შესაცმელი გაქვსო“. ქრისტე ასე უპოვარებას გიბრძანებს და შენ არა თუ ფერხთ საცმელს, ოქროც მრავალი გინდა გქონდეს, მაგრამ ეს ქრისტეს შედგომა არ არის, ეს უფრო აპნეარება არის. ან დაუტევე ქრისტესთვის დიდება და მოხვეჭა ნივთის და მიიღე ასი წილი საწყალი კეთილი და ანუ შეუდეგ ცეცხლსა და მიიღე ჯოჯოხეთი.

მე გეტყვი შენ, არათუ ვეცხლის მოყვარება და დიდების შეკრება, თუმც მცირე რაიმე გაქვს დაუჯაებული, მაშინაც შენი ბერობა და მონაზონება უხმარი არის. ვითარცა იტყვის აგვისტინე: „უკეთუ მონაზონსა აქვს ერთი მწულილი, არა ლირს არს მონაზონი იგი ერთ მწულილად“. გასინჯვა, მწულილის უფრო მცირე დიდება რაღა იქმნება, და ერთი მწულილი თუ გაქვს, იმათ არ ღირხარო, და იხილე, თუ შენი მონაზონება და ბერობა უხმარი არ ყოფილა.

ეგებ ვინმემ მითხრას, რა ვქმნათ, მაშ რამ უნდა გვარჩინოსო? ცოცხალი ვართო და თუ არ ვიზრუნოთ, მაშ რა ვქმნათო? ამისთვის კი არ გითხარ, არ გრწამს ქრისტეს სიტყვა და არც სახარების შედგომილი ხარ, თორემ ამას არ იტყვი, თუ ქრისტეს სიტყვა შენ ჭეშმარიტად მიგაჩნდეს, როგორ იტყვი ამას. მოიხსენე, რას გეტყვის: „ნუ ზრუნავთო, მიხედეთ მფრინველთა ცისათა, არცა შვრებინ, არცა სთნავს, არცა შეიკრებენ და მამა თქუწინ ზეცათა ზრდის მას“ და გეტყვის: „რაოდენ უმჯობეს ხართ თქუწინ მფრინველთაო? ასე გპირდება, თუ მამა ჩემი ზეცათა მფრინველს ზრდისო, თქუწინ უფრო გამოგზრდის და ნუ ზრუნავხართო, და თუ შენ ქრისტეს სიტყვა გრწამდეს, მაშ რასთვის ზრუნავ? ნუ ზრუნავ, ნუ შეიკრებ, ნურც გინდა ნივთის სიმრავლე და მამა იგი ზეცათა გამოგზრდისთ, და ყოველსავეს გარდამეტებულს მოგცემს ორსავე სოფლით და მიიღებ ყოვლადვე დიდებასა დაულე/ვპრენელსა.

ამასაც გეტყვი, თუ დიდება გიყვარდა, ხომ კი იცი ქრისტე სიგლახავის მოძღვარი იყო, რათ შეუდეგი? აქ ღონე არ არის არს მეტი, ან მოიძულე დიდება, ან ქრისტეს მოწაფეობას უნდა დაეთხოვო და რომელიც სჯობდეს, მას შეუდეგ. მსმენელნო

ჩემნო მამანო, დიდება გიყვარს და შოვნა არ იცი.  
დაიარები და თხოულობ, ღიტინობ, თავს იწუხებ  
და სხვას აწუხებ, ამით შენ ნივთს როგორ  
გაიმრავლებ? თუ ნივთის გამრავლება გინდა,  
ქრისტეს სიტყვას შეუდექ და ყოველს ნივთს იშოვნი  
და გამდიდრდები.

ქრისტე გიბრძანებს: „პირველად ეძიებდით  
სასუფევლსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს  
თქუცნო“. აი, საყვარელო, თუ სიმდიდრე გინდა, ეს  
არის, პირველად შეუდექ სასუფევლის მოგებას, თუ  
საიდამ იშოვნო ის და ყოველი შეგეძინოსო, ესე  
იგი, ყოველი სიმდიდრე სულით და კორცით  
შეგეძინოსო. თუ გინდა ნივთის სიმრავლე და  
სიმდიდრე, ეს არის და იქიდამ იშოვნი, თორემ შენი  
შურით თხოვნით, კაცის შეწუხებით, უსამართლობით  
ვერც რასმეს იშოვნი და როგორც მფრინველი  
მცირეს საჭმლისაგან მოტყუებული შთავარდების  
მახესა შინა, ეგრეთვე იმ მცირეს მოგების  
მოტყუებული შთავარდები ჯოჯოხეთის მახეშიდ  
და მოიშთობი.

აქ მე ერთს რასმეს ვიკითხავ და ნუ განმკიცხავთ.  
თუ იცით, მითხარით, თუ ბერობა რა არის? ეგებ  
მითხრათ, ბერობა რა არის, როგორ არ ვიცითო,  
ცოლი არა გვყავს და შვილიო, ქუდი მახურავს და  
ანაფორა მაცვიაო, წორცს არ ვსჭამო და ბერობა  
ეს არისო. მხოლოდ ბერობა ეს არ არის, ეს  
ბერობისაგან მოგებული სათნოება არის, ბერობა  
ორი საქმე არის: ერთი ამ სოფლის დატევება, და  
მეორე ქრისტეს შედგომა. ესა ორი უნდა გქონდეს,  
თორემ ბერი არა ხარ და შენ როგორ დაგიტევებია  
ეს სოფელი სიმდიდრის მოგებისათვის? არ გძინავს,  
თუ სადმდე რამე შევიძინო, შუ/33vრი აგერ გულს  
აღმოგჭამს, თუ იმ კაცს ჩემზედ უფრო ბევრი რათ  
აქვსო და მიჩვნე, თუ ეს სოფელი დაგიტევებია და  
ან ამ სოფლის ცხოვრებაშიდ არა ხარ და ეგრეთვე  
ქრისტეს შედგომილი თუ ხარ, მას უნდა ებაძვებოდე.

ქრისტე ასე ბრძანებს: „მშვიდ ვარ და მდაბალ  
გულითაო“. შენ მშვიდი ხარ კი არა, გულ ფიცხ-  
ელობ, გძულს ძმა, ეშურვები და აგინებ, და გინდა  
პირველ ყოფა ყოველთა და საიდამ სჩანს ან სოფ-  
ლის მოძულება და ან ქრისტეს შედგომა? ცოლი  
და შვილი არ მყავსო, წორცს არ ვსჭამო. ეოსფორეს  
არ ყავდა არც ცოლი და შვილი და არც წორცს

სჭამდა, მაგრამ რომ ვერ დაიცვა თავისი სამთავრო,  
გარდამოვარდა დიდებისა თვისისაგან და  
დაიკვიდრა ჯოჯოხეთი. ეგრეთვე თუ ამ სოფელს  
არ დაუტევებ, და ქრისტეს ბრძანების მსგავსად  
მშვიდობას და სიმდაბლეს არ ეცდები, გარდამო-  
ვარდები ანგელოსთ დასებისაგან და მიეცემი ფსკერ-  
სა ჯოჯოხეთისასა.

აგრევე რომ უბნობ, ქუდი მახურავს, ანაფორა  
მაცვიაო და არც ეს რამე არის, თუ შინაგანი წმიდა  
არ გაქვს, ქრისტეს ბრძანებისამებრ გეთქმის შენ  
იგავი, რომელსა ბრძანებს: „მიმსგავსებულხართ  
საფლავთა განგოზილთა, გარეთ სჩანედ მშვენიერ,  
ხოლო შინაგან სავსე არიან ძვალებითა კაცთათა  
და არა წმიდებითა“. აგრევე შენ გარეთ სჩანხარ  
შვენიერ ბერობის სახით, მაგრამ შინაგან სავსე  
ხარ არა წმიდებითა, ესე იგი შურითა და  
სიძულილითა და იფიქრე, თუ ან ქუდი და ან  
ანაფორა რასმეს გიჯობს და ეს შენი ჰაზრი  
ჯოჯოხეთის შვილობას არ მოგცემს.

აწ, საყვარელო, თუ ქრისტეს მოწაფეობა გინდა  
და ბერობა, პირველად განაგდე შური ყოველთა  
უმძიმესი, მოიძულე უსარგებლო ამ სოფლის დიდება,  
რომელი დღეს არის და ხვალე არა, განაგდე გულ  
ფიცხელობა, მშვიდ იყავ და მდაბალ და მაშინ იქმ/34r  
ნე შენ შვილ მამისა ზეცათასა და გაქვნდეს დიდი  
სიხარული ცათა შინა და თუ ასე არ იქმ და  
ტყუვილად ცდები, არც შენი ბერობა სახმარი არის  
და შენის უგვანის ბერობის მოტყუებული მიიღებ  
დაულევნელსა სატანჯველსა.

წმიდანო მამანო, ეს ხომ კარგათ იცით, რომ თქვენ  
ანგელოსნი ხართ, უფალი გიბრძანებს პირითა  
მალაქია წინასწარმეტყველისათა: „რამეთუ  
მღვდელნი არიან ანგელოსნი ყოვლისა  
მპყრობელისანი“ და როგორი სიწმინდე გმართებს,  
აწ შენ განსაჯე და რადგან ანგელოსი ხარ, მიკვირს,  
თუ რა ჰპოვე ასეთი კეთილობა და კეთილი ქცევა,  
რომ იუდას მიებაძვე და იუდასაებრ იქცევ და  
ანგელოსება განაგდე, თუ როგორ – მოგახსენო:  
იუდა ქრისტეს მოწაფე და მოციქული იყო და  
მახლობელად მსახური მისი, მაგრამ შური აღიღო  
და შური ქონდა, და როდესაც შურმან მისი გული  
აღავსო, ვერდა დაჲსდგა ქრისტესთან; რადგან შურით  
უღირსება ჰქონდა, საღმრთო ნებასთან ვეღარ

განისვენა, დაკარგა მოციქულება და მოწაფეობა  
და განსცა ქრისტე, წარვიდა და მოიშთო და  
განუძღვა შური და მიუძღვა საუკუნოდ ჯოჯოხეთად.  
ეგრეთვე შენ შურით აღსავსე ხარ და წარმდგარ  
ხარ წინაშე წმიდისა საკურთხეველისა და შესწირავ  
მსხვერპლს და არ გახსოვს, რომ წარწყმედილისა  
და საძაგელის შურით გული აღსავსე გაქუს და არ  
გეშინის უსისხლოსა მსხვერპლისა და ესრეთ  
მოურიდებელად შესწირავ, ამით დაკარგავ  
ანგელოსებრს სამღლდელოებას, ჰყიდი მეორედ  
ქრისტეს, ამისთვის მოიშთობი, საწყალობელო, და  
მიგიძლვების შური ჯოჯოხეთად, ვისაცა შენ ბაძავ,  
მას იუდასთან და ორნივე ერთად იტანჯვებოდეთ  
საუკუნოდ. მიკვირს, როგორ ჰბედავ, შური გაქუს  
და სწირავ, ეს საკვირველი არის. ხომ იცი, შენ  
საღმრთოს ცეცხლთან თივა ხარ, და უღირსებით  
ნუ შეეხები, თორემ დაიწვი, ვითარცა თივა.

მღვდელო, ბრძანებისაებრ ქრისტესისა,  
„გამოიცადენ თავი თვისი“, რომ შენთან შური  
მახლობლათაც არ მდგომარეობდეს და მერმეთ  
შესწირე, თორემ თუ შენს მახლობლად შური არის  
და ისე შესწირავ, ორისავეს სოფლის  
წარსაწყმედელად შესწირავ და დაეცემი, და თუ არ  
დამიჯარებ და შესწირავ და მიეახლები, ნადამ და  
აბიუდ მიეახლენ უღირსებით / 34v სამღრთო ცეცხლს,  
მაგრამ დაიწვენ. ეგრეთვე შენცა დაიწვი საუკუნოს  
ცეცხლით უღირსებით მიახლებით და თუ გინდა  
ანგელოსთ მსგავსება და მსგავსად მისა სიწმინდით  
მსახურება ქრისტეს სისხლისა და ჭორცისა,  
განიშორე შური და სიმულვილი, გულ ფიცხელობა  
და უწესოება და მერმეთ შესწირეთ შესაწირავი  
შენი და მაშინ იქმნები მღვდელი და მსგავსი  
ანგელოსისა.

მამანო და ძმანო და შვილნო, საზოგადოდ,  
მსმენელნო ჩემნო ქრისტეანენო, სამღვდელონო და  
საერონო, ყოველნი ყოველთა მოგახსენებთ და აწ  
საზოგადოდ გეტყვი ყოველთა. თქვენ ხომ იცით ეს,  
რომ ტაძარნი ღმრთისანი ხართ ყოველნი და ღმრთის  
ტაძრად აღშენებულნი ხართ, რომლისათვის  
გეტყვისთ პავლე: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი  
ღმრთისანი ხართ და სული ღმრთისა  
დამკვიდრებულარს თქუცნ შორის?“ და ამის  
უმჯობესი რაღა იქმნება, რომ ღმრთის სულმან თქუცნ

შორის დაიმკვიდროს; მაგრამ სად უნდა  
დაიმკვიდროს, შენ შენი გვამი შურით  
აღმოგიროხავს და ღმრთის სულმან სად უნდა  
იშოვოს ადგილი? ღმერთი და შური ერთმანეთის  
დიდი წინა აღმდეგნი არიან, ვითარცა იტყვის  
საღმრთო დამასკელი: „რამეთუ შორს არს  
საღმრთოსაგან ბუნებისა შური, და ორნი წინა  
აღმდეგნი ერთს არსებაშიდ ვერ დაზავდებიან“, და  
თუ შენ შორის გინდა სულმან საღმრთომან  
განისვენოს, მაშ შური შენგან განაგდე და შენ  
შორის სული ღმრთისა დაიმკვიდრებს და იქმნები  
მე მამისა ზეცათასა და მფლობელი ნათლისა; და  
თუ შურს არ განაგდებ და მაშინ სული ღმრთისა  
შეუძლებელარს შენ მახლობლათაც დასდგეს და  
სული ბელიარისა დაიმკვიდრებს შენ შორს და  
იქმნები ძე ჯოჯოხეთისა და ნივთი გეენისა.

კიდევ გითხრა: თუ იცი, რომ შური შენ შორის  
არის, მაშინ კეთილს რასმეს შვრები, ყოვლად უხმარი  
არის, რა იმისთანა კეთილი ქმნა, სული  
დაბნელებული არის, და ან რასთვის მარხულობ,  
არ რასთვის ლოცულობ, ან რასთვის მოწყალებას  
შურები, ყოველივე უხმარი არის და თუ როგორ, ეს  
წერილით დაგიმტკიცო.

დიდი ბრძენი სოლომონ ბრძანებს თვისთა  
სიბრძნეთა შინა: „შური სიხენეშისა დააბნელებს  
კეთილსა“. აი, იხილე, თუ რადგან შური გაქვს  
ყოველი შენი კეთილი და სათნოება დაბნელებული  
არის და რასთვის შუ/35rრები?! თუ კეთილის ქმნა  
გინდა, პირველად განიშორე შური და მერმე ჰქმენ  
კეთილი და მაშინ კეთილი იგი შენგან ქმნილი  
იქმნება საკმეველი სურნელი, შეწირული წინაშე  
ღმრთისა და საყდრისა მისისა; და თუ შური გაქვს  
და ისე კეთილს შვრები, ყოვლითურთ უხმარი არის.  
კაინს რომ შური ქონდა და ისე მსხვერპლი შესწირა,  
ღმერთმან არ მიიღო, რომლისათვის იტყვის მოსე:  
„კაინსა და მსხვერპლსა მისსა ზედა არა მიხედა  
უფალმან“; ეგრეთვე შური გაქვს და კეთილს შურები,  
მაგრამ ღმერთი შენ ზედ და შენს კეთილზედ არ  
მიხედავს და არც მიიღებს შურით დაბნელებულს  
კეთილს და შენდა შენი ქმნილი კეთილი ერთად  
წარწყმდებით.

ქრისტეანო მსმენელნო, მე უგუნურებითა ჩემითა  
ვგონებ, საკმაოდ დაინახეთ, თუ ვითარი ბოროტი

ყოფილა შური და საჭირო არ იყო კიდევ შეძენა  
სიტყვისა, მაგრამ ერთი კიდევ მოგახსენოთ: ერთს  
გვითხავთ და მითხარით, – ერთი ასეთი საჭმელი  
ეგულებოდეს კაცს, რომ უთუოთ კაცს ამ სოფელს  
მოკლავდეს და იმ სოფლით წარწყმედდეს და რომ  
სჭამოს, უგუნურება იქმნება თუ არა? მეტყვით,  
როგორ უგუნურება არ იქმნება, სასიკვდილოს და  
წარსაწყმედელს კაცი სჭამდესო? მაშ მე გეტყვი  
თქუცნ, შური არის ესე ვითარი ნივთი, კაცს  
დააბნელებს ამ სოფლისაგან და იმ სოფლისაგან  
მოკლავს, და თუ როგორ, წერილით დაგიმტკიცო.  
ბრძენთა შორის საქებელი ღმრთის მეტყველი  
ალფვერდი გიბრძანებს: „შური დააბრმობს კაცსა  
ნათლისაგან და მოკლავს ცხოვრებისაგან.“

აი, საყვარელო, დამტკიცდა მგონია, თუ როგორ  
მომკვლელი და დამაბნელებელი ყოფილა ორივე  
სოფლით კაცისა შური და რა მიზეზი გაქვსთ აწ,  
რომ არ განეშორებით და რადგანაც ცხადათ  
დაინახეთ, რომ შური ესე ვითარი ბოროტი ყოფილა  
და დამაბნელებელი კაცისა, მომაკლებელი ორისავე  
სოფლისა, ამისთვის აწ მე, უღირსი, შეგივრდები და  
გთხოვთ სიყვარულისათვის ღმრთისა, განაგდეთ  
საძაგელი შური, მოიგეთ სათნოება და სიყვარული,  
განუტევეთ გულ ფიცხელობა, შეიყვარეთ მშვიდობა,  
რათა თქუცნ ზედა განისვენოს სულმან საღმრთომან  
და ძემან საუკუნოისა მა/35vმისაგან, და მით იქმნეთ  
ზიარ საყოფელსა მართალთასა, სადა არს  
დაულევნელი სიხარული და შვება, რომლისა შვენის  
დიდება და ქება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დიდსა პარასკევსა ქადაგება  
მაცხოვარებითსა  
ვნებასა ზედა

მაცხოვარი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე  
ბრძნებს მტილსა შინა გეთსემანიისასა: „შეწუხე-  
ბულარს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე“.  
ეს წმა საშინელი და საზარელი სასმენელი არის  
არათუ ჩვენ მოკუდავთათვის, უკვდავნიცა ზეცისა  
ძალნი განკვირვებით და შიშით უსმენენ ამას და  
ვის ძალ უმს ამისი გამომიება, თუ ამას უფალი

რასათვის ბრძანებს? არამედ მადლითა ყოვლად  
წმიდისა სულისათა განძლიერებულნი და წინა  
ძღვითავე მისითა რაოდენ ძალ გვედვას, შეუდგეთ  
და გამოვიძიოთ, თუ რასათვის ბრძანებს ამას  
უფალი.

მსმენელნო ჩემნო, მე ვხედავ, დღეს ქადაგების  
დასაბამს რომ დიდ ხანს მოუნდება ლაპარაკი და  
ვსწუხვარ, თუ მოგეწყიოსთ, მაგრამ დაუთმეთ დღეს  
თქვენს შეწუხებულს იესოს; იხილეთ თქვენი<sup>1</sup>  
გუშინდელი ტკბილი მაინძელი ქრისტე, რომელმან  
ცხოვრებისა ტაბლა დაგიგოთ, თუ როგორ  
მწუხარებით უბნობს: „შეწუხებულარს სული ჩემი  
ვიდრე სიკვდილადმდე“.

ღმერთ კაცო იესო ჩემო, სამართლად უბნობ ამას  
ამისთვის, რომ მრავალნი სხვადა სხვანი არიან  
ვნებანი შენნი, მწარე და მოუთმენელ არიან  
მწუხარებანი შენნი. მე ვეძიებ, მაგრამ ჯერეთ არავის  
ბუნებასა კაცისასა არ უტვირთავს ესრეთი ვნება,  
ვითარცა შენ და რაოდენსაც ვეძიებ მსგავსსა ამისსა,  
ესოდენ დიდად აღმოჩნდება ვნებანი და შეწუხებანი  
იესოს ჩემისანი.

თუმცა დიდი იყო შური კაინის აბელისადმი და  
უბრალოდ სიკუდილი მისი, მაგრამ არ შეესწორების  
უბრალოდ სიკვდ/ზრილსა იესოსა. თუმცა დიდი იყო  
ისაკის მოთმინება, როდესაც მამამან მისმან აბრაჰამ  
მიიყვანა იგი დაკლვად, მაგრამ ფრიად უდიდესი  
არს მოთმინება იესოსი, რომელიცა ზეციერისა  
მამისაგან თვისისა მსხვერპლად სიძულილისა  
მიეცა უსჯულოთა ურიათა დასაკლავად; თუმცა  
დიდი იყო უსამართლოდ განსყიდვა იოსებისი  
ძმათაგან მისთა, მაგრამ უდიდესი არს განსყიდვა  
იესოსი მოწაფეთა და მოციქულთა მისთაგან; თუმცა  
დიდი იყო შეურაცხება დავითისი, რომელიცა ძემან  
მისმან აბესალომ და ყრმათა მისთა ქვისა  
დაკრებითა და უპატიურის გინებითა განაგდეს  
სამეფოთ თვისით, რომელიცა ფერხ შიშველი  
ივლტოდა მთასა ზედა ელეონისასა, მაგრამ არ  
შეესწორების იესოს შეურაცხებასა, მოციქულთა  
დატევებულსა, რომელისაცა ვეიცხოდენ, პირსა  
ნერწყვიდენ, ეცინოდენ, სახიერსა ბეჭა მისსა  
სცემდენ, ეკლისა გვირგვინი დახურეს და უწოდდენ  
მეუფედ ურიათად.

ეგრეთვე არა არის მცირე ტანჯვანი და

მოთმინებანი ქრისტეს შედგომილთა მოწაფეთანი,  
მაგრამ ისინი მხოლოდ ჭორცითა იტანჯებოდენ,  
ხოლო სულითა იხარებდენ, გარნა იესო ჭორცითა  
იტანჯების და სულითა მწუხარეობს, ვინათგან  
ხედავს კაცსა დამბადებელისა თვისისადმი, თუ  
ვითარ უსჯულოდ იქცევიან და ვითარ უბრალოდ  
სტანჯვენ და შეუწყალობენ ყოფენ მას.

საყვარელნო ქრისტეანენო, მე დღეს ამისთვის  
არ მოვსრულვარ, თუ თქუცნ ქრისტეს ვნება  
გიქადაგოთ და იმითი თქუცნ განგალვიმოთ  
სიწყალულად და იმისთვის იტიროთ თქუცნ. არა,  
ამისთვის თქუცნ ნუ იტირებთ, თვით ქრისტე  
გიბრძანებსთ: „ასულნო იეროსალიმისანო, ნუ სტირთ  
ჩემ ზედა, არამედ სტიროდეთ თავთა თვისთათვის“.  
ეგრეთვე მე გეუბნები, ცოდვილნო, რომელსა ჯერეთ  
არ შეგინანებიათ, ნუ სტირით ქრისტესთვის, არამედ  
სტიროდეთ ცოდვათა თქუცნთათვის და სტიროდეთ  
თქუცნის სიბოროტისათვის და ცოდვათა  
მოტევებისათვის, თორემ მე არა მწადნელი ვარ, თუ  
ვნებათა თვის ქრისტესთა სტირო/36vდეთ და მე  
ამისთვის აღვედ ამა საღმრთოსა ამბიონსა ზედა,  
რომ ჩემგან ისმინოთ ესე, თუ ქრისტეს ვნებათა  
შორის რომელი იყო უდიდესი ვნება, რომელსაცა  
უბნობს თვით: „შეწუხებულარს სული ჩემი ვიდრე  
სიკვდილამდე“.

ოდესცა ძე კაცისა გარდამოხდა, როგორც რომ  
სამოსელი, ესრეთ ორის კაცის ბუნებით შეიმოსა,  
ერთი კაცის ჭორცითა, რომელიცა მიიღო გვამსა  
თვისსა ზედა, რომლისათვის იტყვის იოანე ღმრთის  
მეტყველი: „და სიტყვა იგი ჭორციელ იქმნა“ და  
მეორე ცოდვითა კაცისათა, რომელიცა ჩვენის  
ჟინისათვის იტვირთა, რომლისათვის იტყვის პავლე:  
„რამეთუ რომელმან იგი არა იცოდა ცოდვა, ჩვენთვის  
ჰქმნა“, და კვალად ქრისტემან ჩვენ მოგვიყიდა  
წყევისა მისგან სჯულისა, და იქმნა ჩვენთვის  
წყევასა ქვეშე. ჭორცით შემოსილი განეცხადა კაცთა,  
ვითარცა კაცი და ცოდვით შემოსილი ან დღეს  
ვნებად გამოცხადების, როგორც რომ კაცი,  
დატვირთული ყოვლისა სოფლისა ცოდვითა,  
რომლისათვის იტყვის იოანე ნათლის მცემელი:  
„აპა, კრავი ღმრთისა, რომელმან აღიხუნა ცოდვანი  
სოფლისანი“.

ესრეთ შემოსილი განვალს გეთსამანიის

მტილშიდ და სთხოვს მამასა დაუსაბამოსა თვისსა  
მწარისა სიკუდილისათვის: „მამაო, უკეთუ  
შესაძლებელარს, თანა წარმხედონ“, მაგრამ მამა არ  
უსმენს ამ თხოვას, რადგან მან პირველად  
სიკუდილისა მისისა განწესება დასწერა ცასა ზედა.  
არ უსმენს ამ ვედრებას, არცა რასმე ნუგეშს სცემს,  
არამედ დაუდუმებელი გამძლიერებელს ანგელოზს  
მოუვლენს. განძლიერდი, თორემ ჩვენგან ქმნილის  
კაცის ჭინისათვის უნდა მოკუდეო, ამის მეტს არის  
ნუგეშს მიუგებს დაუსაბამო მამა. შ, საკვირველება,  
ღმერთი და მამა არ ისმენს საყვარელისა მისისა  
თხოვასა, რომელიც რომ მან მტკიცედ დაუმტკიცა:  
„მე მარადის ვისმენ შენსა“. ღმერთმან, რომელმან  
შეიწყალა მე ერთი კაცისა ისაკ და არა მიუშვა და  
კუალად მამა, ეს ღმერთი და მამა ესრეთი მოწყალე,  
თავის ძეს სიკუდილად არღა იწყალებს და არცა  
რასმეს ნუგეშისა სიტყვასა სცემს, არღა ეუბნება  
საყვარელსა და სანეტარო/37rსა მას ჭმასა, რომელიცა  
თაბორსა ზედა და იორდანესა შინა გარდამოსცა:  
„ესე არს მე ჩემი საყვარელი“. არამედ უმეტეს სწადია  
სიკუდილი საყვარელისა მისა თვისისა, რათა ჩვენ,  
კაცნი, ჭინილი ვიქმენთ ცოდვათაგან და  
მიმსჭვალოს ჯვარსა ზედა ძველი იგი ცოდვა და  
ვიქნეთ ჩვენ ჭინილნი სისხლითა მისა მისისათა, შ,  
დიდსა ამას მოწყალებასა, რომლისათვის იტყვის  
მოციქული: „რომელმანცა ძესა თვისსა არა რიდა,  
არამედ მისცა იგი ჩვენი ყოველთათვის“.

ესრეთ იესო ჩემი დატევებული საღმრთოსა  
მამისაგან, დატევებული საყვარელთა მოწაფეთაგან,  
რომელნიცა რომელნიმე ივლტოდენ და რომელთამე  
მიემინათ და მარტო იესო მწუხარებდა და იურვოდა  
სულითა და მწუხარებისაგან სისხლის ოფლი  
მოსდიოდეს, მაგრამ ოფლი ესე სისხლისა იესოსი  
არს განმკურნებელი ადამის მწუხარებისა და ევას  
კუნესისა და დამკსნელი წყევისა წინაპართა ჩვენთა,  
მაგრამ მე ამისთვის ვსწუხვარ, რომ ვერ გულის  
ჭმა ვყოფ, თუ რასთვის ესრეთს დიადსა შეწუხებასა  
შინა არს იესო ჩემი, რომელიცა ჭმასა მას კვალად  
განამრავლებს: „შეწუხებულარს სული ჩემი“.

თუმცა ჯვარსა ზედა ვნებისათვის სწუხს,  
პირველად მანვე ბრძანა: „ვნება და ჯვარი დიდება  
არს ჩემდა“, და კვალად: „აწ იდიდა მე კაცისაო“ და  
ეგრეთვე მოწაფეთა ეტყვის: „აღდეგით, წარვედითო“.

იხილე, დიდებად შეურაცხია ვნება და ჯვარი და  
თვით ვნებითა მისითა მივალს ვნებად, და რასათვის  
მწუხარეობს ესრეთ, რომელ ოფლისა სისხლი დიან  
და იურვის და იტყვის: „შეწუხებულარს სული ჩემი  
ვიდრე სიკუდილადმდე“. გარნა ყოველი მწუხარება  
და ტანჯვა მისი დავიწყებიეს და მწუხარება და  
ოფლი და ურვა მისი არს იუდას გამცემლობა.  
მწუხარეობს ამისთვის, თუ იუდამ ვერ იცნა იგი  
ძედ ღმრთისად.

შ, იუდავ, დაბნელებულო, თუმცა ძედ ღმრთისად  
ვერ იცან, ესენი ხომ მაინც იხილე, რომელი  
მკუდართა აღადგინებდა, უდაბნოსა ხუთითა პურითა  
ხუთი ათასნი განაძღნა, ქართა ბრძანებით  
დააყუდებდა, წყალსა ზედა ფერხითა მავალობდა,  
ესენი ხო/37vმ მაინც იხილე, და თუ ძედ ღმრთისად  
ბაგა კლდისა უმაგრესითა გულითა ვერ იცან, ეს  
მაინც მითხარ, ესე ვითარს სასწაულთმოქმედს კაცს  
როგორ ყიდი? ოცდაათი ვეცხლი მოსემ ძველსა  
სჯულსა შინა მონისა ფასად დასდვა, და შენ იესოს  
მონისა ფასად ყიდი? ვაი, უსირცხვილოსა მაგას  
პირსა შენსა და ყოვლითურთ დაბნელებულსა!  
მოციქული მოძღვარსა ყიდი და ქრისტესა, ვაი, ვითარ  
დაბნელდი, უბადრუკო! წყეულარს ვეცხლის  
მოყვარება, რომელი არს პირველი მიზეზი  
წარწყმედისა ჩვენისა, რომელსა ზედა განვიყიდით  
სარწმუნოებასა ჩვენსა და სიყვარულსა  
ვეცხლისათვის სულსა ჩვენსა წარვავლინებთ  
ჯოჯოხეთად.

უბადრუკო იუდავ, რა უყავ ვეცხლი იგი ფასი  
იესოსი? რაი იყიდე მით, ანუ რაი სარგებელ გეყო,  
ანუ ვითარ განმდიდრდი ვეცხლითა მით? იყიდე  
მით რამე? მე ვგონებ, არა რაი, მხოლოდ შენ იყიდე  
მითა მოსაშთობელი ბაწარი, მოიშთვე თავი შენი  
და წარემგზავრე ჯოჯოხეთად, რომლისათვის  
იტყვაიან მახარებელნი: „განეშორა და წარვიდა და  
შიშთვილიბა“. ვეცხლი იგი დაიბნია ტამარსა შინა,  
მაგრამ სირცხვილი არს შენდა, რომელ არავინ  
მიიღო ვეცხლი იგი და რქვეს: „არა ჯერ არს  
დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისა  
არს“.

ოდეს წარვიდა იუდა განცემად მოძღვრისა და  
უფლისა თვისისა, წარიყვანა მისთანა მჯედრები  
მახვილითა და ნათებითა შეპყრობად იესოსა და

რა მოვიდა, ამბორს უყო იუდამ ამბორის ყოფითა  
სიცრუისათა, მაგრამ უბოროტო იესო ჩემი მაცთურსა  
ამბორის ყოფისა მისსა არა შეურაცხყოფს, და რქვა:  
„მოყვასო, ჰქმენ რამცა გნებავს“.

ყოვლად განწირულო იუდავ, არცაღა ამის  
გრცხვენიანა? ჰყიდი, განსცემ, სიკუდილს უმზადებ  
და მეგობრად და მოყვასად გიწოდს. ვაი, სირცხვილი  
პირსა შენსა! ბოროტო იუდავ, შენ ვერ შეკრავ  
ძლიერებასა მისსა და ვერცა შეიპყრობ მას, შენ  
თვით ნახე გუშინ მიუწვდომელი ძალი ძლიერებისა  
მისისა. ერთისა კმის დაძახებითა ოთხისა დღისა  
მკუდარი დაყროლებული ლაზარე ჯოჯოხეთის  
პირისაგან გამოიყვანა და აღადგინა, და ეგრეთვე  
ერთის კმის ბრძანებითა უბრძანოს ქუცყანასა  
დანთქმა შენი /38r და შენთანა მყოფთა მჯედრობათა  
უფსკრულამდე, მაგრამ ყოვლად უგუნწური ვინ  
მისწვდება სიმდაბლესა მისსა. მიხედე სიმდაბლესა  
მისსა – ვნებითა თვისითა გაძლევს თავს და გეტყვის:  
„მოყვასო, რამცა გნებავს, ჰყავ“.

მაშინ შეიპყრეს იესო მჯედართა, შეუკრნეს კელნი  
ზურგით კერძო და წარიყვანეს და მიიყვანეს ანნა  
მღვდელ მთავრისა სახლსა შინა, და იქიდამ  
წარიყვანეს და მიიყვანეს სახლსა კაიაფასა, სადა  
შეკრებულ იყვნენ მწიგნობარნი, ფარისეველნი,  
მოხუცებულნი და ყოველნი მსაჯულნი და  
ვიდრემდის განიკითხვიდენ, ანუ გაიგონებდენ  
ბრჭობასა მისსა და სიმართლესა, ანუ განჩინებასა,  
მყის დანახვასა თანა იესოსა ყოველთა სთქვეს:  
„თანამდებ არს სიკუდილისა“.

აქა გევედრებით თქვენ, მსმენელნო, გასინჯოთ,  
თუ როგორ თვალთღებით სჯიან სამართალსა  
უსამართლონი მსაჯულნი, სადამდის განიკითხვიდენ,  
სადამდის შემასმენელს წარმოადგენენ, სადამდის  
ბრალსა და უბრალოებასა მისსა შეიტყობენ,  
მანამდის იძანიან: „თანამდებ არს სიკუდილისა“.  
აქა ცხადად სჩანს შური სიხენეშისა და სისხლის  
მსმელობა უბადრუკთა მსაჯულთა და  
მოხუცებულთა, მაგრამ ნუ გიკვირთ ეს, წინათვე  
სთქვა ქრისტემან მათთვის: „ბრმანი არიან და  
წინამძღვარნი ბრმათანი“. და არ შეეძლოთ ცოდვით  
აღვსილთა თვალითა ხილვა ქრისტეს ცხოვრებისა,  
არცა სმენა სწავლისა მისისა, რომელი იყო ნათელ  
ზეციერ, თქმისაებრ იოანესა: „რომელი განანათლებს

ყოველსა კაცსა მომავალი სოფლად“.

უყვარდა იქო ტკბილი ყოველსა საზოგადოსა ხალხსა ჰურიათასა, ვინადგან ჭედვიდენ დიდსა სასწაულებსა მისგან და არა სწადოდათ მოკულა მისი, მაგრამ ფარისეველნი იტყოდენ: „ბოროტარს ქრისტე და მაცთურიო“, და რადგანაც ფასეულნი ესრეთ აჩვენებდენ თავთა თვისთა მაჩვენებლობითა, რომელ ჰურიათა მიაჩნდათ ისინი წმიდა კაცად და მართალ მსაჯულად, იმით მოცთუნებულნი, ისინიცა იტყოდენ: „თანამდებ არს სიკუდილისა“, მაგრამ დაბრმობილთა ვერ იხილეს ესე, რომელ ფარისეველნი არიან, მგელნი მოსილნი ტყავითა ცხოვართათა, რომელნი შესჭამ/38vენ სახლებთა ქვრივთასა. ფარისეველნი არიან მოსილნი მაზარითა და წმიდათა კაცთა სამოსლითა, მაგრამ ვერ გულის წმა ყვეს ისე უცულის წმოთა, რომელ „გარეთ სჩანან შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიან ნატაცებითა და არა წმიდებითა“.

ფარისეველნო და მოძღვარნო და კრებულნო ისმაილთანო, როგორ სხვებ და სხვებ გარდააქცევთ თავთა თქუცნთა, უწინარეს ამისა, ესრეთ გიყვარდათ იქო, რომელ მეფედ თქუცნ ზედა გწადოდათ, რომლისათვის იტყვის იოანე ღმრთის მეტყველი: „ხოლო იქო გულის წმა ყო, რათა მოვიდენ წარტაცებად, რათამცა ყვეს იგი მეფედ, გარნა იგი განეშორა და წარვიდა და დღეს ესრეთ სძულობთ, რომელ ერთ წმობით ღაღადებთ: „თანამდებ არს სიკუდილისა“; მაგრამ მაშინ, როდესაც მან ხუთის პურითა ხუთი ათასნი კაცნი განაძღო და თქვენ ღმერთ მუცელნი იყვნით საჭმლის სიყვარულისათვის, ესრეთ გიყვარდათ, მეფედ თქვენ ზედა გწადოდათ და დღეს რომ იქო ჩემი წელ შეკრული მდგომარეობს და არა რაი აქვს მოქრთამეთა და ვეცხლის მოყვარულთა მსაჯულთა მისაცემი, არცა ერთათვის საჭმელი, ამისთვის ღაღადებთ: „თანამდებ არს სიკუდილისა“.

ვაი უსვინდისოსა ამის განსჯასა და უსირცხვილოსა თან შეთქმულებისა! ჰურიანო და ფარისეველნო, წინათვე სთქვა თქვენთვის ისაიამ: „და უსლბენ გულნი მათნი, რათა არა გულის წმა ყონ და დაუბრმენ თვალნი მათნი, რათა არა იხილონ“. უმადლონი მსაჯულნი ჰურიათანი ეძიებდენ შესასმენელსა იქოსა და ამალებდენ

ქრთამსაცა, მაგრამ ვინ იპოვება შემასმენელი იესოს  
მართლისა, ვითარმედ მან ცოდვა არა რაი ქმნა,  
არცა იპოვა ზაკვა ბაგეთა მისთა, გარნა უკანასკნელ  
მოიპოვეს ორნი ცრუ მოწამენი მსგავსნი მოძღვრისა  
მათისა, და იტყვოდენ: „იუსუმ სთქვა: „ძალ მიცს მე  
დარღვევად ტაძარი ესე და მესამესა დღესა  
აღშენებად“.

უსჯულონო მსაჯულნო, მე გეტყვი თქვენ, ესენი  
ცრუვსა არა სწამებენ. იესო ჩემმან სწორეთ ესრეთ  
სთქვა, მაგრამ არა ესრეთ, ვითარ თქვენ იტყვით. უ/39r  
გუნურო, მან ესრეთ სთქვა: „უკეთუ მოკლავთ  
კორცსა ჩემსა, მე კვალად მესამესა დღესა აღვადგენ  
მასო“, და ჭეშმარიტად ესრეთცა იქმნა, და თქვენ  
ამისთვის ხართ, ცრუ მოწამენო, რომელ არა სჯით  
ესრეთ და თქვენ გგონიათ ტაძრისათვის  
სოლომონისა, და ამით ხართ თქვენ ცრუ მოწამე,  
მაგრამე დავითისებრ: „და სიცრუე მისი თხემსა  
მისსა ზედა დაუხდეს“. ესოდენსა საუბარსა ზედა  
ნებევდა იესოს ერთისა მცირისა პასუხისა მიგება  
ანნა მღვდელ მთავრისადმი, მაშინ ერთმან  
მსახურმან მღვდელ მთავრისამან სცა ყურიმალსა  
იესოს.

შ, საკვირველი, სადა ხართ თქვენ, უძლეველნო  
ძალნო ზეცისანო სერაბინ-ქერაბინნო, რომელ არა  
დასწვით მასვე ჟამსა შინა ყოველნი ესე ვითარნი  
ბოროტნი მსაჯულნი და მსახურნი მათნი.

შ, ქუეყანაო, რასთვის ჰყოვნი, რად არა განაღებ  
პირსა შენსა შთანთქმად უსჯულოსა მის, რომელმან  
იკადრა ესე ვითარი დამბადებელისა შენისა? მაგრამ  
იესო არათუ აყვედრის მას, არამედ მიუგებს  
შესაწყალებელსა სიტყვასა: „უკეთუ ბოროტსა  
ვიტყოდე, რასათვის მცემ მე?“

ახ, იესო, დიდება ყოვლად მიუწდომელსა  
სულგრძელებასა შენსა! ოდეს წარადგინეს იესო  
სამსჯავროსა პილატესა, შემდგომად გამოყვანისა,  
უსჯულონი ნერწყვიდენ პირსა მისსა, რომლისა  
პირისა ბრძანებითა შეიქმნა ცა და ქვეყანა და  
ყოველნი მას შინა ქმნულნი, შოლტითა სცეს ბეჭა  
მისსა, რომლისა ბეჭმან იტვირთა ცოდვანი ყოვლისა  
სოფლისანი, მრავალი სისხლი ადინეს, რომელ  
სრულიად ტანი მისი შესვარა სისხლმან, რომლისა  
სისხლითა მიეცემის ადამს წყევისა დახსნა, მაგრამ  
ამათ ყოველთა დიდთა ტანჯვათა და წყლულებათა

ითმენდა იესო და მდუმარებდა.

იესო ჩემო, მიკვირს, თუ რად უთმენ ესეოდენსა  
ერსა უმადლოსა? ბრძანე, რათა განიბნივნენ  
„ვითარცა მტვერი, რომელ აღგავს ქარმან პირისაგან  
ქუმანისა“ და ამით მხიარულჲყო შეწუხებული  
სული ჩემი, გარნა ვინ მისწვდება სახარებასა შენსა,  
თუ რასათვის ითმენ და მდუმარეობ? დიდება  
სულგრძელებასა შენსა!

მაშინ პილატემ მიუგო ჰურიათა „თქუმწნ სჯული  
გაქვსთ და სჯულ/39vისა თქვენისაებრ განიკითხეთო“.  
მოიყვანეს იესო ორთა მღვდელ მთავართა ანნა  
და კაიაფასა წინაშე განსაკითხველად და ორნი  
ესე მსაჯულნი, კაიაფა კითხავს იესოს ფიცითა:  
„გაფუცებ შენ ღმერთსა ცხოველსა, უკეთუ ძე ხარ  
ღმრთისა, მითხარ ჩვენ“; და რადგანცა აფიცებს და  
ჰკითხავს, სამართალ არს, უნდა მიუგოს ნაცვალი  
და თუ რაიმე სთქვა იესომ, მაშინ ანნა იტყვის  
ცემასა მისსა და რა უნდა ქმნას იესომ? ერთი  
კითხავს მსაჯული კაიაფა ფიცით და თუ არა მიუგო,  
თანამდებად ბრალისა შერაცხა, და თუ მიუგო რაიმე  
და, მაშინ მეორე მსაჯული ანნა ბრძანებს ცემასა  
მისსა, და რად ყოს მართალმან მან იესომ ამა  
ვითართა უსამართლოთა მსაჯულთა შორის? და  
ვინათგან იგი საღმრთოთა თვალითა წედავს თვისთა  
ქმნულთა კაცისაგან ეს ვითარსა უსამართლოებასა  
და დაბრმობასა შურითა, თვისსა დამბადებელსა  
ზედა ამისთვისცა უბნობს: „შეწუხებულარს სული  
ჩემი ვიდრე სიკუდილამდე“.

კაიაფა, რასა კითხავ იესოს, რასა აფიცებ: „უკეთუ  
ძე ხარ ღმრთისა მითხარი?“ რადგან გწადს შეტყობა  
მაგისი, თუ ვინ არს ეგე, მე გეტყვი. აქ ეზოსა შინა  
შენსა არს ერთი მოწაფე მისი. მიუწოდე მას და  
ჰკითხე და იგი გეტყვის, თუ ვინ არს ეგე.

სადა ხარ შენ, პეტრე, მოდი და უთხარ კაიაფასა,  
თუ ვინ არს იესო! პეტრე, მითხარ, რამ შეგაშინა  
შენ, ესრეთ არა აღუთქვი საყვარელსა შენსა  
მოძღვარსა იესოს, სული ჩემი შენთვის დავსდვაო  
და შენ ესრეთ შეშინებულხარ: „არა ვიცი კაცი  
იგიო“, რად არს პეტრე ეს შენგან თქმა? როგორ არ  
იცი – იგი არს, რომელსა მთასა ზედა თაბორსა  
განბრწყინვებულად ხედევდი. იგი არს, რომელმან  
სასუფევლის კლიტენი გარწმუნა და კლდედ  
ეკლესიისად გაჩინა; რომელმან ფერხი დაგბანა

და საღმრთოსა წორცისა და სისხლისა ზიარ გყო  
შენ; იგი არს, რომელი შენ ქადაგე: „ჭეშმარიტად,  
შენ ხარ ძე ღმრთისა ცხოველისა“ და როგორ არ  
იცი, ვინ არს კაცი იგი? რასა უბნობნ პეტრე, გუშინ  
სიკუდილი აღუთქვი თავისა შენისა და დღეს უარ  
ყოფ.

ვაი, ცრუთა აღთქმათა! ვაი, დაუნდობელ/40rთა  
გულთა კაცთას! შ, მწუხარებათა იესოს გულისათა!  
ოდეს ესმა თვისთა საყვარელთა მოწაფეთა და  
მეგობართა პეტრესგან უარის ყოფით დატევება  
თვისი, მაშინ უმეტეს განამრავლა თქმად:  
„შეწუხებულარს სული ჩემი ვიდრე  
სიკუდილადმდე“.

იესო ჩემო, რა არს ესე, აწ რომ ვხედავ, ვაი ჩემდა,  
თით ითქმის და მართალს უბნობს პეტრე, რომ ვერ  
გიცნა ურიათა სიბრგილემან, შურმან და  
სიძულვილმან. ესრეთ განსისხლიანებულ გყო,  
რომელ ცნობა შენი არ შესაძლებელ არს. ვითარ  
მოაკლდა პირსა და წორცსა ფერი ესე, რომელიცა  
სიტკბოება და სიხარული არს ანგელოსთა.

რაა არს, მეუფეო, ყოვლად განსისხლიანებული  
წორცი შენი დახეული, რომლითა მოსწვეთავნ  
სისხლი შესაბრალისი? რაა არს გვირგვინი ეკლისა,  
რომელი თავსა გიმზერს, ქლამინდი საკიცხელი და  
სხვა და სხვა საკვირველნი ტანჯვანი, ვის უვნიეს  
ესრეთ და ვინ განკიცხულარს ესრეთ, ვითარცა შენ,  
უწმიდესო იესო? გავს, ამან გაიძულა შენ თქმად:  
„შეწუხებულარს სული ჩემი ვიდრე სიკუდილამდე“.  
ესე ყოველი ახლანდელი ტანჯვანი შეგამთხვია  
შენ უსვინდისომან განსჯამან პილატესმან და  
შოლტმან მისმან.

აწ მივედ პეტრე და იხილე მახლობელად და  
იცნობ, თუ ვინ არს კაცი იგი. პეტრე, უკვე  
შენანებული და შეკდემილი, ვერდა აღიხილავს  
თვალსა თვისსა შესახედავათ იესოსა, „განვიდა გარე  
და სტიროდა მწარედ“.

სადა ხარ შენ, მარიამ, მწუხარეო დედაო იესოს  
ჩემისაო, ხედავაა ძესა შენსა? მე არ მგონია, ხედევდე,  
თორემ როგორ შეიძლება სული შენი გვამსავე  
შინა შენსა იყოს, თუმცა იხილო, ვერდა იცნო, არღარა  
არს ესრეთ მშვენიერ, ვითარ შენ აღზარდე იგი, იგი  
არს დღეს სრულიად განსისხლიანებული. არღარა  
აქვს მას მშვენიერი ფერი პირისა მისისა. ახ, რაოდენ

უსანატრელეს იყო დღე იგი შენთვის, ოდეს მკლავსა  
შენსა ზედა გეტვირთა იგი; რაოდენ უსანატრელეს  
იყო გიხაროდენი იგი გაბრიილისი, რომელი  
მოგართვა შენ: „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ,  
უფალი შენთანა“ და დღეს ესრეთ გესმიან  
გიხაროდენი, რომელიცა გულსა შენსა განგმირეს,  
რომელიცა უმადლონი, / 40v რომელი ძესა შენსა  
და მეუფესა კიცხევით ეტყვიან: „გიხაროდენ, მეუფეო  
ჰურიათაო“. ნეტამც თუ შეიძლება მიწდომად,  
რაოდენი მახვილი ორ პირი სჭრიან გულსა შენსა,  
ანუ ვითარი სახმილი ცეცხლისა სწვავს ყოვლად  
წმიდასა ნაწლევსა შენსა. მე აქამომდე ვიპყარ  
ცრემლი, გარნა რა შენ გესაუბრები, არათუ ცრემლვ,  
ნეტამც შესაძლებელ იყოს, სრულიად სისხლსაცა  
ჩემსა უკანასკნელ წუთამდეცა დავაქცევდე. მარიამ,  
უბიწოო და მშობელო, მე ვეღარ დავსთმობ  
საუბარსა შენსა, წარვალ აწ საუკუნოდა მამისა და  
ღმრთისაგან მივიღებ ამას ზედა ნუგეშინისცემასა.

გარდამოიხილე ზეცით, მამაო საუკუნეო, და  
იხილე მე შენი საყვარელი, რომლისათვის თვით  
შენ სწამე: „ესე არს მე ჩემი საყვარელიო“, თუ  
ვითარსა ტანჯვასა და შეურაცხებასა შინა არს  
უმადლოთა ერთაგან; გარნა საკვირველი რომელ  
ჟამსა ამას მამამანცა ზეციერმან ნეტართა თვალთა  
ზედა დაიფარნა ფრთენი სერაბინთანი, რათა არა  
იხილოს ვნება ძისა თვისისა, რომელი მსხვერპლად  
განსცა მან იგი.

სადა ხარ თქვენ, მოციქულნო და მოწაფენო  
ქრისტესნო, სად განიბნივნენით ესრეთ, რომელ  
ამოდენი ხანი არის, გეძიებ თქვენ სახარებისა  
სანთლითა და ერთიცა ვერ გიპოვეთ? პეტრე  
მხოლოდ ვიპოვე, მაგრამ იგიცა უარის მყოფელად.  
განცვიფრდი, მზეო, სულთ ითქმოდე, ცაო, რომელ  
ერთიცა არავინ აღმოჩნდა არცა ცასა ზედა და  
არცა ქუეყანასა ზედა, რომელ მცირე რამე  
შესაწევნელი სიტყვა ეთქვა იესოსი.

ესე ვითარის უმაგალითო ტანჯვისათვის და  
მცირე რაიმე შეესუბუქებინა მოუთმენელი ტანჯვა  
მისი და აქ თქვენ გასინჯეთ, მსმენელნო, წინათვე  
ვსთქვი: მამამან ზეციერმან, რომელმან უწინარეს  
მთიებისა წიაღთა თვისთაგან შუა იგი, მან დაუტევა  
უნუგეშოდ, მეგობართა უარ ყვეს იგი, მოციქულნი  
ყოველნი ივლტოდეს, უბიწოდ მშობელი მარიამ

დედა თვის ეგულების მოუთმენელსა მწუხარებასა  
შინა, და ეგრეთვე მოხუცებულნი მღვდელ მთავარნი  
და ყოველნი კრებულნი ისრაილთანი იძახიან:

„ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე“ და ესე ვითარისა  
საქმისა მხილველი როგორ არ იტყვის იე/41სო ჩემი:  
„შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილამდე“.

მოიყვანა იესო პილატემან თვისთა თანა და  
განიკითხა იგი, ვინათგან მის ჟამისა მთავარი იყო  
ყოვლისა ჰურიასტანისა და სთქვა: „მე ამისთანა  
ბრალსა არარასა ვპოებ“. რასა პოებდა იესოს თანა  
ბრალსა?! ვინ იპოებს მზესა შინა მწიკულსა, ეგრეთვე  
იესოსთანა ბრალსა? და რადგანაც სცნა ჭეშმარი-  
ტი, რომელ იესოს თანა ბრალსა ვერასა პოებს და  
ცხადად დაინახა, რომ ჰურიათა შურითა და ტყუ-  
ვილითა უწდათ მოპკლვა მისი, ამისთვის იწადა  
პილატე, რომლითამე ღონისძიებითა განათავისუფ-  
ლოს იესო.

მას ჟამსა ჩუეულებად ჰქონდათ ჰურიათა, რომელ  
დღესასწაულსა მას პასექისასა დღესასწაულობის  
პატივისათვის მთავარი მიუტევებდა ერსა ერთსა  
პყრობილსა სიკუდილისა თანამდებსა. ჰყვანდა  
პილატეს ავაზაკი, კაცის მკულელი და მტაცებელი,  
სახელით ბარაბა ჰურია შეპყრობილი და განიზრახა  
ბარაბა დასაჯოს, ხოლო მართალი იესო ერსა  
ურიათასა მიმადლოს და განუტევოს. მაშინ პილატე  
უბრძანა ჰურიათა: „რომელი გინდათ მოგმადლოთ  
თქვენ, ბარაბა ანუ იესო“? ჰურიათა ვმა ყვეს: „ბარაბა  
მოგვიტევე, ხოლო იესო ჯვარს ეცვინ“, რქვა პილატე:  
„და რა ბრალი უქმნიეს მას, დავიბანე უბრალოებით  
ხელნი ჩემნი, უბრალომცა ვარ სისხლისაგან  
მაგისისა“. თქვენ იხილეთ: ჰურიათა რქვეს: „სისხლი  
მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა“. მაშინ  
მისცა პილატე, რათა ჯვარს აცვან იესო.

პილატე, ისმინე ჩემი, მე ვხედავ შენ შორის ან  
შზაკვარებასა, ანუ შენის მთავრობის სისუსტესა!  
რათ ჰკითხავ შენ ურიათა? ხომ ცხადათ დაინახე,  
რომ იესოს თანა ბრალი არ არის, და სწადსთ  
შურითა იესოსი მოკლვა. ეს ხომ თვით შენ სთქვი  
და რასათვის კითხავ? მთავარი ხარ, კელმწიფება  
გაქვს, ბრალეული დასაჯე, ხოლო მართალი და  
უბრალო განუტევე. ახლა მაინც ხომ ცხადათ დაინა-  
ხე კენეში შუ/41vრი ურიათა, კაცის მკვლელი, ავაზა-  
კი, მტაცებელი, რომელიცა ყოველსა ურიასტანსა

აწუხებდა, იგი გამოითხოვეს, განამართლეს და განუტევეს, ხოლო რომელიცა თვით შენ სწამე – მართალს იესოს ჯვარსა ზედა სჯიან და ესრეთ დანახულს შურს შენ რათ თანა ხმა ექმენ. რომელსა მაღვედვა მართლისა განთავისუფლება?

პილატე, ვერ იმართლებ თავსა, შენცა მათთანა გიძს ნაწილი, ვაი, სუსტსა მთავრობასა შენსა, ვაი, უსვინდისოსა მსაჯულებასა შენსა, ვაი, განუსჯელსა თან კმობასა შენსა ურიათადმი!

პილატე, მსმენელი ამისი, ზურგ უკუნ ქცეული მიდის ჩემგან. მოიცადე, პილატე, გაფუცებ ღმერთსა, მოიცადე! მაგრამ ვეღარ უკუ მოიხედავს სირცხვილით. წადი, პილატე, წადი, სირცხვილი პირსა შენსა, მიემატე მოძღვარსა შენსა, იუდას უსამართლო მსაჯულო და მთავარო! მაშინ მისცა მათ იგი, რათა ჯვარს აცვან.

აწ დაიწყება ჯვარცმა იესოსი ქრისტეს ჩემისა, ხოლო დასასრული საშინელ და შესაძრწუნებელ და საგლოველ. ენა ჩემი ვერ იკადრებს, თუ განვამარტო იგი. აქ უფრო სახმარი არის აწ ცრემლი სიტყვისაგან, ან ჯეროვანი არს, ვისაცა გაქვს ცრემლი საკმაოდ, სტიროდეთ ესრეთის შესაბრალებელის სახილველისა, რომელიცა ამის მსგავსი ჯერეთ მზესაცა არა უხილავს. მე ვიტყვი აქა, არა თუ ცრემლი, ჭეშმარიტად ღირს არიან, უკეთუ შესაძლებელ იყოს სისხლიცა დათხევად უკანასკნელის წუთამდე.

ოდეს მისცა პილატე იესო ჰურიათა, რათა ჯვარს აცვან, მაშინ შეიქმნა სიხარული და მხიარულება და დღესასწაულება მღვდელ მთავართა, მოხუცებულთა და ფარისეველთა. შეკრბენ ყოველნი კრებულნი და აღუტევეს ჯმა სიხარულისა. მოიღეს ძელი მძიმე ჯვარისა და დასდვეს მჯარსა და წინა წარიდგეს იგი და მოყავსთ. გოლგოთას მოიყვანეს რა, რომელიმე შესამოსელს აძრობს, რომელიმე აგინებს, რომელიმე ხელს უმსჭვალავს ჯვარსა ზედა, რომელიმე ფ/42rერქს და რა მიაკრეს, მაშინ აღმართეს ძელი იგი ჯვარისა და მას ზედა კედავნ იესო ჩემი შიშველი.

ვაი, ჩემდა ქრისტეანენო! ნუ ისმენ ამას მშრალითა თვალითა, არამედ ცრემლითა საკმაოთა აღივსენით. არა დაპიცხრა ბორგნეულება ურიათა ჯვარსა ზედა დამოკიდებულსაცა, ეცინიან და

ეტყვიან: „სხვანი აცხოვნა, თავი თვისი არ ძალ უძს  
ცხოვნებად, უკეთუ ძე ხარ ღმრთისა, გარდამოხედინ  
აწ მაგიერ ჯვარით“. არა დასცხრა, ვითარმედ  
სიძულვილი და ტანჯვა ურიათაგან იესოსი,  
უბიწოსა პირსა მისსა მიუპყრობენ ძმარსა და  
ნაღველსა მწყურვალესა, რომლისა პირისაგან  
შექმნა ცა და ქვეყანა და ყოველნივე ქმნულნი.

ჰურიანო, მან მწყურვალესა თქვენ გამოგადინათ  
კლდისაგან წყარო და ნაცულად ამისა თქვენ  
მწყურვალესა ძმარსა და ნავღელსა მიუპყრობთ?  
უმადლონო, სამართლად მოგეგების თქვენ ღირსი  
პატივი, მოიცადეთ მცირე!

მსმენელნო, რაოდენი ტკივილნი და რაოდენი  
წყლულება ჭორცმან ქრისტესმან ჯვარსა ზედა  
მოიღო, ანუ რაოდენი კიცხევანი და სიცილნი და  
უპატიურობანი სულმან ქრისტესმან მოითმინა, ამის  
წვლილად განმარტება ენასა კაცისასა არ ძალ  
უძს და უმჯობეს ვრაცხე, რათა დავდუმო.

ქრისტეანენო, იხილეთ სიმდაბლე ქრისტეს ჩვენისა,  
იხილე მოთმინება მისი. არა სთქვა, თუ ქვეყანასა  
დაეფარა შთანთქმით ურწმუნოებისა მოქმედნი  
ჰურიანი, არამედ მკვლელთათვის ილოცავს: „მიუტევი,  
მამაო, არ იციან, რასა იქმან“.

ჭ, სიმდაბლესა შენსა, ქრისტე, დიდება ყოვლად  
მიუწდომელსა შენსა სახიერებასა, ქება მოთმინებასა  
შენსა და კურთხევა ჩვენდამო აურაცხელსა  
მოწყალებასა შენსა.

საყვარელნო ქრისტეანენო, ესე მიტევება თვით  
თქვენგან ნახული ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა  
დაუვიწყარად აღწერეთ გულთა თქვენთა, თვით  
გიბრძანებს: „ესრეთ ყოფდით, ვითარცა იხილეთო“.  
„მაშინ მიიდრიკა თავი და განუტევა სული და ჭმა  
ყო: /42v „მამაო, კელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“,  
ამის თვის მიიდრიკა თავი, რომელ სიცოცხლესა  
მისა ვერ გაუტედა მისვლად სიკუდილმან და ჭმა  
ამისთვის ჰყო. მამასა ეუბნების: არა ნება ჩემი  
აღსრულებულარს, ესე არს ნება შენი აღვასრულეო,  
და ამ ჭმით ჯოჯოხეთსა შინა მყოფთა წინაპართა  
ჩვენთა ასმინა: „აპა, მოვედ გამომკვნელი თქვენი“  
და ოდეს განუტევა სული, ყოველმან ქმნულმან  
იგლოვეს, მზე დაბნელდა, ქვეყანა საფუძვლითურთ  
შეირყა, კლდენი განსქდენ და მკუდარნი აღდგენ,  
კრეტსაბმელი განიპო ზეიდამ ქვემდე და ესრეთ

იგლოვა ყოველმან ქმნულმან; ხოლო თქვენ ჯერ,  
კაცნო ჰურიანო, არცა ამას ზედა შეიკდიმეთ? არცა  
ამისაღა გრცხვენიათ? ყოველმან უსულომან ნივთმან  
შეიტყო ღმრთაება ქრისტესი და იგლოვებ ესრეთ  
და თქვენ რასა ყოფთ?

ვაი, უბადოუკნო, აწ თქვენცა სწუხართ, გარნა  
რასა იქმთ. ურწმუნონო, ჰერიტეტ ასის თავსა  
მკედრობისა თქვენისასა, თუ ვინ იყო კაცი იგი,  
ჭეშმარიტად აღიარა და სთქვა: „მე ღმრთისა იყო  
ესე“ და თვით ესე გყოფსთ თქვენ სირცხვილეულად.

ქრისტეანენო მსმენელნო ჩემნო, ესე არს ქრისტეს  
ღმრთისა ჩვენისა ვნება, ესე არს ჯვარცმა და ესე  
არს აურაცხელი მოწყალება მისი ჩვენდამო  
ჩვენებულნი, რომელიცა სიგლახაკემან ჩემმან დღეს  
ვიკადრე წარმოთქმად და სმენად თქვენდა.

აწ მოვიქცევი მე და მივალ მახლობლად წმიდისა  
ჯვრისა და მას ზედა დამოკიდებულსა იესოს ჩემსა  
ამა ცოდვით შებდალულითა პირითა ვესაუბრები:  
ჯვარცმულო იესო ჩემო, როდესაც მოვიგონებ მე  
საკვირველსა ვნებასა შენსა და ტკივილსა და  
განსაცვიფრებელსა მოთმინებასა შენსა, ერთის  
სახით ვსტირი მე სისხლიანის ცრემლითა და  
მეორის სახითა მხიარულება გარე მომიცავს მე.

ვადიდებ სიმდაბლესა შენსა, ქრისტე, აღვიარებ  
მეცა ავაზაკისა თანა: ჭეშმარიტად ძე ხარ ღმრთისა  
და თანა არსი მისი, გხედავ შენ ჯვარსა ზედა  
შემსჭვალულსა და ამით არა უარ გყოფ, და ვიტყ/43ვი,  
ჭეშმარიტად საქმენი ესე არიან მისა ღმრთისა და  
სარწმუნოება ესე ჩემი არს ყოვლად საღმრთო.

მოწყლული ხარ შენ, განსყიდულხარ,  
შეურაცხექმნილხარ, ღმერთო ჩემო, მაგრამ შენმა  
შეურაცხებამ მადიდა მე, სისხლმან შენმან  
მომივაჭრა მე, და შენმან წყლულებამ უკურნებელი  
წყლულება ჩემი განკურნა. გვირგვინი ვკლისა,  
რომელიცა გადგია შენ, იგი გვირგვინი არს ჩემი  
სამოთხესა შინა. ჯვარსა, რომელსაცა ზედა  
დამსჭვალულხარ, საყდარი არს სულის ჩემისა,  
მახვილი არს მტერთა საძლეველი და კიბე  
აღმომყვანებელი ჩემი სასუფეველად.

ჭეშმარიტად ესოდენ ვნებულხარ უსჯულოთა  
ჰურიათაგან, არცა სახე, არცა სიკეთე შენი არა  
გაქვს შენ, მაგრამ ამისთვის უმეტესად ღმრთად ჩემდა  
აღგიარებ შენ, იესო ჩემო, არღა ვსტირი მე, არამედ

სიხარულით თაყვანის ვსცემ ვნებათა შენთა, არა  
მრცხვენის მე, არამედ სიქადულით ამბორს უყოფ  
ჯვარსა შენსა და რა გხედავ შენ ჯვარსა ზედა  
დამსჭვალულსა, მე ესრეთ ვრაცხ, თუმცა გხედვიდე,  
ვითარცა საყდარსა ზედა დიდებისასა მჯდომარესა  
მეუფედ დიდებისა და ესრეთ აღგიარებ შენ, მეუფეო  
დიდებისაო და ძეო ღმრთისაო იესო ჩემო, და ვხმობ:  
მომისსენე, უფალო, ოდეს მოხვიდე დიდებითა შენითა,  
რომელსა გშვენის დიდება და პატივი უკუნითი  
უკუნისამდე. ამინ.

ღმერთო, აცხოვნე დამწერი უღირსი იოანე  
წელსა ჩყვთ თებერვალს თ.

ორი ქადაგებად ანტონის მიტროპოლიტის  
დადიანოვის მიერ თქმული:  
მიერთმევის მათს უგანათლებულესობას  
დადიანს მთავრის ძეს გრიგოლს:  
ღმერთმან მშვდობაში მოახმაროს:

მათის უგანათლებულესობის: უკანასვნელის  
საბრალობელის მონის ს. ტაბიძის მიერით:  
წელსა 1880. აპრილს 1. სანკტპეტერბურღით.

Напетербургской старане, позверинской  
улице № 19. Кварт. 3. Симон Егорович Табизе.

/ 2r ანტონის მიტროპოლიტის  
დადიანოვის  
მიერ თქმული ქადაგება  
საზოგადოდ.

[იტყვის] სანატრელი დიდი პავლე: „უკეთუ  
მოჰკვედით ქრისტესთანა, ნივთთა მათგან ამის  
სოფლისათა რასათვს, ვითარცა ცხოველნი  
ჰბრძნობთ სოფელსა შინა“? [ჩემის] უგუნურების  
აზრისაებრ, სიკვდილი ოთხი არის: ერთი სულისა  
და ხორცის ურთიერთ არს განთვისება და  
სიკვდილი ამის სოფლისა; მეორე უსაშინელესი  
სიკვდილი – საუკუნო წარწყმედა; მესამე

მონაზონებითი [სიკუდილი], რომელიცა სოფლისა  
ამის ნივთთაგან მკვდარნი არიან, ვითარცა [იყვნენ]  
პირველნი მანი: ანტონი, ევთიმი, და საბა; მეოთხე  
– მაცთურებითი და არა ჭეშმარიტებითი სიკვდილი,  
ვითარცა ჰყოფენ სოფლის მოყვარენი მონაზონნი,  
რომელთა სახე სოფლის მოკვდავებისა შეუმოსია,  
შინაგან ცხოველი არის სოფლისა და მისის  
საქმისათვს, რომელთაც ქრისტე ცხადად ამხილებს  
და უბრძანებს: „გარეგან ცხოვართათა მოსილი,  
ხოლო შინაგან მგელ მტაცებელ“.

ოთხთად რომ სი/2 წევდილი ვსთქვით, მოციქულის  
სიტყვა, სამისათვს არა არის, მეოთხისა თვს არის.  
მოციქულის სიტყვა მეოთხეს სიკვდილს სამისაგან  
განარჩევს.

სულისა და ხორცის განყოფილნი  
სიკვდილისაგან განარჩევს თქმითა: „რომელნი  
მოჰკვედით ნივთთა მათგან ამის სოფლისათა“.  
წარწმედის სიკვდილისაგან განარჩევს თქმითა:  
„უკეთუ მოჰკვედით ქრისტესთა“ – ქრისტესთა  
მკვდარი საუკუნოდ ცხოვრებად მიიწევა, ვითარცა  
ჰრევა მორწმუნესა ავაზავსა: „დღეს ჩემთანა იყავ  
სამოთხესა“; მზაკვარებით და მაჩვენებლობით  
სოფლის სიკვდილისაგან განყოფს თქმითა: „უკეთუ  
მოკვდით ქრისტესთანა, ნივთთა მათგან ამის  
სოფლისათა, რასათვის, ვითარცა ცხოველნი  
ჰბრძნობთ სოფელსა შინა?“ მონაზონებით ქრისტეს  
თანა მკვდარი სოფლისათვს არა ბრძნობს და  
მაჩვენებლობითი მონაზონი ისევ სოფლისათვს  
ბრძნობს და იქცევა. სწორებით წარმოჩნდა, რომ  
მოციქულის სიტყვა ჭეშმარიტისა და უზაკველის  
მონაზონისათვს არის.

მოწაფე ქრისტესი, სრული მონაზონი, ნივთიურის  
სოფლისათვს მკვდარია, მკვდა/ზრი უნდა იყოს,  
ვითარცა განსაზღვრებს დიდი იოანე სინელი და  
იტყვის: „მონაზონება არს [უარ]ყოფა სრულიად  
სოფლისა და საქმეთა მისთა“. ახლა კიდევ  
მოციქულისავე სიტყვით დავამტკიცოთ, რომ  
ჭეშმარიტითა გულითა მონაზონი და ქრისტეს  
შედგომილი, სოფლისაგან მკვდარი უნდა იყოს.  
ქრისტეს შედგომილისა პავლესი ისმინე, რასა  
იტყვის: „არღარა ცხოველ ვარმე, არამედ ცხოველ  
არს ქრისტე ჩემ შორის“.

მონაზონო, თუ ჭეშმარიტის გულით შედგომილი

ხარ ქრისტესი, პავლეს სიტყვის მსგავსად, ნივთიურის  
სოფლისათვეს ცხოველი არ უნდა იყო, რადგან  
საყვარელი ქრისტეს მეგობარი ხარ, ქრისტეს  
მეგობარს ლაზარეს უნდა ემსგავსო. თუ ვითარ –  
ვსთქვათ: ლაზარე, მეგობარი ქრისტესი, მოკვდა,  
ქრისტემან თავისი მეგობრის სიკვდილი რომ ჰსცნა,  
ქრისტემან ხმა უყო: „ლაზარე, გამოვედ გარე“.  
განცხოველდა და საფლავიდგან გამოჰდა ხელით  
და ფერხით შეკრული, ჰრქვა მონათა თვისთა:  
„განხსენით და უტჰეთ“, განხსნეს და ვიდოდა.  
ეგრეთვე შენ მონაზონებით ნივთიურის  
სოფლისაგან უნდა /ვ/ მოჰკვდე.

როდესაც ქრისტეს შენს სოფლისაგან  
მოკვდავებას ჰსცნობს, მაშინ ლაზარეს მსგავსად  
გიწოდებს: „გამოვედ გარე საფრხისაგან ეშმაკისა“  
და მაშინ ცხოველ იქმნები სულითა და უბრძანებს  
ანგელოზთა: „განხსენით ეგე ცოდვისა  
კრულებათაგან და უტევე სულად სასუფეველსა  
შინა“. ეგების ვინმე იიჭვნოს: სრულიად ასრე რომ  
განვეშორო, ხორცი ვითარ გამოვზარდო, ან  
საზრდელი როგორ მოვიპოვოო?

რადგან ქრისტეს შედგომილი ხარ, ამის მსგავსი  
ზრუნვა შენგან შორს უნდა ჰყოფდეს ამისთვეს, რომ  
უფალი შენი ამას გამცნებს: „ნუ ზრუნავთ, რა  
ჰსჭამოთ, ანუ რა ჰსვათ, ანუ რა შეიმოსოთ. იცის  
მამამან ზეცათამან, რა გიჯმს ამათ ყოველთაგანი“.  
რადგან ნივთიურის სოფლისაგან განსრული ხარ,  
რომლისი სოფლისა ხარ.

აწ ის უნდა წარმოვაჩინოთ, პავლე განგიცხადებს  
და გეტყვის: „არა გვაქვს საყოფელად ქალაქი, არამედ  
მერმესა მას ვეძიებთ“. არათუ ქვეყანის ამის მსგავსი  
არის, ყოვლითურთ /4/ უცხო და სხვა რამ არის ამისგან  
და თუ ვითარ ვსთქვათ.

ქვეყანა იგი ზეცისა არა არს ნივთიური, არამედ  
უნივთო; არ არის წარმავალი, არამედ საუკუნო;  
მეუფე მის ქვეყანისა იგი არს ყოველთა  
დამბადებელი უფალი; ქვეყანა იგი არა  
განათლდების შექმნილისა და [დაბადებულისა  
მზისა მიერ, არამედ შეუქმნელისა და]  
დაუბადებელისა ღმრთისა მიერ. ქვეყანასა მას შინა  
გლახავნი უსანატრელეს არიან მდიდართაგან,  
თქმისაებრ საუფლოსა: „ნეტარ იყვნენ გლახავნი  
სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

ქვეყანასა მას შინა მსგავსი მხედარი უმეტესად  
საქებელ არს, რომელიც მარცხენის  
ყურმილისმცემელს მარჯვენეს მიუპყრობს,  
რომელიც სამოსლის მიმტაცებელს კვართის  
მიღებადაც არ აყენებს; ქვეყანასა მას შინა არა  
რაიმე არს მწუხარება და ურვა, გარნა მხოლოდ  
ცხოვრება ანგელოზებრივი და სიხარული საუკუნო.

შენ, საყვარელო მამაო, ამისებრის სოფლის  
ჩინებული ხარ, ნივთიურის სოფლისა. რადგან  
ზეციურის ჩინებუ/4vლი ხარ და იქ მისულა გეგულვება,  
ნივთიურის სოფელს ნუ ექცევი, თორემ ზენა  
სოფელს, ესე იგი, სასუფეველს ვერ მიიღებ და თუ  
ვითარ სამღრთოს წერილის მაგალითით ვაჩვენოთ.

ისრაელთ ეგიპტისა და ფარაოს მონებითგან  
გამოსვლის მიზეზი მიიღეს და თქვეს: „განვალთ  
სამისა დღისა სავალსა და ვმსახურებთ უფალსა  
ღმერთსა ჩუენსა“. როდესაც გამოვიდენ ეგიპტიდამ  
და ფარაოს მონებიდამ და მოსეს შეუდგენ, ოდესმე  
კიდევ ეგიპტადვე მიქცევა ინებეს. ამისთვის  
განურისხდა ღმერთი და ეგიპტიდამ გამოსრულთა  
აღთქმის ქვეყანა ვერ იხილეს, უდაბნოს მოსწყდენ,  
ეგრეთვე შენ უხილავის ფარაოს – ეშმაკის და  
ნივთიურის სოფლის მონებიდამ გამოსულის მიზეზი  
მოიღე: სამი დღისა სავალის მსგავსად, ეს სამი რამ  
მოკვეთე, – ცოდვის აღსარება და სინანული,  
გამოხვედ სოფლისა და ეშმაკის მონებიდამ და  
შეუდგე ქრისტესა მონაზონებისა აღთქმისა მიერ.  
და თუ კიდევ სოფლის უჯეროებისა მიმართ მიქცე-  
/ჩვას ინებებ, განრისხდება შენ ზედა ღმერთი და  
როგორც მათ აღთქმის ქვეყანა ვერ იხილეს, ისრე  
შენ სასუფეველს ვერ იხილავ.

დიდის მოციქულისაგან გესმის დაყენება: „არავინ  
მოღვაწე შეეხების სოფლის საქმეთა, რათა ერის  
თავსა მას სათნო ეყოს“. ეგების ვინმე ჰსტევას:  
„ძლიერის ბრძოლისა და საფრხისაგან ეშმაკთასა  
მოუძლურდი“. ეს მიზეზი უჯერო არს, და თუ ვითარ  
– სამღრთოს წერილიდამ მაგალითით უჩვენოთ.

ისრაელთა შორის ეს განჩინება იყო: მოშიში  
ბრძოლად ვერ განვიდოდა. ეგრეთვე ესეც  
განჩინებული არის: ვისაც არ ძალ უცს  
მონაზონების მოღვაწების ტვირთვა და მოშიში არის,  
მონაზონებად არ უნდა გამოვიდეს. ქრისტეს  
შეუძლებელი არა უბრძანებია რა, ასე ბრძანებს:

„უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ  
არს“ და თუ მოვა მონაზონებად, ღვაწლიც უნდა  
იტვირთოს, თორემ უფლისა იესოს სიტყვა რისხვით  
მიეგება.

ეგების კიდევ ვინმე სთქვას მიზეზი: „ესოდენს  
ერში ვარ და რა ვყო, [რომ] სოფლიურს საქმეში არ  
აღვე/5vრიო?“ ესეც მიზეზი უჯერო არს და თუ ვითარ  
ვაჩვენოთ. დიდი იოანე ნათლისმცემელი  
მრავალჯერ იყო ერისა სიმრავლისა შორის; გესმისა  
მისთვის თქმული: „და განვიდოდა მისა ყოველი  
იერუსალიმი და გარემო სოფლები და ნათელს  
იღებდეს მისგან და აღუარებდეს ცოდვათა მათთა“.  
ესოდენის შორის ერისა იქმნებოდა, მაგრამ სოფლის  
საქმეშიდ არა თანა ეზიარებოდა. ეგრეთვე შენ  
მრავალთა შორის რომ იყო, უჯერო საქმეში არ  
უნდა ეზიარო. ჭრიმარიტი უნდა ჰქონდა, უჯეროსა  
საქმესა შინა თუ აღერიე, სიმრავლეში ყოფა ვერ  
განგამართლებს.

ამისი სიმტკიცე სიტყვით და საქმით წარმოვა-  
ჩინოთ: მოსე, ღმრთისა-მზრახველი, გვამტკიცებს:  
„არა შეერთო მრავალთა თანა საქმედ ბოროტისა“,  
პავლე მოციქული ამტკიცებს: „და ნუ თანა ეზიარე-  
ბით საქმეთა მათ ბნელისათა, არამედ ამხილებდით-  
ცა“. აწ საქმით ვაჩვენოთ, რომ უჯეროს საქმეს  
მრავლის ერის შორის ყოფნა ვერ განამრთელებს.  
პეტრე მოციქული უარის ყოფაში რომ შთავარდა,  
ამითი არ განმართლებულა, ურ/6იათა სიმრავლისა  
შორის რომ იყო, ამითი განმართლდა: „გამოვიდა  
გარე და სტიროდა მწარეთ“.

ეგრე ეგრეთვე შენ, მამაო, მრავლის ერისა შორის  
ყოფნით ვერ განმართლდები, თუ პეტრესებრ მწარეს  
ტირილს არ ყოფ. რომელიც მონაზონების სახეს  
ჰშვენოდეს, ის საქმეები აჩვენე, თორემ მონაზონების  
სახის შემოსა და უჯერო საქმის ქმნა ძნელს  
საკიცხველს საქმეს დაგდებს.

პირველად ქრისტე დაგდებს კიცხევას და მი-  
ამსგავსებს უშვერს საფლავთა და გიბრძანებს: „მს-  
გავს არიან საფლავსა განგოზილთა, რამეთუ ჰსჩანედ  
გარეშე შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიან ძვლე-  
ბითა და არაწმინდებითა“. ამას თვით ქრისტე  
განგიმარტებს და შენზედ განაცხადებს: ეგრეთვე  
თქვენ ჰსჩანედ წინაშე კაცთა შვენიერ, ხოლო ში-  
ნაგან სავსე ხართ ორგულებითა და არაწმინდები-

თა. თუ მონაზონების საქმეს არ ადევნებ სახესა  
მონაზონებისასა, იუდას მიგამსგავსებს, კერპსაც  
მიგამსგავსებს და თვით წინასწარმეტყველის თქმი-  
საებრ: თვალ გასხენ და არა ჰქედავ საქმესა მონა-  
ზონებისასა, ყურ გასხენ და არა გესმის სიტყვა  
მოციქულისა, რო/ნომელსა გვეტყვის: „უკეთუ მოჰ-  
კვედით ქრისტესთანა, ნივთა მათგან ამის სოფ-  
ლისათა რასათვის, ვითარცა ცხოველნი, ბრძნობთ  
სოფელსა შინა“. ხელ გასხენ და არა განიხილავ  
საქმესა მოღვაწებისასა, ფერხ გასხენ და არა ხვალ  
გზასა ქრისტეს მცნებათასა, არცაღა ჰქონდ ხორჯი-  
თა შენითა ლოცვასა, ვითარ იგი ჯერ არს.

დიდი გრიგორი ღმრთისმეტყველი მწვალებელს  
ეტყვის: „ანუ იყავ ტფილ და ანუ იყავ გრილ“.  
ეგრეთვე მონაზონთა მიმართ ვიტყვი მე, უღირსი:  
ანუ მკვდარი უნდა იყოს სოფლისა ნივთაგან და  
ანუ ცხოველი, მონაზონების სახე არ უნდა ემოსოს,  
რადგან სოფლის ნივთაგან ცხოველ არის, თორემ,  
როგორც ზემო ვსთქუ, საკიცხველი რამე იქმნება.

მაგალითი მოვიღოთ, თუ როგორ საკიცხველი  
არის, ცხოველმან კაცმან მკვდრის სამოსელი სუდარი  
რომ შთაიცვას და ერთა შორის იარებოდეს,  
ერისაგან საკიცხველი იქმნება თუ არა? ეგრეთვე  
მონაზონების სამოსელი არის და შენ თუ  
ნივთიურის სოფლისათვის ცხოველ ხარ, და  
მონაზონების მოკვდა/ზრების სამოსელი გაცვია ერთა  
შორის ღმრთისათა, ესე იგი ანგელოზთა და წმიდათა  
კაცთა შორის, საკიცხველი იქმნები. თუ  
ჭეშმარიტებით მონაზონის სიკვდილი მიიღე,  
როგორც მკვდარს დაყროლებულს არა ესმის რა,  
არც შენ სხვისი სოფლიურის ვისიმე არა რამე  
სულის მავნებელი არ უნდა გესმოდეს.

ამისი კიდევ მაგალითი მოვიღოთ: როდესაც  
ლაზარე მოკვდა, არა ვისი ხმა ესმოდა, არცა თვისისა,  
არცა მეგობრისა, მხოლოდ ქრისტეს ღმრთისა ხმა  
ისმინა. ეგრეთვე, როდესაც მონაზონებით ნივთიურის  
სოფლისაგან სიკვდილი მიიღო, უჯერო ხმა არ ვის  
უსმინო, მხოლოდ ქრისტეს ღმრთისა მორჩილებას  
არათუ მარტო მონაზონებითი წესი გაწვევს, გაწვევს  
ბუნებითი ჰსჯული, ვითარ იგი ჰქონბს: „ჰქმენ რად  
ვეცა იგი სრულ გყოფს შენ, და მდგომობასა შენსა“,  
მხოლოდ ქრისტეს მორჩილება სრულ ჰყოფს შენს  
მდგომარეობასა და არა სხვა რამე. ვითარცა ჰქონბს

მახარებელი იოანე: „ყოველივე მის მიერ შეიქმნა  
და თვინიერ მისა არცა ერთი რად იქმნა, რაოდენი  
რა იქმნა“. მოციქული გაწვევს სიტყვითა ამის: „გა-  
/7მოიძიეთ და უკეთესი იგი შეიკრძალეთ“.

მორჩილება ქრისტეს უმჯობეს არს ყოვლისავე,  
ვითარ იგი ჰემობს ბრძენი სოლომონ: „უმჯობეს  
არს ყოვლისა ღმრთის-მსახურება“, თვინიერ  
ქრისტესა სხვა ვერა რას გარგებს.

მოვიღოთ იმისი მაგალითი: ლაზარეს ვინ რა  
არგო, რომელმან მოყვასმან იხსნა, ანუ რომელმან  
მეგობარმან? არა რომელმანმე, მხოლოდ ქრისტემან  
იხსნა სიკვდილისა და ჯოჯოხეთისაგან. ეგების  
ამისთვის ვინმე შესცთეს და სთქვას: „მრავალი ერი  
ჩემდა შემოდგომილი არის“.

თუ ქრისტეს ღმრთისა მორჩილი არა ხარ, ერის  
სიმრავლე შენთვის სახმარი არ არის, თორემ ამას  
მიჰედე: იუდას ჰურიათა ერისა სიმრავლე შეუდგა,  
მაგრამ იუდა რომ ქრისტეს განეშორა, ერის  
სიმრავლემ ვერა არგო რა, სულით და ხორცით  
დაისაჯა. ეგრეთვე შენ თუ ქრისტეს განეშორე, ერის  
სიმრავლე ვერა რას გარგებს, სულით და ხორცით  
დაისაჯები და [თუ] ქრისტეს შედგომილი ხარ,  
სხვისაგან ვნება არ შეგეხება, ვითარ იგი ჰემობს  
მოციქული: „უკეთუ ღმერთი ჩუქნ კერძო არს, ვინ  
არს მტერ ჩუქნდა?“ და თუ ამას იტყვი: „ცხოველმან  
კაცმან როგორ უნდა ვიცოცხლო, თუ სოფლიური  
ყო/ზველი დაუტეოთ“, აქ ერთი რამ საკვირვო [საქმე  
არის]. თუ სოფლისაგან ჰგონებ შენც ცხოვრებას,  
რომელმან სოფლიურმან კაცმან შთაპბერა შენ  
შორის სული სიცოცხლისა, რომლის სოფლიურის  
კაცისაგან გაქვს განწესება დღისა და ჟამისა, რომ  
შენი სიცოცხლე ამათ შორის არს? ეს ყოველივე  
ღმრთისაგან გაქვს და არა სოფლიურისა ვისგანმე,  
და რად ამბობ: „სოფელი რომ დაუტეო,  
ვერ ვიცოცხლო“?

ქრისტე უფალი აღდგომა და ცხოვრება არის  
და მის მიერ იცხოველე. თუ საზრდელის ზრუნვა  
გაქვს, ქრისტესგან უმჯობესი საზრდელის მომცელი  
სოფელსა შინა რომელი გივის? ხუთის პურით ხუთი  
ათასი განაძლო, და შვიდის პურით ოთხი ათასი; და  
თუ სამოსლისათვის ჰურუნავ, ან ამას რად ზრუნავ,  
თვით უფალი გიბრძანებს: „ნუ ზრუნავთ, რა შჭამოთ,  
ანუ რა შეიმოსოთ“, თუ მაშინაც კიდევ არ შეიგონებ

და სოფლის სიმდიდრეს იძიებ, ჰერანს, რომ ქრისტეს  
მოწაფეობა დაგიტევებია, ქრისტეს მოწაფეობა და  
სიმდიდრის მოყვარება ერთად არ დაზავდება;  
თვისთა მოწაფეთა ასე უბრძანებს: „ნუ მოიგებთ  
ოქროსა, ნუცა ვეცხლსა“ და თვისი /8v მოციქულის  
პირით გიბრძანებს: „ნუ გიყვარს სოფელი ესე, ნუცა  
რა არს სოფლისა ამის“, იოანე ღვთის-მეტყველი  
და მახარობელი თვისთა კათოლიკეთა შინა ცხადად  
გამხილებს: „უკეთუ ვისმე უყვარდეს სოფელი ესე,  
არა არს სიყვარულ მამისა მისისა თანა“. რადგან  
ამას სოფელსა მინდობილ ხარ, ცხადად იხედვება,  
რომ ქრისტესგან შორს ხარ, ვითარცა ბრძანებს  
უფალი იესო: „ვერ ძალუძს ორთა უფალთა  
მონებად“.

ეგების ვინმე კითხვა ჰყოს და იძიოს: რასათვს  
არ დაზავდება მოწაფეობა ქრისტესი და სიყვარული  
სოფლისა? ნაცვალს კითხვას მეც წინა უყოფ:  
რასათვს ცეცხლი და წყალი ურთიერთარს არ  
დაზავდება? მიზეზი ეს არის, ერთმანეთის წინა-  
აღმდგომნი არიან, ეგრეთვე ქრისტეს მოწაფობა და  
სოფლის სიყვარული ერთმანეთის წინა ამდგომნი  
და დაუზავებელნი არიან, თუ ვითარ –  
გამოვაცხადოთ. სოფლის სიყვარული განსვენებასა  
და ფუფუნებასა შემოიღებს, განსვენება და  
ფუფუნება ამას სოფელსა შინა ქრისტეს  
მოწაფეთაგან უცხო არის; არათუ მოწაფეთაგან,  
კაცობრივის ბუნებით, თვით უფალი /9r და მოძღვრისა  
ჩუენისა იესოსაგანაც შორის იყო განსვენება ამას  
სოფელსა შინა, ვითარ იგი ჰემობს თავისა თვისათვს:  
„არა აქვს ძესა კაცისასა, სადა თავი მიიღოს“.  
მოწაფე ქრისტესი მოციქული ჰემობს: „ჭირნი  
ავაზაკთაგან, ჭირნი ძმათა მტყუართაგან“.

გულის-ხმის-ყოფით მიჰედე თქმულთა ამათ, თუ  
დაზავდება ქრისტეს მოწაფეობა და სოფლის  
სიყვარული? სოფლის სიყვარული ერის მთავრის  
მორჩილებას შემოიღებს და ერის მთავრის  
მორჩილება სოფლიურს ამაოებაში ქრისტეს  
მოწაფეობისაგან შორს არის, ვითარ იგი ჰემობს  
მოციქული: „არავინ მოღვაწე შეეყოფის სოფლის  
საქმეთა, რათა ერის თავსა მას სათნო ეყოს“. და  
მოციქული პეტრე უფროსად განაცხადებს და  
იტყვის: „უკეთუ კაცთა სათნო ვეყოფოდე, ქრისტეს  
მონამცა არა ვიყავ“.

სოფელსა შინა სამი რამ არის სიხენეშე: სიძვა,  
გულის თქმა და ამპარტავნება. ამათ სამთავე  
განაცხადებს იოანე მოციქული და მახარობელი  
თვისთა კათოლიკეთა შინა და იტყვის: „სამწი ესე  
არიან სოფელსა შინა – სულის თქმა / 9v ხორცთა,  
გულისთქმა თვალთა და სილადე ამის ცხოვრებისა“.  
მათ სამთა ვნებათაგან აყენებს უფალი შედგომილსა  
თვსსა, და პირველისათვს უბრძანებს  
წინასწარმეტყველისა მიერ: „წმიდა იყვენით, რამეთუ  
მე წმიდა ვარ“, და მეორისათვს ბრძანებს უფალი  
იესო: „რომელმან მიჰედა დედავაცსა მრუშებად,  
მანვე იმრუშა გულსა შინა თვსსა“, და მესამისათვს  
კვალად ბრძანებს უფალი იესო: „ყოველივე მაღალი  
გულითა კაცთა შორის საძაგელ არს წინაშე  
ღმრთისა“.

ამას სამთა ხენეშთა საქმეთაგან უდიდესის  
ყენებით უფალი გაყენებს, და ეს სამი სიხენეშე  
სოფელსა შინა არს. მაშასადამე, თუ ქრისტეს  
ღმრთისა ჭეშმარიტი მოწაფე მონაზონი ხარ,  
სოფლის ვნებისაგან ყოვლითურთ უნდა ივლტოდე,  
ვითარცა მაკვდინებელისაგან გესლისა.

პირველითგან მივხედოთ, თუ მონაზონების სახის  
მჩვენებელნი სოფლისაგან როგორ განშორებულნი  
იყვნენ. ილია დიდი წინასწარმეტყველი, ხალენითა  
მოსილი, რომელიც უფლის მონებისათვს ასე  
განშორებულ იქმნა სოფლისაგან, მხოლოდ  
ყორნისაგან მიიღებდა საზრდელსა. მეორედ ილიად  
სახელდებული, დიდი იოანე ნათ/10rლისმცემელი,  
სოფლისაგან ასე უცხო იყო, ქრისტე უფალი  
ბრძანებს მისთვს: „მოვიდა იოანე ნათლის-მცემელი,  
არცა შჭამდა, არცა სმიდა“.

ვიცი, ამას იტყვით ჩემის ულირსებისა მომართ:  
„არ უნდა ვჭამოთ და ვსვათო“? მე ულირსი თქვენდა  
მომართ ამის თქმას ვერ გვადრებ, რომ არა ვშჭამოთ  
და არცა ვსვათ, მაგრამ მოციქული გაყენებს  
ჭამისაგან და გეტყვის: „უკეთუ ვისმე საქმისა არა  
ჰებავს, ნუცა შჭამნ“, შჩანს მოციქულის სიტყვისაგან,  
თუ საქმე მოღვაწეობისა არა გნებავს, არცა უნდა  
შჭამო.

კვალად მოციქული ასე იტყვის: „არა აღუკრა  
პირი [ხარსა] მეკალოესა“, შენთვს არის ეს სიტყვა,  
თორემ პირუტყვისათვს არ არის. თვთ მოციქულის  
სიტყვა აცხადებს და იტყვის: „არათუ ხართა თვს

რამე ზრუნვა ედვა“, რადგან შენთვის არის ეს სიტყვა,  
თუ სათნოების კალო, მუშაკობა და ღწვა არა გაქვს,  
სამართალი არის, პირი აკრული უნდა გაქვნდეს  
მარხვისა მიერ და არ უნდა შჭამდე.

ისმინე ჭეშმარიტი: უქმისა ჭამა არა განწესებულ  
არს. თუ ამას იტყვი: „ნივთიური კაცი, თვინიერ  
საზრდელისა, ვითარ იცოცხლებს“? სათნოებით  
მუშაკობა ჰყავ და მერმე მიიღე საზრდელი.  
მოციქულის პირით გიბრძანებს: „არა აღუკრა პირი  
ხარსა მეკალოესა“, და თუ ამისი ზრუნვა გაქვს,  
რომ ეს გეპოება რა.

ილია უპოვარი იყო, მაგრამ უფალმან ყორნის  
მიერ გამოზარდა, შემძლებელ არის, რომ შენც  
გამოგზრდის. თუ კიდევ ამას იტყვი: ილიასოდენი  
ღირსება მე არ მაქვს, აქ კიდევ სხვა სანუგეშო  
მაგალითი მოვიღოთ: ქრისტემან მცირითა პურითა  
მრავალი ერი გამოზარდა; შენ ერთს უფროსად  
გამოგზრდის მცირის პურითა და თუ კიდევ შეჰქმენ  
და იტყვი: „რადგან სოფელი დაუტევე, მცირედი  
პურიც არ მეპოვება, რომ განმამრავლოს და  
აღმავსოს ქრისტემან“, ამისი სანუგეშოც სხვა  
მაგალითი მოვიღოთ სამღრთოს წერილიდამ:  
დანიელ უფლისა ღმრთისათვს ლომთ მღვიმეში  
შეწყუდეულ-იქმნა. დანიელისათვს იქ საზრდელი  
ყოვლითურთ უპოვარი იყო; ამბაკო  
წინასწარმეტყველს მუშაკთან საზრდელი მოაქვნდა.  
უპყრა /11r ანგელოზმან ამბაკოს და ის საზრდელი  
ამბაკომ მის ხელით ანგელოზმან დანიელს  
მოართვა. ეგრეთვე შენ უფლისა ღმრთისათვს  
ლომთ მღვიმეში, ესე იგი ეშმაკის ბრძოლის  
განსაცდელშიდ ხარ და მას კეთილად ითმენ.

დიდისა ზრახვისა ანგელოზი უფალი იესო  
ქრისტე უპყრობს ერთს ვისმე ღმრთის სათნო კაცს,  
და მისის ხელით მოგცემს საზრდელს, და  
გამოგზრდის ხორცით, ხოლო სულითა აღგავსებს  
საუკუნომთა კეთილითა, აწდა საუკუნეთა  
უკუნისამდე, ამინ.

მაცხოვარი ჩუენი და უფალი გვასწავებს  
მეტყველი: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა“.

ბოროტს მოგებას აყენებს, თორემ კეთილად  
მოგებას არ დააყენებს. კეთილად მოგებას რომ  
აყენებდეს, ოქრო და ვეცხლი უხმარი იქნება. თუ  
კეთილი მოგება დაეყენება, ბოროტი ყოვლითურთ  
უკუთემული და დაყენებული არის, და ვითარ უნდა  
იქმნეს სახმარი და დაბადებული სახმარი არ იყოს,  
ერთს რასმეს საქმეში არ იქმნება, ვითარცა იტყვის  
დამასკელი ითანებ: „არა რად არს დაბადებულთაგანი  
რამე, რომელთა შინა არა დასდგა დამბადებელმან  
სახმარება რამეა“ და რადგან სახმარი არის  
თვითოეულისა ვეცხლისა და ოქროსას ბოროტად  
მიგებას აყენებს, თორემ კეთილის მიგებას არ  
აყენებს.

სამღრთოს წერილიდამ მოვიღოთ ამისი  
დამამტკიცებელი მაგალითი, სახე და სიტყვა:  
ისრაელთ ეგიპტიდამ გამოსულა რომ ეგულვებოდათ,  
მაშინ ღმერთმან უბრძანა: [თითოეულმან]  
ისრაელმან ეგიპტელთაგან ითხოონ ჭურ/12vჭელი  
ოქროსა და ვეცხლისა და გამოსულაზედ თანა  
წამოიღონ ყოველი ჭურჭელი ოქროსა  
და ვეცხლისა. ისრაელთ ჰყვეს ეს ბრძანება და  
ეგიპტის დიდება თან წარიღეს, ვითარცა ხმობს  
წინასწარმეტყველი დავით: „და გამოიყვანა იგინი  
ოქროთა და ვეცხლითა“.

ჰედავთ, კეთილი გონება არ დააყენა ღმერთმან.  
კეთილი მიგება ვითარ იყო, თუ ამისი ცნობა გნებავს,  
ესრეთ ჰსცან: ფარაოს მეფე ისრაელთ ამუშაკებდა  
და სასყიდელს არ აძლევდა; ამისთვის სასყიდლად  
ეგიპტელთ ოქრო და ვეცხლი მისცა ღმერთმან  
ისრაელთ. მიჰედეთ აქ, თუ დააყენა ღმერთმან  
კეთილი მოგება.

კიდევ ღევიტელნი ათის თავს მოიგებდენ,  
ღმერთი არ აყენებდა, უფროსად ამცნებდა ათეულის  
მიღებას, ვითარ იგი ხმობს მოციქული: „და რომელი  
ლევის ძეთაგანი მღვდელობასა მიიღებენ, მცნება  
აქვს ათეულის მიღებად ერისაგან“; კვალად  
მოციქული პავლე არ აყენებს ჯეროვნად მოგებას  
და იტყვის: „უკეთუ ჩუენ სულიერი დავსთესეთ, დიდ  
რამე არსაა, რა ჩუცნ ხორციელი მოვიმკოთ“.

აწ ერთი სახე მისთვის მოვიღოთ, თუ ვითარს

მოგებას აყენებს ღმერთი. ელისეს მსახურმან გეზი  
მის უფლის ნება არ იყო, ისე მოიგო ვეცხლი და  
დაისაჯა სულით /13r და ხორცით; ეგრეთვე რომელიც  
ქრისტეს მსახური ამის მსგავსს ვეცხლს აღიღებ,  
რომელიცა ქრისტეს ნება და ბრძანება არ არის,  
გეზის მსგავსად სულით და ჭორცით დაისჯები.

კვალად ღმერთი ამის მსგავსს მოგებას აყენებს:  
მოღება გნებავს და მიცემა არა. ეს ქრისტეს ღმრთის  
ნება არ არის. ქრისტე უფალი ასე გიბრძანებს:  
„ყოველი, რაოდენი გინდეს, რა გიყონ თქვენ კაცთა,  
ეგრეთვე თქუენ ჰყვით მათდა მიმართ“. მე, უღირსი,  
ასე განგიმარტებ ამ სიტყვას: ყოველი, რაოდენიც  
კაცისა ქრისტეს ღმრთისაგან შენ გნებავს, ეგოდენი  
ქრისტეს შენ უნდა მისცე, ესე იგი გლახავს, ვითარ  
იგი გამცნებს ქრისტე: „რაოდენი უყავთ ერთსა  
მცირეთაგანსა, იგი მე მიყავთ“, და თუ ასე მოიგებთ,  
მიცემა აღარ გნებავს, ამის მსგავსის მოგებისაგან  
გაყენებს უფალი ამისთვის, რომ საქმესა შინა  
მოციქულთასა ლუკა სწერს ქრისტეს მიერ  
ბრძანებულს და იტყვის: „თავადმან სთქვა, უმჯობეს  
არს მიცემა უფროს მოღებისა“.

კვალად ვსთქვათ განცხადებით, რომელს მოგებას  
აყენებს ღმერთი? აყენებს მპარაობით მოგებას,  
ვითარცა ამცნო მოსეს: „ნუ იპარავ“. კიდევ სხვა  
მაგალითი მოვიღოთ. ისრაელთა შორის აქარ  
ქარიმის ძემან იპარა ოქრო და ვეცხლი და სიკვდიდ  
დაისაჯა; ეგრეთვე, რომელიც მპარაობით ოქროს  
და ვეცხლს მოიგებს, სულით სიკვდილს, ესე იგი,  
საუკუნოს წარწყმედას მიეცემა.

კიდევ აყენებს [ღმერთი] ამის მსგავს /13v მოგებას;  
შენ ოქრო და ვეცხლი მოიგო და ერთი უბრალო  
ვინმე შეაწუხო, საუკუნოდ დაისჯები, ვითარცა იუდამ  
ვეცხლი მოიგო და უბრალო ქრისტე ვნებად მისცა;  
ეგრეთვე ერთს ვისმე ანუ დიდს, ანუ მცირეს ვნებასა  
და მწუხარებასა მისცემ, იუდის მსგავსად დაისჯები.  
თუ ოქროს და ვეცხლის მიღების მიზეზისათვის  
ერთი ვინმე მწუხარებასა და ვნებას მიეცი, კიდევ  
აყენებს ესე ვითარს მოგებას ღმერთი: რომელთამე  
ურიათა მიიღეს ვეცხლი და დაფარეს ქრისტეს  
აღდგომა, ეგრეთვე შენ ვეცხლისა და ოქროსათვს  
ქრისტეს საიდუმლოს დაპფარავ და კეთილად ერსა  
არა განუცხადებ, ვინც ვეცხლისათვს ქრისტეს  
აღდგომა დაფარა, შენც მასთან აღირაცხები. იმანაც

ქრისტეს საკვირველება დაფარა ვეცხლისათვს და  
შენც საკვირველ საქმეებს ჰფარავ ვეცხლის-  
მოყვარებისათვს და ერს კეთილად არ ასწავებ და  
არ განუცხადებ.

გაყენებს უფალი ესე ვითარის მოგებისაგან,  
როგორც ანანიამ მოიგო ვეცხლი და მცირედი მისცა  
ქრისტეს მოწაფეთა და მოციქულთა, სხვა დაუფარა,  
ამისთვს „ანანია დაეცა და სული წარხდეს“. შენ  
ოქროს და ვეცხლს მოიგებ, მცირედს რასმეს მისცემ  
ქრისტეს მოწაფეთა და უმრავლესს დაუფარავ,  
ანანიას მსგავსად, სულიერებრივად დაეცემი და  
როგორც ანანიას სული სიცოცხლესა განეშორა,  
შენგანაც სული საუკუნოსა სიცოცხლისა, რომლ-  
არს სული წმიდა, განგეშორება. იკითხავ: ყოველივე  
მას უნდა მისცე, თუ რა ჰყო? თუ ქრისტეს მოწაფე  
ხარ, /14r ესრეთ უნდა [ჰყო:] შენთვს და სხვათა ქრისტეს  
მოწაფეთათვს საერთოდ უნდა იყოს შენი  
მოგებული; მოწაფენი ქრისტესნი ასე იქცეოდენ,  
ვითარცა სწერს ლუკა საქმესა შინა მოციქულთასა:  
„არცა ერთმან ვინ სთქვის მოგება თვისი თვისად“.  
ეგების ეს საქმე ძნელად ვისმე აღუჩნდეს.

აქ უფლისა იესოს სიტყვა მოვიხსენოთ:  
„უადვილეს არს აქლემი განსლვად ხურელსა  
ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესულად სასუფეველსა  
ცათასა“. ვინც სიმნელე დაზდვა მონაგებისა ერთად  
საზოგადოდ ხმარებისა, ერთად საზოგადოდ  
ხმარებისა წაცვალი სიძნელე ქრისტემან მიუგო;  
შესამსავსი პირის-პირ მდგომი. გაყენებს უფალი  
ესე ვითარის მოგებისაგან: ვითარცა ლაზარე  
გლახავის ჟამში მდიდარი ვინმე იყო, მან მრავალი  
სიმდიდრე მოიგო და მის სახლში მყოფი გლახავი  
ლაზარე შიმშილისაგან იტანჯებოდა, ამისთვის  
მდიდარი დაისაჯა ჯოჯოხეთსა შინა და  
აბრაჰამისაგან წვეთი ითხოვა და ვერ მიემთხვია,  
ეგრეთვე შენ მრავალი სიმდიდრე გაქვს და გლახავს  
მწუხარედ ჰქედავ და მას შენის სიმდიდრისაგან  
სუფევას არ მისცე, მდიდრის მსგავსად დაისჯები  
ჯოჯოხეთს შინა, და ვერცა თუ წვეთის შესამსგავს  
მცირეს რასმე ღმრთის მოწყალებას მიემთხვევი.

გაყენებს უფალი ღმერთი მტაცებლობით  
მოგებისაგან, ვითარცა გასწავებს უფალი იესო:  
„ეკრძალენით /14v და დაიცვენით თავნი თქვენნი  
ყოვლისაგან ანგარებისა, რამეთუ არიან ნამეტნავ

ვისიმე ცხოვრება თვისი“ ეს უფლის სიტყვა  
მოწყალებითი სწავლა [და] განკრძალვა არის და  
თუ სიტყვისაგან უფლისა არ შეისმენ და  
ანგარებისა და ტაცებისაგან არ განეყენები,  
შესაძრწუნებელის რისხვის შემდგომად, სიტყვა  
მესმის უფლისაგან პირითა მოციქულისათა: „არცა  
მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისა ვერ  
დაიმკვიდრონ“, რაოდენის უჯეროს ვეცხლის  
მოგებისაგან უფალი გაყენებს, ეს შემოკლებით  
მცირედ იქმნა და ითქვა.

თუ არ შეიგონე და არ დააყენე უჯერო ვეცხლის  
მოგება, დიდი რამ ბრალი შეგემთხვევა. როგორიც  
უჯეროდ ვეცხლის მოგებად ითქვა გლახაკთ  
უწყალოება, მარტო ამას მიჰედე, თუ რა დიდი ვნება  
სდევს და ერთის ამისგან სხვათა ძნელი ვნება  
შეისწავლე და განეკრძალე.

თუ შენ სიმდიდრით ჰსუფევ და რომელიც  
გლახაკი შენდა მახლობელად არის და ის  
უპოვარებისათვს ჰსწუხს და მას გლახაკსა  
ხორციელის საქმისა და სახმარისაგან მწუხარებას  
არა აღუსუბუქებ, ქრისტეს შემაწუხებელთა ჰურიათა  
თანა შეირაცხები. ვითარ? ჰურიანი სიმდიდრი/15თა  
და შვებითა აღსავსენი იშვებდენ და ხმოვანებდენ  
და იძახდენ ხელმწიფებით, ქრისტე მწუხარებით  
მყოფი წყალს ითხოვდა და არავინ მიუპყრა; ეგრეთვე  
შენ სიმდიდრით იშვებ და ხელმწიფებრ იზახებ და  
გლახაკს სიღარიბისაგან მწუხარედ ჰხედავ და მას  
მწუხარებას არ აღუსუბუქებ, – შენ ქრისტეს  
შემაწუხებელთა ჰურიათა თანა აღირაცხები.  
გლახაკიც ქრისტედ შერაცხილი არის თვით  
ქრისტეს მიერ, ვითარცა ბრძანებს: „რაოდენი უყავთ  
ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“.

ჰხედავ, საყვარელო, უჯეროდ ვეცხლის მოგებას  
და ქონებას რა ვნება შეუდგება?! ან სრულიად  
უნდა მოიძაგო ოქრო და ვეცხლი, ანუ რომელიც  
გესლი და ვნება თან ჰყვება ოქროსა და ვეცხლის,  
მისის ვნებისაგან განწმენდილი უნდა მიიღო. თუ  
ვითარ, მაგალითით მოვიღოთ: გველი რომ შეიპყრა  
შენ და შჭამო, გესლიანი არის და სიკვდილს მიგცემს.  
მკურნალისაგან თუ მიიღე თრიაქფარუქი, რომელიც  
არის გველი შემზადებული, არას გავნებს. ეგრეთვე  
ვეცხლი და ოქრო მარტო შენის მიებით და გონების  
წადილით თუ მიიღე, ვითარცა გველი, ამის მსგავსად

მკვლელ გექმნება; თუ ქრისტესგან მიიღე, რომელიც  
მკურნალი არის სულთა და ხორცთა, მისგან  
მიღებული არის გავნებს.

ეს საქმე აწ სამღრთო წერილიდამ მოვიღოთ  
და დავამტკიცოთ: ისრაელთ რომ უფლის მცნებით  
მიიღეს ეგიპტელთაგან ვეცხლი გამოსულის ჟამში,  
მათ არა ვნებია რა; ელისეს მსახურმან გეზი  
უფლისა წინა-აღმდეგობით მიიღო ვეცხლი, სულით  
და ხორცით დაისაჯა; ეგრეთვე შენ თუ უფლის  
მცნების მსგავსად მიიღებ ოქროსა და ვეცხლსა,  
არას გავნებს. თუ უფლის მცნების მსგავსად არ  
მიიღე და ურჩებით შეიკრიბე – სულით და ხორცით  
გეზისაებრ დაისაჯები. თუ შესცთე სიმდიდრის  
სურვილისაგან და უჯეროდ ვეცხლი და ოქრო  
შეიკრიბო, აქაც რომელსაც მაგალითს მოგახსენებ,  
მისდა მსგავსად უნდა ჰყო. თუ გესლიანი რამ  
საზრდელი მიიღო, მკურნალთან უნდა მიხვიდე და  
სამკურნალო წამალი მისგან უნდა ისწაო; ეგრეთვე  
გესლიანი უჯერო ვეცხლის შეკრება თუ ჰყო,  
მკურნალ ქრისტესთან უნდა მიხვიდე და წამალი  
საკურნებელი მისგან უნდა ისწაო და მიიღო,  
რომელსა გასწავებს და გეტყვის: „იხსენით თავისა  
თქვენისა მეგობარნი მამონასა მისგან სიცრუისა,  
რათა რაჟამს მოაკლდეთ თქვენ ამიერ  
საყოფელთაგან თქ/16rვენთა, შეგიწყნარენ თქვენ  
საუკუნეთა შინა საყოფელთა“. მდაბიურად ასე  
ითქმის: სიცრუის მამონას ვეცხლს ეზახის, ვეცხლის  
უხვად მოცემისაგან გლახაკი მეგობრად უნდა  
მოიგოთ, როდესაც აქიდამ სიკვდილისაგან  
მოვაკლდეთ. ქრისტემან შეგიწყნაროს სასუფეველსა  
შინა ცათასა.

ზემო თქმულთაგან ორი რამ წარმოჩნდა  
ვეცხლის გესლიანობის სამკურნალოდ: ერთი ესე,  
რომ ქრისტეს ღმრთისაგან უნდა ვითხოოთ და  
მისგან მოვიღოთ კურნება; მეორედ – უნდა განუყოთ  
[გლახაკთა]. ეხლა ეს ვიძიოთ, თუ ამათი უქმნელობის  
მიზეზი ვის აქვს, რა მიზეზი ვისმე აქვს, რა მიზეზი  
უნდა აქვნდეს? თუ ვინმე იტყვის – ქრისტეს რომ  
ვთხოვოთ, არ მოგვცემს, ეს ყოვლითურთ უჭეშმარიტო  
არის, ამის რომ ქრისტეს სიტყვა მეტყუელი არ  
იქმნება, ვითარცა თვით ბრძანებს: „ცანი და ქვეყანა  
წარხდეს, ხოლო სიტყვანი ჩემი არა სადა წარხდეს“  
და ესე უტყუელი პირი ქრისტესი ბრძანებს:

„ითხოვდით და მოგეცეთ“ და თუ იტყვი: „ვსთხოვი და არ მომცა“ – კიდევ შენი მიზეზი არის, რომ არ მოგცა, ამისთვის რომ ბოროტად ითხოვე და არ მოგცა. ვითარცა /16v იტყვის მოციქული იაკობ: „ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ჭეშმარიტად (?) [ბოროტად] ითხოვთ“.

შენის იესოს მსგავსად უნდა მოგცეს, ვერა რომელმან მსგავსად მისა ვერ მოგცემს, სხვამ რომ მოგცეს, გაყვედრებს და შენი იესო შენდა მომართ ყვედრებას არა ჰყოფს და სხვათაგან უფრო სავსებით მოგცემს, ვითარცა თვით გიბრძანებს: „მოგეცეს თქვენ საწყალი კეთილი, შეხრილი და დატენილი და ზედა გარდათხეული“.

მეორედ გლახაკთ მიცემა ითქვა ვეცხლის მოყვარების სამკურნალოდ და თუ არის მიზეზად ამას ვინმე იტყვის, სიმდიდრეს ვერ განვაბნევთ, ამას სოფელსა ამითი უნდა ვიცხოვროთ – აწ ამისი ნაცვალი სიტყვა ვიძიოთ და ვსთქვათ: საყვარელო, შენ რომ შეკრებას ეზახი, ვერ ხედავ, თორემ ეგ უფრო გაბნევა არის, მაგრამ ვეცხლის მოყვარებას დაუბრმია შენი გონების თვალი და ვერ ხედავ, თუ შეკრებისაგან უფრო როგორ განაბნევ.

იუდა ვეცხლის მოყვარებამ დააბრმო, ის შეკრებას ჰგონებდა, უფროსად განბნევა შეჰვდა. თქმულ არს მისთვის: „დააბნია იგი ოცდა ათი ვეცხლი“, ეგრეთვე შენ შეკრებას ჰგონებ, უწყოდე, უფროსად / 17r განაბნევ, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „რომელი არა შეიკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს“.

რადგან გლახაკს არ განუყოფ შენს სიმდიდრეს, არც ქრისტესგან შეჰვრებ, მაშასადამე, განაბნევ. შენ შენს საუნჯეს კეთილად ჰრაცხ, მაგრამ კეთილი არ არი, მღილი, მპარავი და ავაზაკი – ყოველივე შეეხება შენს საუნჯეს და როგორი კეთილი საუნჯე იქმნება? საკვირველი ეს არის: თუ გძულს ოქრო და ვეცხლი, გლახაკს რასათვს უშურველად არ მისცემ? თუ გიყვარს, რასათვს ასეთს საუნჯესა შინა არ დაიმარხავ, რომ ვერც მღილი და ვერც მპარავი მიეხოს, ვითარცა ბრძანებს მაცხოვარი: „საუნჯე თქვენი იყავნ, სადა მღილმან და მჭამელმან არა განკურნოს და სადა მპარავთა არა დაითხარიან და განიპარიან“.

თუ საუნჯის ამის ცნობა გნებავს, გლახაკთა

შორის იპოება ამისი მსგავსი საუნჯე; მათ შორის დაუნჯებულს ვნება არ შეეხება რა. ამისთვის, რომ თვით ქრისტე მცველ ექმნება, სიტყვისა ამისგან ჰსჩანს: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემსა, იგი მე მიყავთ“. თუ ასე არ ჰყოფთ და სხვა გვარად ვეცხლის მოყვარებით შეიკრებ, აქაც ცთომილი ხარ. თუ ვითარ – ვსთქვათ.

მოციქული პავლე იტყვის: „რომელსა ეგონოს თავი თვისი, კვალად არს რამე და იგი არ იყოს რა, / 17v თავსა თვისსა აცთუნებს“. მას თავის თავი მდიდარი ჰგონია, მას არა აქვს რა, მხოლოდ ერთის ტილოს მეტი. ამას მტკიცე წამოჩინება უნდა მივსცეთ. მოციქული იტყვის: „არა რა შემოვიღოთ სოფლად“, ჰსჩანს, რამეთუ არცა რა განლებად ძალ გვიძს. როდესაც იშვა მდიდარი, სოფლად არა რამე შემოუღია, ვერცა რას განიღებს, მხოლოდ ერთის ტილოს მეტს და ერთი ტილო რა სიმდიდრე არის? მიჰედეთ, რა ცთომაშიდ არის ვეცხლის მოყვარე! ეგების სთქვას ვეცხლის მოყვარემ: ერთის ტილოს მეტი როგორ არ მაქვს-რა, ჩემი საუნჯე სრულებით ოქროთ და ვეცხლით სავსე არის.

ვეცხლის მოყვარეო, ეგ შენი არ არის! გესმის მეუფისა იესოს მიერ: „სხვანი დამაშურალ არიან, თქვენ თქვენს შრომილსა მათსა შემოხვედით“. შეწედ ეს სიტყვა ასე ითქმის: დაჲშვერი და შეიკრიბე, მაგრამ შენ შრომილზედ სხვა შემოვა და სხვა მიიღებს, შენ ტილოიანი, ცარიელი დაჲშთები.

თქმულსა ამას თუ არ ირწმუნებ, მე მდიდარს გიჩვენებ, რომ მას თავისა სიმდიდრე არც ცათა შინა აქვნდა და არც ქუეყანასა ზედა. ეს ქრისტეს მიერის სიტყვით დავამტკიცოთ: ქრისტემან ღმერთმან /18r მდიდარს უთხრა: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქვნდეს საუნჯე ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“, ჰსჩანს თავისი მონაგები მტკიცედ არ ჰქონდა. თუ მტკიცედ ჰგონებოდა, „გაქვნდეს“ – ასე არ გეტყოდა. ასრე ეტყოდა – „გაქვს“, მაგრამ ვეცხლის მოყვარეს არც ცათა შინა და არცა ქუეყანასა ზედა მტკიცედ არა რამე აქვს. ზემო ქრისტეს მიერ თქმულმან ესრეთ წარმოაჩინა.

კიდევ ვსთქვათ, რომ ვეცხლის მოყვარეს არა რამე აქვს სიმდიდრე. სიმდიდრის ქონება ეს არის, როცა რამ ენებებოდეს კაცს, თავისის სიმდიდრისაგან მოიპოოს. თუ კი ვერას მოიპოვებს, რაც ენებება,

მდიდარი ის იქმნება.

ახლა ამას მდიდარსა მივხედოთ, რომელიც ლაზარე გლახაკის ჟამში მდიდარი იყო. სადა ჰსჩანს მისი სიმდიდრე? არა სადა, ამისთვის არა ჰსჩანს, რომ უგვანად შეკრებული ოქრო და ვეცხლი ამაოდ და ცუდად განიბნევა. თუ იძიებ, რომ რომელს სიმდიდრეს აქვს კეთილი მდგომოება, გიჩვენო ქრისტეს მიერის სიტყვით.

უფალი იესო ბრძანებს: „რაჟამს შეჭურვილი ძლიერი ჰსცვი/18vდით ეზოსა თვისსა, მშვიდობით არიან მონაგები მისი“. როდესაც ქრისტე შენს სიმდიდრის ეზოს ჰსცავს, მაშინ შენი მონაგები მშვიდობით არის, და თუ ქრისტე არა ჰსცავს, ყოვლითურთ უხმარი არის, ვითარცა არ ქონებული. ვითარცა ზემო წარმოვაჩინეთ ამისდა მაჩვენებლად საქმე მდიდრისა.

მოვიდეთ და ქრისტესა და მოწაფეთა მისთა მიერ თქმული ვეცხლის მოყვარების დახსნისათვის მაგალითი ვიხმაროთ: ქრისტემან ასე ბრძანა: „რომელმან განუტეოს ცოლი, თვინიერ სიტყვისა სიძვისა, მან იმრუშა, და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“. მოწაფეთა მოახსენეს: „უკეთუ ესეოდენი ბრალი არის დედაკაცისა თანა, არა შეპგავს ქორწინება“. ქრისტემან უბრძანა: „არა ყოველთა დაიტიონ“. ეგრეთვე სახისა ამისა, მე უღირსი ვიტყვი, რომელიც უჯეროდ ვეცხლს შეიკრებს, ისიც ვეცხლის მოყვარე არის და რომელიცა ჯეროვნად შეკრებულს, როგორც ჯეროვანი არის, ისე გლახაკს არ განუყოფს, ისიც ვეცხლის მოყვარედ აღირაცხება; და თუ ესეოდენი ბრალი არს ვეცხლისა, არა შეგავს მოგება. მაგრამ არა ყოველთა დაიტიონ, თო/19rრემ უმჯობესი სრულიად მოუგებლობა არის. ვითარცა არს სიტყვა მაცხოვრისა: „ნუ მოიგებთ ოქროსა, გინა ვეცხლსა“. გნებავს ამისი ცნობა, თუ სრულიად უპოვარება როგორ უმჯობესი არის სიმდიდრისაგან? მე გიჩვენო: მდიდართ ვნება აქუსთ ქრისტესგან, ვითარცა ბრძანებს: „ვად, თქვენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიდებიესთ ნუგეშინისცემა თქვენი“ და გლახაკთა ნეტარება აქვს იესოს მიერ: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

მიჰებედე, რაოდენად უმჯობესი შეიქმნა გლახაკი მდიდრისაგან – გლახაკი ნეტარებაში არს და

მდიდარი ვაებაში. უდიდესი წარმოჩენა ამის  
უმეტესი რა იქმნება? მაგრამ ერთი სახე კიდევ  
მოვიღოთ მდიდრისა და გლახავისა, თუ რომელი  
უმჯობესი არის: ლაზარე გლახავი სასუფეველში  
არის და მდიდარი ჯოჯოხეთსა შინა.

აქ ერთი საკვირო საქმე არის: უსულოსა და  
უგრძნობელს ნივთზედ ყოვლითურთ ჯეროვნება  
ეს არის – შენ უნდა უფლებდე, და რადგან ვეცხლის  
მოყვარე ხარ, შენ ვეცხლის უფლად არ ჰქან-ხარ.  
თუ უფალი ხარ, /19v ეს როგორ არის? ხელით და  
ფერხით მისგან შეკრული და მონებული ხარ, ხელი  
შეკრული გაქვს მოწყალებისათვს, რომ ერთი რამ  
ძრვა შენს ხელს მოწყალებისათვს არა აქვს; ფერხი  
შეკრული გაქვს და ეკვლესიასა შინა სულას ვერ  
ახშირებ ამის მოშიშებისათვს, ვეცხლის მპარავმან  
არა წარიღოს; თვალი მის მიერ დაბნელებული  
გაქვს და ქრისტეს მსგავსს გლახავს კეთილად  
მოწყალებით ვერ ჰქედავ.

კრატისხოს ვინმე ბრძენი ვეცხლისაგან თავის  
თავს შეკრვას და დამონებას ჰქედვიდა, ამისთვის  
ყოველივე სიმდიდრე თვისი ზღვაში გარდაყარა, და  
ვეცხლს თავის თავი არ დაამონა. თუ გნებავს, რომ  
შენც განირინო თავის თავი ვეცხლის მონებისაგან,  
ხელი გახსენ და აღძარ გლახაკთ მოწყალებისათვს,  
ფერხი განხსენ სულად ეკლესიასა შინა  
ლოცვისათვს, თვალი განაღე გლახაკთ მოწყალებით  
მიხედვისათვს. კრატისტოსმან ზღვაში განაბნია, შენც  
ზღვის მიმსგავსებულს ქრისტეს სიყვარულში (ესე  
იგი გლახაკთ მოწყალებაში) განაბნიე, რათა  
წარმავალისა და განხრწნადისა წილ დი/20rდებისა  
წარუალი და განუხრწნელი საუკუნო მიიღო დიდება  
აწდა საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

Manana Bukia

Anton of Chqondidi's sermon of lents

Resume

Anton Dadiani – a metropolitan at Tsageri and Ghqondidi is  
known to be one of the most lamouse preacher among Georgian ones.

Saint Anton of Chqondidi was born in the family of Otia dadiani, the prince of Egrisi (now Samegrelo). Anton's mother, Gulkan, was the daughter of the prince ShoShita III of Racha. There were six children in the family: five boys and a girl. Anton's sister, Mariam, later married King Solomon the Great of Imereti.

The children received their primary education from their mother, who was raised in the Christian Faith and transmitted the Faith to her children. Her vibrant faith and valorous labors were an example for all who surrounded her. After his father's death, young Anton was raised by his older brother Katsia. His family was preparing Anton for a diplomatic career, and therefore they devoted special attention to his study of philosophy, literature, the fundamentals of poetry and art, and foreign languages (particularly Turkish and Persian).

From the beginning of the 17<sup>th</sup> century, the rulers of Egrisi appointed only their own relatives to the Chqondidi diocese. Nikoloz, one of Anton's older brothers, was prepared for the bishopric, but he was too attached to the world to commit to the heavy yoke of asceticism. The young Anton, however, was zealous for the monastic life, and soon he was tonsured.

The new monk Anton sensed the imperfection of his spiritual education and asked the monks of Martvili Monastery in Egrisi to help him make up for his insufficient knowledge. A group of French missionaries arrived to instruct him in the foundations of Scholastic philosophy, which was very fashionable in Europe at that time. Anton, however, recognized that his foreign tutors had tainted Orthodox doctrine with the poison of heresy. Once, during a meal, Anton turned to a certain Frenchman and asked, „Can you pour wine into this water-filled cup and keep it from mixing with the water“?

The Catholic priest answered that it was impossible, and Anton replied, „As it is impossible to pour water and wine into a single vessel and keep them from mixing, so it is impossible to accommodate both Orthodox doctrine and heresy!“ From that day Anton parted with the French missionaries.

The thirst for learning would not give the young monk any rest. To deepen his knowledge, St. Anton traveled to Tbilisi, to the court of King Erekle II. The king's wife, Queen Darejan, was Anton's cousin – a child of his uncle, Katsia Dadiani.

In 1761 St. Anton was consecrated bishop of Tsageri (in lower Svaneti). He soon became famous for his eloquent sermons, which inspired even the Catholicos of Georgia himself.

Grown weary from fasting, St. Anton's face began to resemble that of an angel. In accordance with his orders, a daily meal was

prepared for the poor at the Chqondidi residence. Every subsequent bishop of Chqondidi has continued this practice.

In the 18<sup>th</sup> century many feudal lords in western Georgia (in Egrisi especially) began to trade slaves for profit. Bishop Anton boldly opposed this immoral activity, and in the years 1792 to 1794 he convened a series of Church councils to publicly condemn the slave traders.

In 1788 Anton approved vast land grants to the monasteries of Martvili, Nakharebou and Sairme. He persuaded the Dadianis to exempt these lands from taxation.

In 1789 Anton, now a metropolitan, left Chqondidi for Nakharebou Monastery, which he had built. He enriched the monastery with sacred objects, ancient icons and lands. There he spent the remainder of his days.

Sn. Anton of Chqondidi reposed in 1815 at a very old age and was buried at Nakharebou Monastery.

Anton of Chqondidi left the most valuable and richest literary heritage. The texts of his sermon are especially well presented in the manuscript museum named after K. Kekelidze. One of his sermon „Confession for cherygment“ is kept in Kutaisi museum (manuscript book № 235, pg. 102v-106v). The unique things are preserved in the manuscript fund of the Dadiani palace-Museum.

Anton of Chqondidi's sermons are collected after his death. The first researcher of Saint father - T. Zhordania points out that his collection of sermons, which was published in 1898, included 3 manuscripts: „The manuscript of Grigol Dadiani – dated back to 1852; 2. The manuscript of Natalia Nizharadze – dated back to 1846; 3. Prince T. Zhordania's rewritten manuscript in 1842.

In the preface of collection the researcher indicates that he had seen the Sermons of Lent of Antoni. He intended to publish this sermons with the help of the bishop of Imereti – Besarion. Unfortunataly he could not realize it.

This manuscript was thought to be lost (K. Kekelidze, R. Baramidze).

We consider that the researcher had the exhibit № 26/23384 which was kept in the Dadiani Palace – Museum, that included St. Antoni of Chqondidi's sermon of lents of Sundays.

The handwritten book consists of 43 pages and is dated back to 9<sup>th</sup> of February, 1829. It was recopied by someone called Ihoan.

The book includes 7 sermons.

Anton of Chqondidi's two sermons (№ 1755/25155) are preserved in the manuscript fund of Literary archive of the Dadiani

Palace – Museum. The sermons were copied by Simon Tabidze in Peterburg and was ment to be kept for Grigol Dadiani. It can be proved by the inscription on the 1r.

Anton of Chqondidi's sermons' main inspiration is readers and listeners' ethical and moral perfection. The main topic of the preacher's teaching is the ethical problems of his flock. He discusses this problems in the historical diameter of churches and tries to illustrate his ideas with the help of Saint letter. He relies on the Bible and proves that the knowledge of the Old and New Testament is necessary.

Generally Anton gives examples from the Old and New Testament and always compares and contrasts them.

While explaining the saint letter Anton of Chqondidi often indicates St. Fathers' teaching and proves his point of views with the help of the preachers' statement. He shows us the statements and quotation of Basili the Great, st. Iohan, Grigol of Theologian, Iohvan of Sineli, Andria of Kreteli, St. Theodore of Studite, Avgustini. He is quoting the theologian philosophers.

The preacher's teaching is never generalized. The preacher always addresses the readers and listeners, he asks, argues, discusses his ideas, offers his arguments and proves his ideas with the help of Saint letter, clergymen, philosophers.

We can feel love and care of the preacher as well as strictness in the sermon. The rhetorical device and questions make the sermon even more interesting and valuable.

The modesty of Anton's language should be pointed out especially. The clear and lively speech makes great impression on readers and listeners.

Anton of Chqondidi's collection Sermon of Lents is considered to be the source of wisdom.

### **Проповеди Великого Поста Антона Чхондидели**

#### **Резюме**

Среди грузинских проповедников важное место занимает Цагерский и Чхондидский Митрополит Антон Дадиани.

Преподобный Антон Чхондидели был сыном правителя Мегрелии Отии Дадиани. Мать – Гулкан – была дочерью

правителя Рачи Шошиты III.

Антон Дадиани родился в 1731 году. У него было четыре брата и одна сестра, которая впоследствии стала царицей Имеретии (была женой Соломона Великого).

Антон получил блестящее образование. Он прекрасно знал литературу, поэзию, философию и искусство, в совершенстве владел татарским языком.

Его воспитывали общественным деятелем, но в нем было страстное желание стать духовным лицом. Он принимает решение и уходит в монахи.

Первоначальное духовное образование Антон получил у Мартвильских монахов. В 1757 году он отправляется в Тбилиси для получения полноценного образования. В Тбилиси находилось учебное заведение, открытое царем Ираклием. Здесь Антон получил высшее образование по духовенству и философии под руководством Филипа Кайтмазашвили и Захарии Габашвили. Из источников видно, что Антон получил высшее образование по богословию и философии в учебном заведении, основанном царем Ираклием. оно в последствии было переименовано в духовную семинарию под наставлением знаменитого деятеля ректора Гаиоза.

Вернулся Антон в Менгрелию не то в 1760, не то в 1761 году и получил Цагерскую Эпископскую кафедру. Он прославился своим ораторским даром, был бесподобным знатоком Святого Писания.

Об особенном даре Антона вскоре узнала вся страна. В 1765 году брат Антона, Кация, женился на сестре царя Ираклия Элисабет. Свадьба состоялась в Тбилиси. На праздничном молебне Антон произнес чуткую проповедь, чем присутствующие были восхищены.

В 1777 году Антон получил Чхондидскую кафедру. Душеполезные и благоговейные проповеди любящего и заботливого митрополита посещало много людей.

Антон активно вмешивался в жизнь Менгрельского правительства. Он боролся против страшного порядка – купли-продажи рабов, существующего в то время. В 1792-1794 гг. по инициативе и представительством епископа Антона земский собор вынес строгий приговор покупателям узников.

Владыка Антон был наделен и дипломатическим даром. Он часто выполнял поручения своего брата Кации II (А.Цагарели).

В 1788 году скончался правитель Мегрелии Кация Дадиани. На престол взошел его малолетний сын Григорий. Недобрые люди воспользовались юностью правителя и доставили много

непрятности правлению.

Антон Чкондидели не смог смириться с беспорядками, существующими при дворе правителя и отказался от сана митрополита. После чего начал вести простую монашескую жизнь в Нахаребском монастыре, построенном им же.

В 1815 году в глубокой старости преподобный Антон скончался в монастыре, где и захоронен.

Антон Чкондидели оставил достаточно богатое литературное наследие. Его проповедческие писания с особой тщательностью хранятся в Государственном институте рукописей им. К. Кекелидзе. Одна его проповедь „Исповедь для священника“ хранится в Кутаисском музее (кн. № 235, ст. 102v-106v). Уникальные материалы сохранены рукописным фондом Историко-архитектурного музея при Дворце Дадиани.

Проповеди Антона Чкондидели были собраны после его смерти.

Первый биограф святого отца Ф. Жордания указывает, что изданный им в 1892 году сборник проповедей собран по трем рукописям:

1. Рукопись Григория Дадиани 1852 г.
2. Рукопись Наталии Нижардзе 1846 г.
3. Рукопись, переписанная лично Ф. Жордания 1842 г.

В предисловии сборника исследователь указывает на то, что сам видел проповеди Великого Поста Антона и собирался издать их при помощи Имеретинского Епископа Висариона, но это желание ему не удалось осуществить. Эта рукопись считалась потерянной (К. Кекелидзе, Р. Барамидзе).

Считаем, что у исследователя под рукой были рукописи из фонда рукописей Зугдидского историко-архитектурного музея, хравившиеся под № 26/23384, куда входят проповеди великого поста святого Антона Чкондидели.

Книга состоит из семи проповедей.

В рукописном фонде литературного архива названного музея хранятся и другие рукописи Антона Чкондидели.

Проповеди переписаны Симоном Табидзе в 1880 г. в Петербурге для Григория Дадиани. Об этом свидетельствует надпись на 1r.

Основным пафосом проповедей Антона Чкондидели является моральное совершенствование слушателя. Главную тему проповедей составляют нравственные проблемы, накопленные в тогдашней Грузии, в частности в его пастве.

Эти проблемы он рассматривает в свете церковной истории и для иллюстрации своих взглядов всегда приводит Святое Писание. Антон полностью ссылается на Библию и считает, что знание Ветхого и Нового Завета необходимо каждому.

Вообще, Антону свойственно использование истории из Ветхого и Нового Завета и их сопоставление.

При толковании Святого Писания часто обращается к учениям святых отцов и упрощает свои помыслы и взгляды высказываниями церковных писателей. Проповедник приводит слова Василия Великого, Иоана Златоуста, Григория Богослова, Иоана Синайского, Андрея Критского, Федора Студита, Блаженного Августина... Он также цитирует философов.

Учения проповедника никогда не обобщается, наставник всегда обращается к слушателю, спрашивает его, спорит с ним, рассматривает его помыслы и взгляды, предлагает свои аргументы и для подтверждения приводит Святое Писание, цитаты от святых отцов и философов.

В проповедях ясно воспевается любовь проповедника к своему слушателю, хотя он к ним обращается не без строгости.

Особенное очарование придают проповедям риторические вопросы и риторические обращения, которые особенно часто применяются в учениях Антона.

Следует отметить особенную простоту языка в речи Антона Чкондидели. Всем доступное живое обсуждение глубоко впечатляет слушателя.

Сборник проповедей Великого Поста Антона Чкондидели является невыразимым источником мудрости.

#### ლიტერატურა:

1. ანტონ ჭუმბდიდელის ქადაგებანი, ქუთაისი, 1898
2. ი. ბაგრატიონი, კალმასობა, II, თბილისი, 1948.
3. რ. ბარამიძე, ანტონ ცაგარელ-ჭუმბდიდელის ჰომილეტიკური მემკვიდრეობა, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 4
4. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფილისი, 1914
5. ხ. ვანდელავი, ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, 1968
6. პ. ვეკველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960
7. J. Mourier, La Mingrelie. Ancienne Cokchide. Odessa 1883.

8. ს. მიქაელი, ქართველი საეკლესიო მჭევრმეტყველი,  
ჟურნალი „აია“, II, 1997
9. ქართველ წმინდანთა ცხოვრება, შემდგენლები:  
დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, მ. ბუკია, მ. ბულია,  
თბილისი, 2003
10. ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, I,  
თბილისი, 1984
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, 1975
12. А. Цагарели, Грамоты и другие исторические  
документы XIX столетия, т. I, СПБ. 1891
13. თ. ხუსკივაძე, ანტონ ჭყონდიდელის ანდერძი, გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 39, 40.